

ΠΛΑΤΩΝ

*επιστολή 7*



კლასიციზმი

მეშვიდევი წერილი



# პლატონი - მეშვიდე წერილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტი

პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

თარგმანი ძველი ბერძნული ენიდან, შესავალი, განმარტებები და  
დანართი ლელა ალექსიძის

რედაქტორი მაგდა მჭედლიძე

© საგამომცემლო პროგრამა «ლოგოსი», 2011

© ლელა ალექსიძე, 2011

პროგრამა «ლოგოსი»

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,

თბილისი 0179

ტელ. 225-02-58, ფაქსი 222-11-81

ელ. ფოსტა: logos@greekstudies-tsu.ge

Plato

The Seventh Letter

Georgian Translation with a Preface, Notes and Appendix by Lela Alexidze

Editor Magda Mchedlidze

\* \* \*

თარგმანი ეძღვნება მერაბ მამარდაშვილის ხსოვნას



სოკრატე ესაუბრება მუზას.

სარკოფაგი რომიდან. ძვ. წ. II ს., ლუვერი, პარიზი

«ფილოსოფია არ არის პროფესია, ის არის ტემპერამენტი და ცხოვრების წესი, და მე არ შემიძლია მოგაწოდოთ ცოდნის არავითარი ჯამი, მე შემიძლია გადმოგცეთ მხოლოდ რაღაც სრულიად ინტიმური და ამიტომ გაგების თვალსაზრისით სარისკო».

მერაბ მამარდაშვილი[1]

## შესავალი

პლატონის (ძვ. წ. 427-347 წწ.) შრომათა შორის ე.წ. მეშვიდე წერილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტია მისი ფილოსოფიის გასაგებად და იმ ძირითადი სირთულეების დასახაზადაც, რომლებიც მას თან ახლავს. ის უმთავრესია პლატონის სხვა წერილთა შორის. ამ წერილის ავთენტურობაში სადღეისოდ ეჭვი აღარ ეპარებათ.[2]

წერილში პლატონი მიმართავს თავისი სირაკუზელი მეგობრის, დიონის ახლობლებს და რჩევებს აძლევს მათ სახელმწიფო საქმეების მოწყობისთვის,[3] თან უამბობს წარსული პოლიტიკური თავგადასავლების შესახებ, რომლებმაც დრამატულად და ტრაგიკულადაც კი დააკავშირეს მისი, დიონისა და სირაკუზის ტირანის, დიონისიოსის ცხოვრება. წარსული გამოცდილება განსაზღვრავს იმ რჩევებს, რომლებსაც პლატონი უკვე დაღუპული დიონის ახლობლებს აძლევს. ისინი თავისებურად იმეორებენ იმ რჩევებს, რომლებსაც პლატონი თავის დროზე დიონს და დიონისიოსს აძლევდა; პლატონის აზრით, დიონის მეგობრებმა, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, უნდა გაითვალისწინონ როგორც უშუალოდ თავისი წარსული პოლიტიკური გამოცდილება, ასევე ის, რის შესახებაც მათ პლატონი მოუთხრობს, მათ შორის სოკრატეს და თავად მისი, პლატონის ბედიც.

ისტორია და პოლიტიკა მჭიდროდ არის გადახლართული პლატონის მიერ დახატულ ისტორიულ პორტრეტებთან (სოკრატე, დიონი, დიონისიოსი და სხვები) და, რაც მთავარია, მისივე ავტოპორტრეტთან. მეშვიდე წერილი ის იშვიათი შემთხვევაა, სადაც პლატონი არ არის ამოფარებული თავისი დიალოგების პერსონაჟებს (ანუ არა-თავის თავს) და პირდაპირ, მე ვიტყვოდი, ზოგჯერ პროფილში და ზოგჯერ თითქმის ფასში გვაჩვენებს საკუთარ თავს, ოღონდ ისე, როგორც თავად ხედავს თავის თავს, ან, უფრო ზუსტად, როგორც თვითონ სურს, რომ ჩვენ ის დავინახოთ.

ავტობიოგრაფიულობის თვალსაზრისით, ბედის ტრაგიზმისა და დრამატიზმის გამოხატვით, პლატონის მეშვიდე წერილი მის «სოკრატეს აპოლოგიას» მოგვაგონებს. უნდოდა მას ეს თუ არა

(ალბათ, უნდოდა), პლატონმა ამ წერილით თითქოს თავისი ბედი წარმოადგინა როგორც ერთგვარი «რეპლიკა» სოკრატეს ბედისა, თუმცა წერილიდან (და პლატონის რეალური ცხოვრებიდანაც) ვიგებთ და ვიცით, რომ მისი ცხოვრება დრამატული კი იყო, მაგრამ სოკრატესგან განსხვავებით, «ტრაგიკული» მას პირდაპირი მნიშვნელობით არ ეთქმის.

ისტორიის და ისტორიული პორტრეტების მოყვარულებისა და სპეციალისტებისთვის პლატონის მეშვიდე წერილი მართლაც ძალიან საინტერესო ტექსტია. განსაკუთრებით საინტერესოა მისი შედარება პლუტარქეს «პარალელურ ბიოგრაფიებში» დიონის ცხოვრებასთან (დიონის «პარალელი» პლუტარქესთან ბრუტუსია), რომელშიც მეშვიდე წერილის სხვა პერსონაჟებიც მონაწილეობენ, მათ შორის ტირანი დიონისიოსი და, რა თქმა უნდა, თვითონ პლატონიც. შედარება გვაჩვენებს, ისტორიული პირების რა თვისებები და მათი ცხოვრების რა მოვლენები იყო პლატონისთვის განსაკუთრებით საინტერესო და რატომ, ან რამდენად განაპირობებდა პლატონის ფილოსოფია მისი, როგორც ისტორიკოსისა და პორტრეტისტის ფუნქციას.[4]

გარდა ზემოთ თქმულისა, მეშვიდე წერილში ერთმანეთთან გადაჯაჭვულია რამდენიმე თემა, უმნიშვნელოვანესი საზოგადოდ ფილოსოფიისთვის და საკუთრივ პლატონის ფილოსოფიისთვის. ჩვენ აქ მხოლოდ ჩამოვთვლით მათ:

- სახელმწიფოს მოწყობის გეგმა, კანონების მნიშვნელობა; მმართველი უნდა იყოს განათლებული ადამიანი, ფილოსოფოსი. აღზრდას და განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით მეშვიდე წერილი ერთგვარი სინთეზია «სახელმწიფოსი» და «კანონების».
- ფილოსოფია და ცხოვრების წესი ერთმანეთის შესაბამისია. ვინც ჭეშმარიტად იცის (იმ ფარგლებში, რამდენადაც ადამიანისთვის ასეთი ცოდნა საერთოდ შესაძლებელია), რა არის სიკეთე, ის სწორად და სამართლიანად ცხოვრობს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მას შეიძლება მტრები ჰყავდეს და მისი ბედი ტრაგიკული იყოს.

- კარგის ქმნა კარგია თავისთავად, კარგია მისი მქმნელისთვის და გარემოსთვის, ცუდის ქმნა კი საზიანოა არა მარტო სხვებისთვის, არამედ თავად ცუდის ჩამდენისთვის.

- რაიმეს ცოდნა მოითხოვს რამდენიმე ფაქტორის ერთიანობას, რომლებიც შემმეცნებელმა საფეხურეობრივად უნდა გაიაროს და ისინი ერთიანადაც მოიცვას. ეს არის ხუთი ფაქტორი ან საფეხური, რომლებსაც გრძნობადი მოცემულობიდან (მაგალითი: «წრე» როგორც მოცემული ერთეული), ცვალებადი, წარმავალი, გრძნობადი, წინააღმდეგობრივი, მიმდინარე სინამდვილიდან ავყავართ ურყევის, უცვლელის, არაწინააღმდეგობრივის («წრე» თავისთავად) გაგებამდე. სიტყვები «ეიდოსი», «იდეა» მეშვიდე წერილში ნახსენები არ არის, მაგრამ მეხუთე საფეხური, ფაქტობრივად, პლატონური იდეის საფეხურია. რამდენად მიღწევადია ადამიანისთვის ეს ცოდნა? რამდენად გამოხატვადი და გამოთქმადია ის?

- ყველაზე მთავარს სერიოზული ადამიანი არ დაწერს; შეიძლება, მიაწინოს მასზე, მაგრამ მთავარ აზრებს არ ანდობს ფიქსირებულ ნიშნებს, რომლებიც მკითხველმა და მსმენელმა შეიძლება მცდარად გაიგოს. ამასთან ერთად, ცოდნის ვერბალურად გამოხატვა მეხუთე – უმაღლესი – საფეხურის შესახებ შეუძლებელია. შეუძლებელია ცოდნის მზა-მზარეული სახით გადაცემა; ის წარმოიქმნება რეგულარული ვარჯიშის, ცოდნის ყველა საფეხურის გავლის, ერთმანეთთან მათი მიმართების დადგენის შედეგად, მასწავლებლისა და მოსწავლის საუბრებსა და ხანგრძლივ ურთიერთობაში, საკვლევი საგნით მთელი არსებით ხანგრძლივი დაკავების შედეგად. მხოლოდ ამის მერე, თუ მსმენელიც ნიჭიერია და კარგი მეხსიერება აქვს, და აღზრდა-განათლებაც ხელს უწყობს, შეიძლება მის სულში გაჩნდეს ცოდნის ნაპერწკალი, რომელიც შემდეგ თვითონ გაღვივდება.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია ისიც, რომ წერილში ყველა ეს კომპონენტი ურთიერთკავშირია: ავტობიოგრაფია და ბიოგრაფია, პოლიტიკა (განათლებული მმართველი და საყოველთაოდ სავალდებულო და სამართლიანი კანონები), ეთიკა (პოლიტიკაში და პირად ცხოვრებაში), ცოდნა და ზნეობა (მმართველის განათლება;

ცოდნა და სწორი საქციელი საზოგადოებრივ თუ პირად სფეროში), შემეცნების სახეები, ცოდნის დაუფლების მეთოდები, «დაუწერელი ჭეშმარიტება». ყველა ეს თემა, ვიმეორებთ, მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ამავე დროს, ყველა ეს საკითხი, მიუხედავად ზოგჯერ თვალშისაცემი წინააღმდეგობებისა, გამოძახილს პოულობს პლატონის დიალოგებში. საერთო ჯამში, წერილი თავისი ჟანრით ერთგვარი ერთიანობაა ისტორიის, ბიოგრაფიების, ავტობიოგრაფიის, აპოლოგიის, მინიფესტის და ფილოსოფიური (მრავალი კომპონენტით: ონტოლოგია, შემეცნება, სულის პრობლემები, პოლიტიკა, ეთიკა) განაზრებისა.

მოკლედ შევეხოთ საკუთრივ ცოდნისა და შემეცნების საკითხებს, რომლებსაც მეშვიდე წერილის ერთი მონაკვეთი ეხება, ძირითადად 342 a -344 d.

შემეცნების საკითხების გადმოცემა თავისი ფორმით და ტერმინოლოგიით საკმაოდ განსხვავდება პლატონის დიალოგებისგან, კერძოდ, «სახელმწიფოსგან». ეს შეიძლება ყოფილიყო და იყო კიდევ ერთ-ერთი არგუმენტი ამ ადგილის ინტერპოლაციად მიჩნევისთვის. მეორე მხრივ, სწორედ ამ მონაკვეთის თავისებურება, ის ფაქტი, რომ ის არც ლექსიკურად და არც შინაარსობრივად მთლიანად არ იმეორებს რომელიმე დიალოგში ამავე საკითხის გადმოცემას, აფიქრებინებდა და აფიქრებინებს მკვლევარებს, რომ ის ინტერპოლაცია კი არ არის, არამედ საკუთრივ პლატონის ტექსტია. ერთ-ერთი არგუმენტი ამ მოსაზრების სასარგებლოდ ის არის, რომ ინტერპოლატორი, უბრალოდ, არ დაუშვებდა პლატონის სხვა ტექსტებისგან ამდენად თვალშისაცემ განსხვავებებს; იმისთვის, რომ ჩანართს უფრო «პლატონური» სახე მიეღო და დამაჯერებელი ყოფილიყო, ის მას სხვა ცნობილ ტექსტებს მიუსადაგებდა.[5]

ახლა ვნახოთ რამდენიმე კონკრეტული საკითხი, რომლებიც შემეცნების თეორიას ეხება:

- «ეიდოსი» ან «იდეა», როგორც აღვნიშნეთ, წერილში ნახსენები არ არის, თუმცა ცოდნის უმაღლესი საფეხური სწორედ მას უნდა

გულისხმობდეს.

- არც «დიალექტიკა» არის ნახსენები, მაგრამ წერილში აღწერილი (ან მინიშნებული) ცოდნის მოპოვების გზები (ხანგრძლივი ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, საკითხის ყოველმხრივი განხილვა, ცოდნის ყველა ფაქტორის ურთიერთქმედებაში გათვალისწინება და მათი «ავლა-ჩავლა» არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს «სახელმწიფოში» აღწერილ დიალექტიკას.

- წერილში პლატონი არ არის დაინტერესებული ცალკეული დისციპლინებით. ცოდნისა და შემეცნების საკითხს ის უფრო ზოგადად და თითქოს «პოპულარულად» განმარტავს, ვიდრე ეს «სახელმწიფოშია», თუმცა წერილში სირთულეს სწორედ ეს ქმნის.

- წერილში ერთმანეთისგან არ არის განსხვავებული «ცოდნა» (epistēmē) და «შეხედულება» (doxa), ისე, როგორც ეს «სახელმწიფოშია». წერილში «ცოდნა», «გონება», «ჭეშმარიტი შეხედულება» (epistēmē, noūs, alēthēs doxa) თითქოს ერთ დონეზეა დაყენებული და ისინი ცოდნის მეოთხე ფაქტორს ქმნიან, უფრო მაღალს ცოდნის წინა სამ საფეხურთან შედარებით; მაგრამ «გონების» და «ჭეშმარიტი შეხედულების» ერთ სიბრტყეზე დაყენება, როგორც ვთქვით, უკვე ერთგვარ დაბნეულობას იწვევს პლატონის მკითხველში, რომელიც «სახელმწიფოს» იცნობს (რომ აღარაფერი ვთქვათ პლატონის ნეოპლატონური ინტერპრეტაციების მცოდნეებზე). მაგრამ აქ ბევრი რამ დამოკიდებულია მოცემული ფრაგმენტის თარგმანსა და ინტერპრეტაციაზე: საქმე იმაშია, როგორ გავიგებთ პლატონის ნათქვამს, რომ «გონება ყველაზე ახლოს არის მეხუთე [საფეხურთან], სხვები კი [მას] უფრო დაცილებულნი არიან». ვინ იგულისხმება «სხვებში»? თუ წინა სამი საფეხური, მაშინ «გონება», «ცოდნა» და «ჭეშმარიტი შეხედულება» მართლაც ამ ტექსტში სინონიმები გამოდის. მაგრამ თუ პლატონი გულისხმობს «გონების» უპირატესობას «ჰორიზონტალურ» სიბრტყეზე, ანუ უპირატესობას «ცოდნასა» და «ჭეშმარიტ შეხედულებასთან» შედარებით ცოდნის მეოთხე დონის ფარგლებში,[6] მაშინ შეუსაბამობა «სახელმწიფოსთან» გონებისა (თუ გონითი აზროვნების: noēsis) და ჭეშმარიტი შეხედულების მიმართების



თვალსაზრისით მოიხსნება. საინტერესოა ისიც, რომ პლატონი მეშვიდე წერილში სიტყვა «ცოდნას» (epistēmē) ხმარობს როგორც საერთოდ ცოდნის – მისი ყველა ფაქტორის ერთობლიობის მნიშვნელობით, ასევე საკუთრივ მეოთხე ფაქტორის ერთ-ერთ აღმნიშვნელად. საერთო ჯამში, არა მგონია, ყველა ეს ტერმინულ-გამოხატვითი პრობლემები, იქნება ეს მხოლოდ მეშვიდე წერილში თუ მის სხვა ნაშრომებთან მიმართებაში, პრობლემებს ქმნიდეს და არსებით წინააღმდეგობებზე მიაჩნებდეს.

- წერილში გვაქვს განსხვავება «რაგვარობასა» (poion, to poion ti) და «რაობას» (to ti) შორის. შინაარსობრივად ეს «სახელმწიფოსთან» კონფლიქტს არ ქმნის, რადგან «რაგვარობა», ფაქტობრივად, «შეხედულების» საგანს შეესაბამება, ხოლო «რაობა» – «გონებისას».

[7]

- წერილი საგნის არსის შესახებ ცოდნის შეუძლებლობას ამტკიცებს. შეუძლებლობა, როგორც ვთქვით, საგნის ბუნებით და ცოდნის მოპოვების სიძნელით არის განპირობებული. თუ ამ მხრივ წერილს პლატონის სხვა ნაშრომებს შევადარებთ, მივიღებთ სურათს, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ გზა ოპტიმიზმიდან პესიმიზმისკენ. მას კარგად აღწერს გ. მოროუ. მისი მსჯელობა მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ: ადრეული დიალოგებიდან, სადაც სოკრატული მეთოდით საგნის განსაზღვრება და ჭეშმარიტების ძიება საშუალებას გვაძლევს, ავმალდეთ შეხედულებიდან ცოდნისკენ («მენონი»), გადავდივართ ცოდნის სირთულეების აღიარება-გაცნობიერება-ფორმულირებაზე (დიალექტიკის რთული გზა «სახელმწიფოში»). შემდეგ, ამ სირთულეების გაცნობიერებას მივყავართ იმის აღიარებამდე, რომ, მაგალითად, «ფედონის» თანახმად, ცნებები და ამოსავალი პრინციპები ყოველთვის ჰიპოთეტურია. «თეეტეტში» ამაოდ ცდილობენ ცოდნის განსაზღვრებას; მისი ნებისმიერი დეფინიცია, საბოლოოდ, უფრო შეხედულების განსაზღვრებას გვაძლევს. ასევე «ტიმაიოსიც» გამოხატავს სინამდვილის შესახებ ცოდნის შეუძლებლობას ადამიანისთვის. ასე, თანდათანობით, პლატონი თითქოს «კმაყოფილდება» არა ცოდნის უმაღლესი საფეხურით, არამედ შეხედულებით, არა იდეათა სამყაროთი, არამედ ფიზიკური კოსმოსით, არა იდეალური სახელმწიფოთი, არამედ კანონებით.[8]

აქვე გავიხსენოთ «პროტაგორა», სადაც ნათქვამია, რომ სიქველე ცოდნაა, მაგრამ მისი სწავლება შეუძლებელია; «მენონი», რომლის თანახმად სიქველის სწავლება შეიძლება, მაგრამ არა როგორც რეცეპტების ერთობლიობისა, რომლებიც გარედანაა მიღებული, არამედ როგორც რაღაცის, რაც სულშივე იბადება.[9] შემეცნების საკითხები შესადარებელია «კანონებთანაც», 897 d, [10] აგრეთვე «სოფისტთან» და «პარმენიდესთან» (ითვლება, რომ ამ ორი დიალოგის დაწერის დრო დაახლოებით ემთხვევა VII წერილის დაწერის დროს), სადაც პლატონი ენობრივი გამოხატვის სირთულეებს ეხება, განსაკუთრებით «ყოფნა» ზმნასა და «მყოფის», «არსებულის» მნიშვნელობებთან დაკავშირებით. ყველაფერი ეს ერთი ჭეშმარიტების გამოხატვის სირთულეებსა და, გარკვეულწილად, პრინციპულ შეუძლებლობაზე მიაჩნებოდა.[11]

ენობრივი სირთულეები (სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა და, ალბათ, საგნის მრავალმხრივობაც, მაგალითად: «არსს» ვუწოდებთ იმასაც და ამასაც...) არის ერთ-ერთი მიზეზი ვერ-გამოხატვადობის, ფიქსირებული ფორმით ვერ-გამოთქმადობისა იმისა, რაც მთავარია. ეს არის პლატონის მეშვიდე წერილის ერთ-ერთი არსებითი აზრი და, ალბათ, ამის ამოკითხვა შეიძლება პლატონის «სახელმწიფოს» მეშვიდე წიგნშიც, გამოქვაბულის მითში, იმ ფაქტში, რომ «განმანათლებელი» სასაცილოდ გამოიყურება «გაუნათლებელთა» თვალში. ვფიქრობ, ეს აზრიც პირდაპირ ეხმიანება მეშვიდე წერილის იმ მონაკვეთს, სადაც საუბარია იმაზე, რომ თვითონ ცოდნის ბუნებაა ისეთი, რომ ის ჭეშმარიტების გამოთქმადობისას ოპონენტს «მხილებისკენ» უბიძგებს და, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, «საბრძოლო იარილითაც» მას თვითონვე უზრუნველყოფს (343 d).[12]

საბოლოოდ, ენობრივი არასრულყოფილების მეტ-ნაკლები დაძლევა მხოლოდ სახელების, განსაზღვრებების, სახეების მრავალგვარი ურთიერთშემოწმებით (და იმით, რასაც პლატონური დიალექტიკური მეთოდი გულისხმობს) მიიღწევა. ამასთან ერთად, არავითარი ცოდნა არ არის ავტომატურად გადაცემადი ერთი ადამიანისგან მეორესთვის, მასწავლებლისგან მოწაფისთვის. თუ მოწაფე მომზადებულია და მეხსიერებაც კარგი აქვს, ბევრი წვრთნის შემდეგ მის სულში ცოდნა «აღინთება» (344 b). ამას შეიძლება მისტიციზმი ვუწოდოთ, მაგრამ ეს ისეთი მისტიციზმია, რომელიც

არათუ გამორიცხავს რაციონალურ მეთოდს, არამედ პირიქით, მოითხოვს მას. მოროუს თქმით, პლატონი აქაც უკომპრომისო რაციონალისტია, თუმცა მას არასდროს სჯეროდა, რომ ცოდნის მიზანი ლოგიკური ფორმულების ერთობლიობაა.[13]

რაც შეეხება წერის პრობლემას, პლატონის მეშვიდე წერილის ეს მონაკვეთი თანხმობაშია «ფედროსის» მეორე ნაწილთან.[14]

საბოლოო ჯამში, შემეცნების საკითხების კომპლექსი მეშვიდე წერილში, ყველა გარეგნული შეუსაბამობის მიუხედავად (თუ არა სწორედ მათ გამო), შინაგან ერთიანობაშია ამავე თემის ასახვასთან პლატონის სხვა შრომებში და მათთან ერთად მრავალწახნაგოვან, არაერთმნიშვნელოვან ორგანულ მთელს და, მე ვიტყვოდი, მართლაც და ცოცხალ ორგანიზმს ქმნის, რომლის სიცოცხლე დიდწილად მკითხველების აქტიურ გაგებაზეც არის დამოკიდებული.

მეშვიდე წერილის გაგებისთვის აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ეს ე.წ. «ღია წერილია». მას კონკრეტული ადრესატები ჰყავს, მაგრამ ის ფართო მკითხველისთვისაც არის განკუთვნილი. ღია წერილის ჟანრი განსაკუთრებით გვიანანტიკურობაში განვითარდა, თუმცა კლასიკურ ეპოქაშიც (ძვ. წ. IV ს.) იწერებოდა მსგავსი წერილები. ღია წერილი იყო მოხერხებული საშუალება იმისათვის, რომ ავტორს მნიშვნელოვანი საკითხები ფართო აუდიტორიისთვის გაეხდო და მათ შესახებ მეტ-ნაკლებად საჯაროდ ეფიქრა და მშვიდად, «მონოლოგურად» ემსჯელა. პლატონის მეშვიდე წერილი, როგორც ვთქვით, მთელი მისი პედაგოგიური და თეორიული მოღვაწეობის აპოლოგიაც არის. სირაკუზელებისადმი მიმართული წერილი ზოგჯერ ირიბად, ზოგჯერ კი მეტ-ნაკლებად პირდაპირ საკმაოდ ბევრს გვამცნობს ათენის პოლიტიკური ცხოვრების და ათენში პლატონის ფილოსოფიური და პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებაც, იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც მის აკადემიაში ეწეოდნენ. ჩანს, რომ წმინდა თეორიულ საქმიანობასთან ერთად და მასთან ორგანულ ერთიანობაში, აკადემიაში ურთიერთკავშირში განიხილებოდა პოლიტიკური, საკანონმდებლო და ეთიკური პრობლემები. თეორიად ჩამოყალიბებულმა მიზანმა – აღზრდილიყო განათლებული, «ფილოსოფოსი» მმართველი – სირაკუზაში

უმცროსი დიონისიოსის სახით მარცხი განიცადა. პლატონს თითქოს სურდა, მოგონებებით, წარსული პოლიტიკური და ფილოსოფიური გამოცდილების გახსენებით (ხშირად ეს სინანულწარევი მოგონებაა, მისი პრაქტიკული წარუმატებლობით გამოწვეული) გაენდო და გაეცნო (ან შეეხსენებინა) თავისი თეორია და გამოცდილება მისი თანამედროვე მკითხველისა და მასზე უმცროსი თაობისთვის (წერილის «ფორმალური» და უშუალო ადრესატებიც – დიონის ახლობლები – ამ თაობას ეკუთვნოდნენ) და, მათთან ერთად, ალბათ, ყველა დროის პოტენციური მომავალი მკითხველისთვისაც. შეიძლება, ეს მას იმიტომაც სჭირდებოდა, რომ აწუხებდა სინდისი თავისი თეორიის პრაქტიკულად ვერ-განხორცილების გამო (სირაკუზის ბედი, დიონის დაღუპვა), თუმცა პლატონზე კარგად ვინ იცოდა კარგი თეორიის სრულყოფილად ამქვეყნად განხორციელების შეუძლებლობა? და მაინც, მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მას უნდოდა თავისი გამოცდილების, მიზნებისა და საქმეების შესახებ მოეთხრო, მათი დაცვისა და გამართლების მიზნითაც, და იმიტომაც, რომ ეს ყველაფერი, ავად თუ კარგად, ამქვეყნიური წარმატებით თუ წარუმატებლობით, მისი ცხოვრების საქმე იყო, საქმე, რომელშიც ყველაზე მთავარი და ნამდვილი, მისივე თეორიის თანახმად, პრინციპულად ვერ-გამოთქმადი და მითუმეტეს ვერ-დაწერადია, და არც მზამზარეული ცოდნის სახით, მექანიკურად სხვისთვის გადაცემადია. იგრძნობა, რომ რეალური მარცხების მიუხედავად, მიუხედავად მეშვიდე წერილის აშკარად პესიმისტური ინტონაციებისა, პლატონს მაინც სჯეროდა თავისი ფილოსოფიის და, მისი სწორად გაგების, მისადმი სწორი მიდგომის შემთხვევაში, მისი ნაწილობრივ მაინც პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობისა. ოღონდ ეს რეალიზაცია უკვე თავად მასზე, პლატონზე, აღარ იყო დამოკიდებული. მეშვიდე წერილის სახით, თავის გამოცდილებასთან ერთად, ეს შანსი მომავლისთვის მან თითქოს სხვებს – მომავალ თაობებს გადასცა. ასე რომ მეშვიდე წერილი ერთგვარად პლატონის აპოლოგიაც არის [15] და აღსარებაც, თქმული იმისთვის, რომ უფრო პირდაპირ და უშუალოდ, ვიდრე ეს დიალოგებში იყო შესაძლებელი ან თავად პლატონს სურდა დიალოგების წერისას, პირველ პირში მოეთხრო თავისი გამოცდილებისა და ცოდნის შესახებ სხვებისთვის, მათ შორის

ჩვენთვის. მისი ფილოსოფიის გაგება, ვერ-გაგება, გამართლება თუ უარყოფა, ან, უფრო ზოგადად და ზუსტად რომ ვთქვათ, მისი ნებისმიერი სახით სიცოცხლისუნარიანობა უკვე სხვების (მათ შორის ჩვენი) ინტელექტუალური (მჭკრეტელობითი) და პრაქტიკული მოქმედებით განისაზღვრება.

პლატონის მეშვიდე წერილი დაიწერა დიონის დალუპვის შემდეგ, ძვ. წ. 354-353 წწ. პლატონი მაშინ 73 ან 74 წლის იყო.

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით:

Plato, Epistulae. Edidit J. Moore-Blunt. Teubner, 1985.

Plato, Timaeus, Critias, Cleitophon, Menexenus, Epistles. Translated by R.G. Bury. The Loeb Classical Library, edited by Jeffrey Henderson. Plato IX, LCL 234. Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, London, England, first edition 1929, reprinted 2005. ბერძნულ ტექსტთან ერთად, გამოვიყენე ამ გამოცემის ინგლისური თარგმანი და შენიშვნები. შემდგომი დამოწმებისას: Bury.

Platon, Oeuvres complètes, Tome XIII, I partie, Lettres. Texte établi et traduit par Joseph Souilhé. Paris, Les belles lettres, 1926. ბერძნულ ტექსტთან ერთად, გამოვიყენე ამ გამოცემის ფრანგული თარგმანი და შენიშვნები. შემდგომი დამოწმებისას: Souilhé.

Platon, Werke in acht Bänden, Griechisch und Deutsch. Band 5. Herausgegeben von Gunther Eigler. Bearbeitet von Dietrich Kurz. Griechischer Text von Léon Robin, Auguste Diès und Joseph Souilhé. Deutsche Übersetzung von Friedrich Schleiermacher und Dietrich Kurz. Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt 1990. ბერძნულ ტექსტთან ერთად, გამოვიყენე ამ გამოცემის გერმანული თარგმანი და

შენიშვნები. შემდგომი დამოწმებისას: Eigler. პლატონის სხვა შრომების დასამოწმებლადაც ძირითადად გამოვიყენე აიგლერის ეს ორენოვანი ბერძნულ-გერმანული გამოცემა რვა ტომად.

მუშაობისას გამოყენებულია აგრეთვე შემდეგი თარგმანები:

Platon, Oeuvres complètes, II. Traduction et notes par Léon Robin, avec la collaboration de M.-J. Moreau. Gallimard 1950. შემდგომი დამოწმებისას: Robin.

Plato: Phaedrus and the Seventh and Eighth Letters. Translated and Commentary by Walter Hamilton. Penguin Books, 1973. შემდგომი დამოწმებისას: Hamilton.

Платон, Сочинения в трех томах. Том 3, часть 2. Редактор А. Ф. Лосев. Москва, Мысль 1972. შემდგომი დამოწმებისას: Лосев.

წერილის თარგმანში კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი (მათ შორის, ცალკეული თემის დასათაურება წერილის შიგნით, იტალიკით აწყობილი) ჩემი დანამატია, ტექსტის განმარტებისა და უკეთესად გაგების მიზნით. ბერძნული სიტყვები ლათინური შრიფტით მოგვყავს.

ყდაზე გამოსახულია ათენის ძვ. წ. V-IV სს. მონეტა, ბუს გამოხატულებით (მონეტის მეორე მხარეს, რომელიც ჩვენს სურათზე არ ჩანს, ათენას სახე წარმოადგენს). წიგნში მოტანილი ილუსტრაციები აღებულია ინტერნეტიდან, ძირითადად, Wikimedia commons, სადაც ისინი თავისუფალი სარგებლობის უფლებით არის მოცემული.

ლელა ალექსიძე

2011, თბილისი

## მეშვიდე წერილი

დიონის ნათესავეებსა და მეგობრებს პლატონი კარგად ყოფნას უსურვებს!

(323 d) მწერდით, რომ უნდა მიმაჩნდეს, თქვენც იგივე განზრახვა გაქვთ, რაც დიონს ჰქონდა, და ამიტომაც მომიწოდებდით, რამდენადაც შემიძლია, საქმით და სიტყვით თქვენთან ვითანამშრომლო.

[16]

(324a) მე თანახმა ვარ, ვითანამშრომლო, თუ გაქვთ იგივე შეხედულება და სურვილი, რაც მას ჰქონდა; თუ არა და, კარგად დაფიქრება ჯობს.

[17]

ხოლო თუ რა იყო მისი განზრახვა და სურვილი, სავარაუდოდ კი არ წარმომიდგენია, არამედ ცხადად ვიცი და ვიტყვი.

დაახლოებით ორმოცი წლის ვიყავი, სირაკუზაში პირველად რომ ჩამოვედი. დიონი მაშინ იმ ასაკში იყო, რომელშიც ახლა ჰიპარინოსია.

[18]

(b) რა შეხედულებაც მაშინ ჰქონდა, ბოლომდე შეინარჩუნა: მიაჩნდა, რომ სირაკუზელები თავისუფალნი უნდა იყვნენ და საუკეთესო კანონებით ცხოვრობდნენ. ამიტომ რა გასაკვირია, რომ სახელმწიფოს შესახებ [დიონის] ეს შეხედულება, ღმერთთაგან ერთ-ერთის შთაგონებით, [ჰიპარინოსმაც] გაიზიარა. ხოლო თუ როგორ მოხდა

ეს, ამის მოსმენა არ აწყენს ახალგაზრდას და არა-ახალგაზრდასაც. ამიტომ შევეცდები ამის შესახებ თავიდან გიამბოთ. ამისთვის ახლა შესაფერისი დროა.

[პლატონი ათენში: პოლიტიკური გამოცდილება; სოკრატეს ბედი; პოლიტიკა და ფილოსოფია]

ახალგაზრდობაში იგივე განვიცადე, რაც ბევრმა: ვფიქრობდი, როგორც კი ჩემი თავის ბატონ-პატრონი გავხდები, მაშინვე პოლისის – [ანუ] საზოგადო საქმის კეთებას შევუდგები. (c) პოლისის ვითარება მე ამგვარი მხვდა წილად:

მაშინდელ სახელმწიფო წყობას ბევრი აკრიტიკებდა. მოხდა გადატრიალება.[19] გადატრიალების შედეგად არქონტებად [20]

ორმოცდათერთმეტი კაცი დაწინაურდა: თერთმეტი ქალაქს [განაგებდა], ათი პირეუსს

[21]

(მათგან ორივე [ჯგუფი] ზედამხედველობდა აგორას

[22]

და [საზოგადოდ] იმას, რაც ქალაქში იყო მოსაწესრიგებელი), (d) ხოლო დანარჩენი ოცდაათი არქონტი ავტოკრატორებად

[23]

დასხდნენ. მათ შორის ზოგიერთი ნათესავად და ნაცნობად მერგებოდა.

[24]

მათ მაშინვე მომიწოდეს [თანამშრომლობისკენ]; ეს ჩემთვის შესაფერისი საქმე უნდა ყოფილიყო.



რაც დამემართა, ახალგაზრდობით დამემართა და ამაში გასაკვირი არაფერია. მიმაჩნდა, რომ ისინი პოლისს საკმაოდ უსამართლო ცხოვრებიდან სამართლიანი წესისკენ გაუძღვებოდნენ და ასე განაგებდნენ. ამიტომ დიდი გულისყურით ვაკვირდებოდი, რას იზამდნენ. მაგრამ შემდეგ დავინახე, რომ ამ კაცების წყალობით მცირე დროში წინა სახელმწიფო წყობა ლამის ოქროდ გვეჩვენა. (e) სხვათა და სხვათა შორის, მათ [განიზრახეს] მიევიწყებინათ, სხვებთან ერთად, ჩემი უფროსი მეგობარი სოკრატე (მას მოურიდებლად ვუწოდებდი იმ დროის ყველაზე სამართლიან კაცს) ერთ-ერთ მოქალაქესთან, რომ ის ძალით ჩამოეყვანათ მოსაკლავად.

[25]

(325a) ეს [სოკრატესაც] მათი საქმეების თანამონაწილედ გახდიდა, ნებსით თუ უნებლიეთ. ის კი არ დაემორჩილა, სრული რისკის ფასად [ამჯობინა, თავად რაღაც] მოსვლოდა, ვიდრე მათი უსჯულო საქმეების მონაწილე გამხდარიყო. ეს ყველაფერი რომ დავინახე და კიდევ ბევრი სხვა ამდაგვარი, არაწვრილმანი, შემზიზღდა და ამ ბოროტებას განვერიდე.

ბევრი დრო არ იყო გასული, ოცდაათის მმართველობა და მთელი იმდროინდელი სახელმწიფო წყობა დაემხო. და კვლავ – თუმცა უფრო სუსტად, მაგრამ მაინც – გამიტაცა სურვილმა, მეკეთებინა საზოგადო ანუ პოლისის საქმეები. (b) თუმცა, იმ არეულ [დროშიც] ბევრი რამ ისეთი ხდებოდა, რაც კაცს შეეზიზღებოდა. ან რა გასაკვირია, რომ გადატრიალებების [ხანაში] ზოგიერთი თავის მტრებზე განსაკუთრებით ძლიერად იძიებდა შურს. და მაინც, ვინც მაშინ [მმართველობაში] დაბრუნდა, დიდი ზომიერება გამოიჩინა.

[26]

და აი, ისევ, რაღაც ბედის ძალით, ზოგიერთმა მმართველმა ჩვენი მეგობარი, ხსენებული სოკრატე, სასამართლოს წინაშე წარადგინა და მას ყველაზე უფრო უწმინდური ბრალდება წაუყენა, (c) ისეთი, რომელიც ყველაზე უფრო სოკრატეს არ შეეფერებოდა. სასამართლოში ზოგმა მას არალეთისმოსაობაში დასდო ბრალი,

სხვებმაც საბრალდებო განაჩენი გამოუტანეს. მათ ის [ადამიანი] მოკლეს, რომელმაც უწინ თავად არ ისურვა მონაწილეობა მიეღო იმჟამად გაქცეულთა, [ანუ მათივე] ერთ-ერთი მეგობრის უსჯულო შეპყრობაში, მაშინ, როცა გაქცეულებს ბედი არ სწყალობდა.

ვუყურებდი ამ [ყველაფერს] და ადამიანებს, რომლებიც განაგებენ სახელმწიფოს საქმეებს, კანონებსა და წეს-ჩვეულებებს, და, რაც უფრო მეტად ვუკვირდებოდი და ასაკიც მემატებოდა, მით უფრო ძნელად წარმომედგინა, რომ შევძლებდი სახელმწიფო საქმეების სწორად მართვას. (d) მეგობრებისა და ერთგული მოკავშირეების გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო მათი პოვნა ასე ადვილი არ იყო, რადგან ჩვენი პოლისი აღარ ცხოვრობდა მამების ზნითა და ჩვეულებებით. არც სხვა – ახალი [მეგობრების] შეძენა იყო მარტივი: დაწერილი კანონი [გაუფასურდა] და ზნეობა დაკნინდა; ეს პროცესი საოცარი ძალით ღრმავდებოდა. (e) თავდაპირველად შეპყრობილი ვიყავი დიდი სურვილით, საერთო საქმე მეკეთებინა, მაგრამ, რომ ვაკვირდებოდი და ვხედავდი, რა დღეში იყო ყველაფერი, თავბრუ დამეხვა. მიუხედავად ამისა, ხელი არ ამიღია იმის ფიქრზე, როგორ შეიძლებოდა ყოველივე ამის და მთელი სახელმწიფო წყობის გაუმჯობესება (326a) და მუდამ ველოდი საქმისთვის ხელსაყრელ დროს.

საბოლოოდ, ყველა ამჟამინდელი პოლისის შესახებ დავასკვნენი, რომ ისინი ცუდად არიან მოწყობილნი: მათი კანონები თითქმის უკურნებელია, თუ რაღაც საოცარმა მომზადებამ, ბედთან ერთად, საქმეს არ უშველა. ასე გავხდი იძულებული, ჭეშმარიტი ფილოსოფიის სასახელოდ, მეთქვა, რომ ფილოსოფია დაგვანახებს ყოველივეს, რაც სამართლიანია სახელმწიფო და კერძო პირთა [სფეროში],

[27]

და რომ ადამიანთა მოდგმა ბოროტებებისგან ნამდვილად ვერ განთავისუფლდება, (b) სანამ სახელმწიფო მმართველობაში არ მოვლენ ისინი, ვინც სწორად და ჭეშმარიტად ფილოსოფოსობენ, ან

პოლისთა ხელისუფალნი რაღაც ღვთაებრივი განგების ხელშეწყობით ჭემმარიტად არ იფილოსოფოსებენ.

[28]

[პლატონი სიცილიაში: პირველი მოგზაურობა; დიონის გაცნობა. დიონის გეგმები დიონისიოსთან დაკავშირებით]

ასეთი ფიქრებით გავემგზავრე იტალიასა და სიცილიაში. ეს ჩემი პირველი მგზავრობა იყო. როცა ჩავედი, სულ არ მომეწონა ცხოვრება, რომელიც იქ ბედნიერად მიაჩნიათ, უხვი იტალიური და სირაკუზული ტრაპეზებით, დღის განმავლობაში ორჯერ მეტისმეტად რომ ძღები და ღამე მარტო არასდროს გმინავს.[29] (c) არც სხვა ჩვევები [მომეწონა], რომლებიც ასეთ ცხოვრებას თან ახლავს. ამგვარი ზნე-ჩვეულებებისგან გონს ხომ ვერ მოეგება ვერც ერთი ადამიანი, ცის ქვეშ მცხოვრები, თუ მათ სიყრმიდან შეეჩვია – ვის აქვს ასეთი საოცარი ბუნება! ის არც დააპირებს ოდესმე კეთილგონიერი გახდეს; იგივე ითქმის სხვა სიქველეებზეც. ვერც ერთი პოლისი, როგორი კანონებიც არ უნდა ჰქონდეს, ვერ ჰპოვებს მოსვენებას, როცა კაცებს ჰგონიათ, რომ ყველაფერი ფუფუნებაში უნდა ხარჯონ (d) და უქმად იყვნენ ყველაფერში, გარდა კარგი ჭამა-სმისა და სასიყვარულო საქმეებში გარჯისა. კანონზომიერია, რომ ასეთ პოლისებში არასდროს წყდება ტირანიების, ოლიგარქიებისა და დემოკრატიების მონაცვლეობა, ხოლო მათ მმართველებს სამართლიანი და კანონიერად გაწონასწორებული სახელმწიფო წყობის სახელის გაგონებაც არ შეუძლიათ.

[30]

(e) მაშ, ასეთი იყო ჩემი განწყობა (იმასთან ერთად, რაც ზემოთ ვთქვი), როდესაც სირაკუზაში გავემგზავრე. შეიძლება, ეს ბედისწერა იყო, მაგრამ თითქოსდა [სწორედ] მაშინ რაღაც უფრო ძლიერმა [ძალამ] განიზრახა, სათავე დაედო იმ ამბებისთვის, რომლებიც ახლა დიონთან და სირაკუზასთან დაკავშირებით

დატრიალდა. და ვაი თუ კიდევ რაიმე მოხდეს, ახლა თუ არ დამიჯერებთ. მეორედ ვიძლევი რჩევას.

[31]

(327a) რატომ ვამბობ, რომ ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა სიცილიაში ჩამოვედი? მე დიონს შევხვდი, რომელიც მაშინ ახალგაზრდა იყო. ადამიანებისთვის საუკეთესოდ რაც მიმაჩნდა, მას საუბრებში ვუზიარებდი და საქმეებში ამის განხორციელებას ვურჩევდი. არ ვიცოდი, რომ რაღაც გზით, ჩემთვისვე შეუმჩნევლად, ტირანიის მომავალ დაშლას ვამზადებდი. დიონი ძალიან კარგად ითვისებდა ყველაფერს, მათ შორის იმას, რასაც მაშინ ვამბობდი. (b) მან [ყველაფერი] ისე ზუსტად და ღრმად შეისმინა, როგორც არც ერთმა სხვა ახალგაზრდამ, რომელიც ოდესმე შემხვედრია.

[32]

მან ისურვა, ცხოვრების დარჩენილი [ნაწილი] ეცხოვრა სხვაგვარად – არა ისე, როგორც ბევრი იტალიელი და სიცილიელი [ცხოვრობს], და სიქველე უფრო მეტად ჰყვარებოდა, ვიდრე სიამოვნება და სხვა ფუფუნება. ამიტომ ის სულ უფრო საძულველი [ხდებოდა] მათთვის, ვინც ტირანიის კანონებით არსებობდა. ასე იცხოვრა მან [უფროსი] დიონისიოსის სიკვდილამდე.

ამის შემდეგ [დიონმა] იფიქრა, რომ იქნებ არა მხოლოდ თავად მას, [არამედ სხვასაც] გასჩენოდა ის აზრი, რომელიც მას სწორი საუბრების [ან: განსჯის] შედეგად დაეზადა. (c) [მართლაც], ის დააკვირდა და შენიშნა, რომ [ასეთი აზრი] სხვებსაც გაუჩნდა; ბევრს არა, მაგრამ ზოგიერთს მაინც. ერთ-ერთი მათგანი, დიონის აზრით, შეიძლება [უმცროსი] დიონისიოსიც ყოფილიყო,

[33]

თუკი ღმერთები შეეწეოდნენ. ხოლო თუ ის მართლაც ასეთი გახდებოდა, მისი და სხვა სირაკუზელების ცხოვრება შეუდარებლად ბედნიერი შეიქმნებოდა. ამასთან ერთად, [დიონს] მიაჩნდა, რომ მე სასწრაფოდ უნდა ჩავსულიყავი სირაკუზაში, როგორც ამ საქმეებში

[მისი] მოკავშირე. (d) დიონს ახსოვდა თავისი ჩემთან ურთიერთობა, [ახსოვდა], როგორ ადვილად გაღვივდა მასში მისწრაფება უმშვენიერესი, საუკეთესო ცხოვრებისკენ. და თუ ახლა ამას დიონისიოსის შემთხვევაშიც მიაღწევდა (რასაც ცდილობდა კიდეც), მაშინ დიდი იმედი ექნებოდა, რომ სისხლისღვრისა და სიკვდილის გარეშე, იმ ბოროტებათა გარეშე, რომლებიც ახლა მოხდა, მთელ ქვეყანაში დაამყარებდა ბედნიერ, ჭეშმარიტ ცხოვრებას.

დიონმა სწორად განსაჯა. მან დაარწმუნა დიონისიოსი, რომ მე მივეწვიე და თვითონაც მაცნობა, რომ რაც შეიძლება სწრაფად ჩავსულიყავი, (e) სანამ სხვები, ვინც დიონისიოსის გარემოში ტრიალებდნენ, მას საუკეთესო ცხოვრების წესს არ ააცდენდნენ და სხვაგვარი ცხოვრებისკენ [არ უბიძგებდნენ]. თხოვნა მან ასე გამოხატა (საკმაოდ ვრცელია სათქმელად): «რა უფრო ხელსაყრელ დროს ველოდებით, იმაზე უკეთესს, რაც ახლა ღვთაებრივმა განგებამ გვარგუნა?» (328a) [ამის დასადასტურებლად] მან ჩამოთვალა [შემდეგი გარემოებები]: იტალიისა და სიცილიის მმართველობა და მასში თავისი ძალაუფლება, აგრეთვე დიონისიოსის ახალგაზრდობა და მონდომება. [დიონის] თქმით, ძალზე ძლიერი იყო დიონისიოსის [ლტოლვა] ფილოსოფიისა და აღზრდა-განათლებისადმი, ასევე მისი [ანუ დიონის] დისშვილებისა

[34]

და ახლობლების დარწმუნებაც ადვილი იქნებოდა იმ სიტყვისა და საქმის [სიმართლეში], რომლის შესახებ მუდამ ვსაუბრობდი; დიონისიოსის დარწმუნებასაც ყველაზე უფრო ისინი შეძლებდნენ. ასე რომ ახლა, [ამ ვითარებაში] თუ ეწერა სრულყოფილად ასრულება იმ იმედს, რომ ფილოსოფოსები და დიდი პოლისების არქონტები ერთი და იგივე პირები იქნებოდნენ.

[35]

(b) ეს [იყო მისი] მოწოდება და კიდეც მსგავსი სხვა მრავალი. ერთი მხრივ, შევშინდი ახალგაზრდების გამო: რა გამოვიდოდა აქედან? ასეთი [ადამიანების] სურვილები ხომ იმპულსურია და ხშირად

ურთიერთგამომრიცხავი. მეორე მხრივ, ვიცოდი დიონის სულის ზნე, ბუნებით მდგრადი და ასაკის გამოც უკვე ზომიერი. ასე ვფიქრობდი და ვყოყმანობდი, გავმგზავრებულიყავი და [მისთვის] დამეჯერებინა თუ როგორ მოვქცეულიყავი. ბოლოს მაინც იმ [აზრმა] გადაწონა, რომ უნდა [წავსულიყავი]: თუკი ოდესმე ვინმეს ეწერა (c) კანონებისა და სახელმწიფო წყობის შესახებ ნააზრევის ასრულება, სწორედ ახლა იყო ამის ცდის დრო. მხოლოდ ერთი [ადამიანი] უნდა დამერწმუნებინა საკმარისად და ყველა სიკეთეს აღვასრულებდი!

[პლატონის მეორედ გამგზავრება სიცილიაში: მიზეზები. მძიმე სიტუაცია დიონისიოსის წრეში; დიონის გაძევება. დიონისიოსის დამოკიდებულება პლატონისადმი]

ამ განზრახვით გაბედულად დავიძარი სახლიდან, და არა იმის გამო, რაც ზოგს ეგონა; [36] იმიტომ [გავემგზავრე], რომ ჩემივე თავის წინაშე ძალიან შემრცხვებოდა, ჩემივე თვალში გამოვჩენილიყავი [არა საქმის, არამედ] ცარიელი სიტყვის კაცად, რომელიც თავისი ნებით არავითარ საქმეს არ ჰკიდებს ხელს. რაც მთავარია, [წაუსვლელობის შემთხვევაში] ვულალატებდი დიონის სტუმართმოყვარეობასა და მეგობრობას; (d) დიონი კი ახლა ნამდვილად დიდი საფრთხის წინაშე იდგა. თუ მას ავნებდნენ, დიონისიოსი და სხვა მტრები თუ გააძევებდნენ, ის მოვიდოდა ჩვენთან, ლტოლვილი, და ასე მკითხავდა და მეტყოდა: «პლატონ! მოვედი შენთან, ლტოლვილი, არა იმიტომ, რომ ჰოპლიტები

[37]

მჭირდება ან ცხენები დამჭირდა მტრების მოსაგერიებლად; არა, [მე მჭირდება] სიტყვები და დარწმუნება, რომლითაც, ვიცი, განსაკუთრებით შენ შეგიძლია ახალგაზრდებს კეთილი და სამართლიანი საქმეებისკენ უბიძგო, რათა, რაც არ უნდა იყოს, მათ შორის სიყვარულმა და მეგობრობამ დაისადგუროს. (e) შენგან ეს მაკლდა, ამიტომ დავტოვე ახლა სირაკუზა და აქ ჩამოვედი. და მაინც, [თუ არ წახვალ], ჩემი [ბედი] ნაკლებ სირცხვილს მოგიტანს, [ვიდრე სხვა რამ]: შენ ხომ მუდამ აქებ ფილოსოფიას და ამბობ, რომ

სხვა ადამიანები მას პატივით არ ეპყრობიანო;

[38]

და განა ახლა, ჩემ გარდა, მასაც არ ღალატობ, [იმდენად, რამდენადაც ამის თავიდან არიდება] შენზე იყო დამოკიდებული? (329a) მეგარაში რომ გვეცხოვრა,

[39]

რა თქმა უნდა, ჩემს დამახეებაზე დასახმარებლად მოხვიდოდი; თუ არა და ყველაზე უფრო უკეთურ [ადამიანად] მიიჩნევდი საკუთარ თავს. ახლა კი გგონია, რომ მგზავრობის მანძილს, საზღვაო გზის სიდიდესა და გარჯის [სიმძიმეს] თუ მოიმიზეზებ, ოდესმე დაუსხლტები [შენზე] ცუდ წარმოდგენას? ეს ასე არ არის.» ამას რომ [დიონი] მეტყოდა, რა ღირსეულ პასუხს გავცემდი? ვერავითარს. სამართლიანად განვსაჯე – რამდენადაც ეს [საერთოდ] ადამიანისთვის არის შესაძლებელი – და ჩამოვედი ტირანიის გარემოში, (b) რომელიც, ჩანს, არც ჩემს სიტყვებს და არც მე შემეფერებოდა.

[40]

ხსენებულის გამო მივატოვე ჩემი – არც თუ ურიგო – საუბრები [ან: საქმიანობები].

[41]

ჩამოსვლით მოვიხადე ვალი ზევსის – სტუმარმასპინძლობის [მფარველის] წინაშე და უმწიკვლოდ გავიზიარე ფილოსოფოსის ხვედრი, რომელიც დასაძრახი გახდებოდა, თუკი, მოდუნებული და შეშინებული, ცუდ სირცხვილს ვჭამდი.

[42]

როცა ჩამოვედი – მოკლედ ვიტყვი – დავინახე, რომ დიონისიოსის მთელი გარემოცვა სავსე იყო უთანხმოებით და დიონს ტირანის წინაშე ცილს სწამებდნენ. (c) [მას] ვიცავდი, რამდენადაც შემეძლო, თუმცა ბევრი არაფერი შემეძლო. დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ დიონისიოსმა დიონს დააბრალა, რომ ის ტირანიის წინააღმდეგ

შეთქმულებას აწყობდა, შესვა ის პატარა გემზე და უპატიოდ გააძევა.

ამის შემდეგ დიონის ყველა მეგობარს გვეშინოდა, რომელიმე [ჩვენთაგანისთვის] არ დაებრალეებინა დიონის შეთქმულებაში თანამზრახველობა და შური არ ეძია. ჩემზეც დაირხა ხმა სირაკუზაში, ვითომ დიონისიოსის განკარგულებით მომკლეს, რადგან [ვითომდა] იმ ყველაფრის მიზეზი [ვიყავი], რაც მაშინ მოხდა. (d) [ამასობაში დიონისიოსმა] შეიტყო ჩვენი მდგომარეობის შესახებ და [თვითონვე] შეეშინდა, [ჩვენს] შიშს უარესი შედეგი არ გამოეღო. ამიტომ ყველა კეთილგანწყობით მიგვიღო. განსაკუთრებით მე მომმართავდა და მარწმუნებდა, თავი თამამად მეგრძნო. ყველა საშუალებით მთხოვდა, დავრჩენილიყავი: [მისი თქმით], ჩემი გაქცევით კარგი არაფერი გამოვიდოდა, დარჩენა კი [სასიკეთო იქნებოდა]; ამიტომ თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს ძალიან მთხოვდა. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ტირანების თხოვნა იძულებასთან წილნაყარია. (e) და ისიც შეეცადა ჩემი გამგზავრების შეფერხებას: აკროპოლისზე ამიყვანა[43] და [იქ] დამასახლა, საიდანაც ვერც ერთი მეზღვაური ვეღარ წამიყვანდა, თუ ამაში ხელს დიონისიოსი შეუშლიდა და სულაც ვინმეს არ გამოგზავნიდა, ვისაც [ჩემს] წაყვანას დაავალებდა. ვერც ვაჭარს და ქვეყნის ვერც ერთ მესაზღვრეს ვერ დავრჩებოდი შეუმჩნეველი, მარტო თუ [შევეცდებოდი] გამგზავრებას: (330a) შემიპყრობდნენ და მაშინვე ისევ დიონისიოსთან მიმიყვანდნენ, მითუმეტეს, რომ კვლავ დაირხა ხმა, [ამჯერად] იმის საწინააღმდეგო, რაც მანამდე იყო: ვითომდა დიონისიოსს პლატონი საოცრად უყვარდა.

რაში იყო საქმე? სიმართლე უნდა ითქვას.

დრო გადიოდა, და ის ეცნობოდა [ჩემი] ცხოვრების წესსა და ხასიათს და მართლაც სულ უფრო მეტად გამოხატავდა კეთილგანწყობას. მას სურდა, ის დიონზე უფრო მეტად შემექო, და უფრო გამორჩეულად მიმეჩნია მეგობრად, ვიდრე დიონი [მიმაჩნდა]. ამაში მას საოცრად სურდა გამარჯვება. მაგრამ ის თავს არიდებდა სწორედ იმას, რის



საფუძველზეც ეს ყველაზე უფრო მშვენივრად გამოვიდოდა, (b) თუკი [საერთოდ] გამოვიდოდა: სწავლას, ფილოსოფიის შესახებ საუბრების მოსმენას და [ამ გზით] ჩემთან ურთიერთობასა და სიახლოვეს. მას ეშინოდა ცილისმწამებლების, მათი მითქმა-მოთქმის, რაც მას ასე თუ ისე ხელ-ფეხს შეუკრავდა, და მაშინ დიონიც, [მისი აზრით], ყველაფერს მიაღწევდა. მე [ამ დროს] ყველაფერს ვიტანდი, და იგივე განზრახვა მქონდა, რომლითაც ჩამოვედი: [მიზნად მქონდა დასახული, მასში] როგორმე ფილოსოფოსის ცხოვრებისკენ მისწრაფება გაღვივებულიყო. მაგრამ მისმა წინააღმდეგობამ გაიმარჯვა.

[პლატონი რჩევათა მიცემის შესახებ: ვის მივცეთ რჩევა და ვის – არა? «ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების». ძალდატანება არ ივარგებს არც პირად ცხოვრებაში და არც პოლისში]

(c) სიციალიაში ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველი ხანა ამ ვითარებაში გავიდა. ამის შემდეგ გავემგზავრე და ისევ ჩამოვედი დიონისიოსის დაჟინებული მოწვევის შედეგად. თუ რის გამო [მოხდა ეს] და რომ ის, რაც გავაკეთე, იყო აზრიანი და სამართლიანი, ამას შემდეგ მოგიყვებით, რადგან სულ მეკითხებიან, რის გამო გადავწყვიტე მეორედ წასვლა; ჯერ კი იმას გირჩევთ, რა უნდა გაკეთდეს ამჟამინდელ ვითარებაში, რომ ისე არ მომივიდეს, რომ მეორეხარისხოვანი საქმე როგორც ძირითადი წარმოვადგინო. [ახლა კი] ამას გეტყვით:

(d) ვინც რჩევას აძლევს კაცს, რომელიც ავად არის და არაჯანსაღ ცხოვრებას ეწევა, სხვა რა უნდა [ურჩიოს], თუ არა ის, რომ ჯერ [თავისი] ცხოვრება უნდა შეცვალოს? და თუ [ავადმყოფმა] დაჯერება იწება, შემდეგ სხვა მითითებებსაც მისცემს. მაგრამ თუ არ ისურვა? მაშინ მას, ვინც მისთვის [შემდგომი] რჩევის მიცემისგან თავს შეიკავებს, მივიჩნევ კაცად და ექიმად, ხოლო ვინც [მაინც] განაგრძობს [მკურნალობის მცდელობას] – პირიქით, არაკაცურად და არაპროფესიონალად.[44] ასეა პოლისიც: (e) ეყოლება მას ერთი

ბატონი თუ მრავალი, თუკი სახელმწიფო წყობა სწორ გზას ადგას და რაიმე სასარგებლო რჩევა იქნება საჭირო, ვინც გონიერია, ასეთ [ხალხს] რჩევას მისცემს. მაგრამ შეიძლება იყვნენ ისეთებიც, ვინც სრულებით დასცილდნენ სახელმწიფო წყობის სწორ წესს, სულ არ სურთ მის კვალს გაჰყვნენ და მრჩეველსაც წინდაწინ აფრთხილებენ, არ გაბედოს სახელმწიფო წყობის შეცვლა, (331a) ხოლო თუ მაინც შეცვალა, დაიღუპება. მათი ბრძანებით, მათ ის უნდა ურჩიონ, რაც მათ სურვილებსა და მისწრაფებებს წაადგება,

[45]

რომ რაც შეიძლება ადვილად და სწრაფად [თავისი მიზნები] სამუდამოდ განახორციელონ. ამგვარ ვითარებაშიც მე არაკაცურად მიმაჩნია ის, ვინც რჩევების მიცემას განაგრძობს, ხოლო ვინც არ განაგრძობს – კაცად.

ასეთია ჩემი აზრი. და როცა ადამიანი რჩევას მეკითხება მისი ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანეს [საკითხებზე], იქნება ეს ფულის მოხვეჭა თუ (b) სხეულის ან სულისთვის ზრუნვა – თუ მიმაჩნია, რომ ის ყოველდღიურად შესაბამისი წესით ცხოვრობს, ან, როცა რჩევას ვაძლევ, სურს დამიჯეროს ის, რასაც ისმენს, მეც სიხარულით ვაძლევ რჩევებს, და არა მხოლოდ იმისთვის, რომ ვალი მოვიხადო და მოვისვენო. ხოლო ვინც რჩევას სულ არ მეკითხება, ან, რჩევას რომ ვაძლევ, აშკარად არ მიჯერებს, ასეთ [ადამიანთან] საკუთარი ინიციატივით რჩევის მისაცემად არ მივალ და არავის ვაიძულებ [მომისმინოს], საკუთარ შვილსაც კი. მონას მივცემდი რჩევას და თუ არ ისურვებდა [დაჯერებას], ვაიძულებდი. (c) ხოლო მამისა და დედის იძულება უწმინდურ საქმედ მიმაჩნია, თუ ავადმყოფობამ მათ საღი გონება არ დაუბინდა.

[46]

[საზოგადოდ კი], თუ ისინი ცხოვრების რაღაც გარკვეულ წესს მისდევენ, რომელიც მათ მოსწონთ, მე კი არა, – ასეთ შემთხვევაში მათ თავს არ შევადულებდი ამაო ჭკუის დარიგებით, არც პირფერობით მოვემსახურებოდი [მათი იმ] სურვილების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც თავადაც არ ვისურვებდი, რომ

ცხოვრებაში მქონდეს.

გონიერი [ადამიანი] თავისი პოლისის შესახებაც ასე უნდა ფიქრობდეს და ამ ფიქრით ცხოვრობდეს. (d) მან უნდა თქვას [სათქმელი], თუ მოეჩვენა, რომ სახელმწიფოს მართვა კარგად არ წარიმართება – [ოღონდ იმ შემთხვევაში], თუ არ არის მოსალოდნელი, რომ მისი ლაპარაკი ფუჭად ჩაივლის ან [მას ეს] ლაპარაკი დაღუპავს; მაგრამ ნუ მიაყენებს სამშობლოს დარტყმას სახელმწიფო გადატრიალებით, თუ [ხედავს, რომ ადამიანთა] გაძევებისა და მსხვერპლის გარეშე საუკეთესო სახელმწიფო წყობა მიუღწეველია; პირიქით, შეინარჩუნოს სიმშვიდე და ილოცოს იმისთვის, რომ სიკეთე [მიეცეს] მასაც და პოლისსაც.

[პლატონისა და დიონის რჩევები დიონისიოსს. რისთვის არის მნიშვნელოვანი სანდო, თანამოაზრე მეგობრების ყოლა? საკუთარ თავთან თანხმობა]

იმასვე გირჩევთ, რასაც დიონისიოსს ვურჩევდი დიონთან ერთად: იცხოვრეთ, უპირველეს ყოვლისა, ყოველი დღე ისე, რომ მაქსიმალურად იყოთ საკუთარი თავის განმგებელი; (e) შეიძინეთ ერთგული მეგობრები და თანამზრახველები, რომ ის არ მოგივიდეთ, რაც მამამისს დაემართა: ის დაეპატრონა სიცილიის ბევრ დიდ ქალაქს, ბარბაროსთა მიერ გაპარტახებულს, დაასახლა ისინი, მაგრამ ვერც ერთ მათგანში ვერ დაამყარა თანამზრახველი ადამიანების [დახმარებით] სანდო სახელმწიფო წყობა (332a); [მას ამისთვის არ გამოადგნენ] არც უცხოელები და არც ძმები, რომლებიც თვითონ გაზარდა (ისინი მასზე ახალგაზრდები იყვნენ) და კერძო პირებიდან აქცია არქონტებად, ლარიბებიდან – ძალიან მდიდრებად; და მაინც, [მათგან] ვერავინ შეიძინა მმართველობაში მოკავშირედ, ვერც დარწმუნებით, ვერც დარიგებით, ვერც სიკეთით თუ ნათესაური დამოკიდებულების გამოვლინებით. ამიტომ ის შვიდგზის უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე დარიოსი: მიუხედავად იმისა, რომ დარიოსს არ ჰყოლია დასაყრდენი ძმებისა და

აღზრდილების სახით, და ჰყავდა მხოლოდ მოკავშირეები, რომლებიც მიდიელისა და ევნუქის დამარცხებაში დაეხმარნენ,[47] (b) [მან შეძლო სახელმწიფოს] შვიდ ნაწილად დაყოფა, რომელთაგან თითოეული მთელ სიცილიაზე დიდია; ის სანდო მოკავშირეებს დაეყრდნო, რომლებიც არც მის და არც ერთმანეთის წინააღმდეგ შეთქმულებებს არ აწყობდნენ. ამით მან მაგალითი მოგვცა, როგორი უნდა იყოს კარგი კანონმდებელი და მეფე: მან შემოიღო კანონები, [რომელთა საფუძველზე] სპარსელთა სამეფო დღემდე შემოინახა. ამას ათენელების [მაგალითიც] დავუმატოთ. ისინი თვითონ არ დასახლებულან ელინთა მრავალრიცხოვან პოლისებში, რომლებსაც [მანამდე] ბარბაროსები ესხმოდნენ თავს; მათ ისინი დასახლებულნი დაიკავეს, (c) და მაინც, სამოცდაათი წელი შეინარჩუნეს მმართველობა, რადგან თითოეულ პოლისში ერთგული ადამიანები შეიძინეს. დიონისიოსი კი, რომელმაც მთელ სიცილიას ერთ პოლისში მოუყარა თავი და ჭკუით არავის ენდობოდა, თავი ძლივს იხსნა, სწორედ იმიტომ, რომ მეგობრებსა და სანდო ადამიანებს იყო მოკლებული. და განა რა მიანიშნებს უკეთესად ვინმეს სიქველესა თუ ბოროტებაზე, თუ არა ის [ფაქტი], ჰყავს თუ არა მას [გვერდით] ასეთი ადამიანები?

ამას ვურჩევდით დიონისიოსს მეც და დიონიც. (d) მამამისის ბრალი იყო, რომ მისთვის უცხო იყო აღზრდა, უცხო იყო შესაფერის ადამიანებთან ურთიერთობა. ამიტომ მას, პირველ რიგში, იმისკენ უნდა მიემართა ძალისხმევა, რომ შეეძინა მეგობრები მისივე ახლობელთა და თანატოლთა შორის, რომლებიც სიქველის საკითხში [მისი] თანამზრახველები იქნებოდნენ. უპირველეს ყოვლისა კი ის თვითონ უნდა ყოფილიყო საკუთარ თავთან თანხმობაში; მას კი სწორედ ეს აკლდა საოცრად.

ამ თემებზე აშკარად არ ვსაუბრობდით; ეს უსაფრთხო არ იყო. ჩვენ მხოლოდ მივანიშნებდით და კამათში არგუმენტებით [ვაჩვენებდით], რომ [მხოლოდ] ამ გზით იხსნიდა ნებისმიერი ადამიანი საკუთარ თავს და მათაც, ვისი წინამძღოლიც გახდებოდა, (e) ხოლო თუ ამას არ გააკეთებდა, სრულიად საწინააღმდეგო

[შედეგს] მიიღებდა. მაგრამ თუ ისე მოიქცეოდა, როგორც ვამბობდით, თვითონაც კეთილგონიერი და ჭკვიანი გახდებოდა, დაცარიელებულ სიცილიურ პოლისებს დაასახლებდა და კანონებითა და სახელმწიფო წყობით განამტკიცებდა (ამის შედეგად [ისინი] მისთვისაც ახლობლები გახდებოდნენ და ერთმანეთსაც დაეხმარებოდნენ ბარბაროსებთან დაპირისპირებაში), (333a) მაშინ ის არა მხოლოდ გააორმაგებდა მამისეულ ხელისუფლებას, არამედ ნამდვილად გაამრავალკეცებდა მას. და თუ ეს მოხდებოდა, კართაგენელები ბევრად უფრო მეტად დაემორჩილებოდნენ, ვიდრე გელონის დროს იყვნენ მორჩილნი,[48] და არ იქნებოდა ისე, როგორც ახლა, როცა, პირიქით, მამამისს უნდა ეხადა ხარკი ბარბაროსებისთვის.

[დიონის შემდგომი ბედი; გაძევება სიცილიიდან; დაბრუნება ათენიდან სიცილიაში. ღალატი. რას ეფუძნება სანდო მეგობრობა? რამდენად სამარცხვინოა პოლისისთვის რამდენიმე მოღალატე მოქალაქის საქციელი?]

ეს იყო ის სიტყვები და მოწოდებები, რომლებითაც ჩვენ [თითქოს] შეთქმულებებს ვაწყობდით დიონისიოსის წინააღმდეგ – ასეთი ხმები მისდიოდა მას მრავალი მხრიდან. მათ იმძლავრეს დიონისიოსის გარემოში და [ამის შედეგად] დიონი გააძევეს, ჩვენ კი შიშის ზარი დაგვცეს.

(b) მოკლედ დავასრულოთ გრძელი სათქმელი. პელოპონესიდან და ათენიდან დიონი ჩამოვიდა და დიონისიოსს უკვე საქმით ასწავლა ჭკუა.[49] მან ქალაქი გაათავისუფლა და ხელმეორედ გადასცა სირაკუზელებს, თუმცა მათ შემდეგ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ დიონის მიმართ, როგორც დიონისიოსს. დიონი ცდილობდა, [დიონისიოსი] ალეზარდა და მოემზადებინა [ისეთ] მეფედ, რომელიც მმართველობის ღირსია და მასთან მთელი ცხოვრება ასეთ [საქმიანობაში] გაეტარებინა. (c) მაგრამ დიონისიოსი ცილისმწამებლებს [უჯერებდა]: ისინი ამბობდნენ, რომ დიონს

ფარული ზრახვები უბიძგებდა ტირანისკენ და ყველაფერს, რასაც მაშინ აკეთებდა, იმისთვის აკეთებდა, რომ [დიონისიოსის] გონება აღზრდა-განათლებით ყოფილიყო დაკავებული, მმართველობისთვის არ ეზრუნა და ის [დიონისთვის] გადაეცა. [მაშინ დიონიც] თავისას მიაღწევდა და დიონისიოსს ეშმაკობით მმართველობას ჩამოაცილებდა. ამგვარმა ხმებმა სირაკუზელებში მეორედაც იმარჯვა, თუმცა ეს ძალზე უადგილო და სამარცხვინო გამარჯვება იყო მათთვის, ვინც გამარჯვების მიზეზი იყო.

(d) როგორ მოხდა [ეს]? მომისმინეთ, ვინც დღევანდელი საქმეების გამო მიხმობთ.

[50]

მე, ათენელი მოქალაქე, დიონის ახლობელი, მისი თანამებრძოლი, ჩავედი ტირანთან, რომ ომის ნაცვლად მეგობრობა დამემყარებინა. ცილისმწამებლებთან ბრძოლაში მე დავმარცხდი. მაგრამ როდესაც დიონისიოსი პატივისცემისა და ფულის მეშვეობით მარწმუნებდა, მის გვერდით მოწმედ და თანამზრახველად დავმდგარიყავი და მის სასარგებლოდ [მეთქვა], რომ დიონის გაძევება მიზანშეწონილი იყო, ამაში ის მწარედ შეცდა.

(e) შემდგომში, როდესაც დიონი შინ ბრუნდებოდა, მან ათენიდან თან გაიყოლა ორი [ნაცნობი] ძმა.

[51]

ისინი ფილოსოფიის ნიადაგზე კი არ გახდნენ [დიონის] მეგობრები, არამედ ჩვეულებრივი ამხანაგობის საფუძველზე, რომელიც მეგობართა უმრავლესობას ახასიათებს და სტუმარმასპინძლობის, ზიარებისა და მისტერიებში თანამონაწილეობის შედეგად ყალიბდება.

[52]

ეს ორნი, რომლებიც [დიონს] უკანა გზაზე თან ახლდნენ, მისი

მეგობრები და ახლობლები გახდნენ სწორედ ამ მიზეზებისა და იმ სამსახურის შედეგად, რომელიც მათ გზაში გასწიეს.

(334a) სიცილიაში ჩამოსვლისას მათ შეიტყვეს, რომ სიცილიელთა შორის, რომლებიც სწორედ დიონმა გაანთავისუფლა, გავრცელდა ბრალდება, თითქოს [დიონი] ტირანად გახდომას ლამობდა. მაშინ [ამ კაცებმა] არა მხოლოდ უღალატეს [დიონს – მათ] ახლობელსა და მასპინძელს, არამედ ფაქტობრივად საკუთარი ხელით მიიღეს [მის] მკვლელობაში მონაწილეობა: იარაღით ხელში ისინი თანაშემწეებად გვერდში ედგნენ მკვლელებს. ამ სამარცხვინო და უღვთო [საქციელს] გვერდს ვერ ავუვლი, მაგრამ მასზე მეტსაც არაფერს ვიტყვი. ბევრი ცდილობს და მომავალშიც ეცდება მის აღწერას. (b) [ოლონდ] არ ვიზიარებ ათენელების შესახებ ნათქვამს, რომ ამ [კაცებმა] სირცხვილი მოუტანეს ქალაქს. მე ასე ვიტყვოდი: ისიც ხომ ათენელი იყო, რომელმაც არ უღალატა იმავე კაცს, თუმცა შეეძლო ფულისა და სხვა მრავალი პატივის მიღება; [არ უღალატა], რადგან არა უბრალო მეგობრობის შედეგად გახდა მეგობარი, არამედ თავისუფალი აღზრდა-განათლებით განპირობებული ერთობის საფუძველზე.

[53]

ვინც გონიერია, ამ ერთობას უფრო მეტად უნდა ენდოს, ვიდრე სულებისა თუ სხეულების ნათესაობას. (c) ამიტომ არ მიმაჩნია დიონის ორი მკვლელი იმის [თქმის] ღირსად, რომ მათ ქალაქს სირცხვილი მოუტანეს:

[54]

ისინი არასდროს ყოფილან გამორჩეული კაცები.

[პლატონის რჩევები დიონის მომხრეებს. ვის ვენდოთ: ადამიანებს-დესპოტებს თუ კანონებს? რა სურდა დიონს? როგორი უნდა იყოს კანონები გამარჯვებულებისა და დამარცხებულებისთვის? უსამართლობის დათმენა სჯობს მის ჩადენას. «სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა». ფილოსოფიისა და მმართველი ძალის შერწყმის იდეალი: გონივრულობაზე

დამყარებული და სამართლიანობის პრინციპით აგებული სახელმწიფო. ცოდნის, განათლების მნიშვნელობა. უვიცობის მწარე შედეგები. გამარჯვებულებმა უნდა ისწავლონ თავისი თავის მართვა და შეწყვიტონ დამარცხებულთა დევნა და შურისძიება; წინააღმდეგ შემთხვევაში დაპირისპირებებს ბოლო არ ექნება]

ყველაფერი ეს ითქვა რჩევის სახით დიონის მეგობრებისა და ნათესავებისთვის. ამასთან ერთად, ვიძლევი იმავე რჩევას და ვამბობ იმავე სიტყვას უკვე მესამედ – თქვენთვის, მესამეებისთვის.[55]

ნუ დაემორჩილება სიცილია, ნურც სხვა პოლისი, ადამიანებს-დესპოტებს, – ასეთია ჩემი სიტყვა – არამედ [დაემორჩილოს] კანონებს. [დესპოტებისადმი მორჩილება] არაფრით არის კარგი არც მათთვის, ვინც იმორჩილებს და არც მათთვის, ვინც დამორჩილებულია. (d) ის ცუდია მათთვის, [მათი] შვილთაშვილებისა და შთამომავლებისთვის. ასეთი გამოცდილება სრულიად დამღუპველია. მხოლოდ მდაბალ და არათავისუფალ სულებს მოსწონთ ამგვარი სარგებლის მოხვეჭა; მათ არაფერი გაეგებათ იმისა, რა არის ღვთაებრივი და ადამიანური სიკეთე თუ სამართლიანობა მომავალსა ან აწმყოში.

ვეცადე, ამ [ჭეშმარიტებაში] ჯერ დიონი დამერწმუნებინა, შემდეგ დიონისიოსი, მესამე კი თქვენ ხართ. დამიჯერეთ, ზევსის – მესამე მხსნელის გულისთვის.

[56]

შეხედეთ დიონისიოსსა და დიონს: მათგან ერთმა არ დამიჯერა და ახლა ცუდად ცხოვრობს, მეორემ კი დამიჯერა და მშვენიერი სიკვდილით დაიღუპა.

[57]

(e) როცა იმისკენ მიისწრაფვი, რაც უმშვენიერესია საკუთარი თავისა და პოლისისთვისაც, მაშინ დათმენა დასათმენისა სავსებით სწორია



და მშვენიერიც.

[58]

ჩვენ შორის უკვდავი არავინ არის, და [ასეთი] რომც ყოფილიყო, ვერ გახდებოდა – როგორც ეს ბევრს ჰგონია – ბედნიერი: (335a) ცუდი თუ კარგი სრულიად მოკლებულია მნიშვნელობას მათთვის, ვისაც სული არა აქვს; ეს [ორი რამ მხოლოდ] სულს ეხება, იქნება ის სხეულთან ერთად თუ ცალკე. ძველი და წმინდა სიტყვებისა გვწამდეს უნდა მუდამ;

[59]

ისინი გვაუწყებენ: სული უკვდავია, ის გასამართლდება და მას უდიდესი საზღაური მიეგება, როცა სხეულისგან განთავისუფლდება. ამიტომაც უფრო მცირე ბოროტებად უნდა მივიჩნიოთ დიდი შეცდომებისა და უსამართლობების დათმენა, ვიდრე ჩადენა.

[60]

(b) თუმცა, ანგარებიანი, სულით ღარიბი კაცი ამას არც მოისმენს, და რომც მოისმინოს, სასაცილოდ მოეჩვენება. ის უსირცხვილოდ იტაცებს ყველგან ყველაფერს, რაც, როგორც მხეცს, ჰგონია, რომ არის საჭმელი, სასმელი, ან რამაც იმ მდაბიო და საზიზღარი სიამოვნებით შეიძლება აღავსოს, რომელიც არასწორად ატარებს აფროდიტეს სახელს.

[61]

ის ყრუ არის და ვერ ხედავს, რა საჭმეებს მოსდევს თან აღვირახსნილობა, და რა დიდი ბოროტება [მოჰყვება] ყოველგვარ უსამართლობას; (c) უსამართლობის ჩამდენი აუცილებლად თან დაათრევს [ბოროტებას] ამქვეყნიურ არსებობაში და მიწისქვეშეთშიც ყველგან სრულიად უღირსი და საცოდავი მოგზაურობა [ერგება წილად].

[62]

ამას და სხვა ამდაგვარს ვეუბნებოდი დიონს და ვარწმუნებდი მას.

მის მკვლევლებზე კი სრულიად სამართლიანად ვარ განრისხებული; ასევე დიონისიოსზე, რადგან ორივემ, [მკვლევლებმაც და დიონისიოსმაც], მე და ყველა სხვა ადამიანსაც, შეიძლება ითქვას, უდიდესი ზიანი მოგვაყენეს: პირველებმა იმით, რომ დალუპეს [კაცი], რომელსაც სამართლიანობის განხორციელება სურდა, მეორემ კი იმიტომ, რომ არ ისურვა სამართლიანობა განეხორციელებინა მთელი [თავისი] მმართველობის მანძილზე, თუმცა [ამისთვის] უდიდესი ძალაუფლება გააჩნდა. (d) ამ [მმართველობაში] ფილოსოფია და ძალაუფლება მართლაც რომ ერთ მთლიანობად შერწყმულიყო,

[63]

[მათი ნათელი] გაბრწყინდებოდა ყველა ადამიანთა შორის, ელინებსა და ბარბაროსებშიც, და მაშინ ყველასთვის სარწმუნო შეიქმნებოდა [ის] ჭეშმარიტი შეხედულება, რომლის თანახმად ვერც პოლისი და ვერც ნებისმიერი კაცი ვერასდროს გახდება ბედნიერი, თუ ცხოვრებას გონივრულად და სამართლიანად არ გაატარებს, [სულ ერთია], ის თავად შეიძენს [ამ სიქველევებს] თუ ღვთისმოსავი კაცების ხელმძღვანელობით ზნეობრივ აღზრდასა და სწორ განათლებას მიიღებს.

[64]

(e) ასეთი ზიანი მოიტანა დიონისიოსმა. ამასთან შედარებით ის ზიანი, რომელიც მე მომაყენა, მცირე ჩანს.

დიონის მკვლელმა კი არც იცის, რომ იგივე გააკეთა, რაც დიონისიოსმა. დიონის შესახებ დანამდვილებით ვიცი (რამდენადაც ადამიანი შეიძლება იყოს დარწმუნებული [სხვა] ადამიანთან დაკავშირებით): მას რომ მმართველობა მიეღო, (336a) ის არასდროს მიმართავდა მმართველობის სხვაგვარ ფორმას გარდა იმისა, რომ ჯერ სირაკუზა – მისი სამშობლო – დამონებული მდგომარეობიდან გამოეხსნა, განეწმინდა და გაენთავისუფლებინა, შემდეგ კი ყველა ხერხით მოქალაქეთა [ცხოვრება] შესაფერისი და საუკეთესო კანონებით მოეწესრიგებინა. ამის შემდეგ მისი სამოქმედო გეგმა

ითვალისწინებდა მთელ სიცილიაში [ხალხის] დასახლებას და [ქვეყნის] ბარბაროსებისგან განთავისუფლებას. [ამისთვის] ის ზოგს გააძევებდა, სხვებს დაიმორჩილებდა, და [ამას] უფრო ადვილად [მოახერხებდა], ვიდრე [ეს] ჰიერონმა [შეძლო].

[65]

ეს რომ სამართლიან, ვაჟკაც, კეთილგონიერ და ფილოსოფოს კაცს გაეკეთებინა, (b) ბევრს იგივე წარმოდგენა შეექმნებოდა სიქველეზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველა ადამიანს გაუჩნდებოდა და მათ იხსნიდა, დიონისიოსს რომ [ჩვენთვის] დაეჯერებინა. ახლა კი [თითქოს] ვინმე დემონი თუ ბოროტმოქმედი თავს დაგვესხა უკანონობით, უღმრთობით და – რაც მთავარია – უვიცობის თავხედობით

[66]

(ყოველგვარი ბოროტება მისგან აღმოცენდება, იზრდება და შემდეგ ნაყოფს იღებს, უმწარესს [მათთვის, ვინც მას] წარმოშობს); სწორედ ამან დააქცია და დაღუპა ყველაფერი ხელმეორედ.

[67]

(c) ახლა კი, მესამედ [მაინც] რომ ბედი გვწყალობდეს, სიკეთის მომასწავებელი სათქმელი ვთქვათ. გირჩევთ, რომ თქვენ, მეგობრებმა, მიზამოთ დიონს სამშობლოსათვის ზრუნვასა და ცხოვრების გონივრულ წესში, და როდესაც ფრინველები უკეთეს ნიშანს მოგცემენ, შეეცადეთ აღასრულოთ მისი სურვილები; თუ რა იყო [ეს სურვილები], ჩემგან ნათლად მოისმინეთ. (d) ვისაც დორიულად ცხოვრება – ისე, როგორც მამები ცხოვრობდნენ – არ შეუძლია, ვინც დიონის მკვლევლებისა და სიცილიური ცხოვრების წესს მისდევს, [მათ] ნურც მოუწოდებთ და ნურც იფიქრებთ, რომ ოდესმე რაიმე სანდოსა და ჯანსაღს გააკეთებენ. სხვებს კი მოუწოდეთ, რომ იზრუნონ მთელ სიცილიაში განსახლებისა და თანასწორი კანონებისთვის. [მოუწოდეთ მათ ამისთვის] სიცილიიდან და მთელი პელოპონესიდან, და ნურც ათენის

შეგეშინდებათ. იქაც არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისგან სიქველით გამოირჩევიან და სძულთ სტუმართმოყვარე მასპინძლის მკვლელი.

(e) მაგრამ თუ ეს მომავლის საქმეა, თქვენ კი ყოველდღიურად ბევრი სხვადასხვა დაპირისპირება გტანჯავთ, მაშინ ნებისმიერი კაცი, რომელსაც ღვთაებრივმა განგებამ სწორი აზრის ნაპერწკალი მაინც არგუნა, [მიხვდება], რომ დაპირისპირებებში ბოროტებას ბოლო არ მოეღება, სანამ ბრძოლებში გამარჯვებულები არ შეწყვეტენ შურისძიების მიზნით ადამიანთა გაძევებას, მკვლელობასა და მტრებისთვის სამაგიეროს გადახდას. (337a) [გამოსავალი ერთია: მათ უნდა ისწავლონ] საკუთარი თავის მართვა და შექმნან [ყველასთვის] საერთო კანონები. [ამ კანონებმა] მათ, [გამარჯვებულებს], იმაზე მეტი სიამოვნება არ უნდა მოუტანოს, ვიდრე დამარცხებულებს. [ამით გამარჯვებულები] აიძულებენ [დამარცხებულებს], ისარგებლონ კანონებით, რომლებსაც ორმაგი იძულების ძალა აქვთ: მოწიწებისა და შიშის.

[68]

შიშის იმიტომ, რომ ვინც [დამარცხებულებზე] უფრო ძლიერია, [თავისი] ძალა აჩვენა, მოწიწების კი იმიტომ, რომ [გამარჯვებულებმა თავისი] ძლიერება სიამოვნებებისადმი [თავშეკავებული დამოკიდებულებით] გამოამყლავნეს და ამჯობინეს და შეძლეს კიდევ კანონებისადმი მორჩილება. სხვაგვარად ვერასდროს შეძლებს პოლისი, რომელშიც დაპირისპირებებია, ბოროტებებს ბოლო მოუღოს. (b) დაპირისპირება, მტრობა, სიძულვილი და უნდობლობა მუდამ ჩნდება ამგვარად აგებულ პოლისებში.

[69]

გამარჯვებულებმა, თუკი მათ ხსნა სურთ, აუცილებლად თვითონვე საკუთარი რიგებიდან უნდა ამოირჩიონ კაცები, რომლებიც ელინთა შორის საუკეთესოდ მიაჩნიათ. ესენი უნდა იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, ხანდაზმულები, მათ შინ უნდა ჰყავდეთ შვილები და ცოლები, და რაც შეიძლება ბევრი წინაპარი, კარგი და სახელოვანი;

ამასთანავე, ყველას საკმარისი ქონება უნდა გააჩნდეს (c) (ათასკაციან პოლისზე ორმოცდაათი ასეთი [კაცი] საკმარისი იქნებოდა).

[70]

თხოვნითა და უდიდესი პატივის მიგებით ისინი სახლებიდან უნდა გამოიწვიონ. გამოწვეულები ფიცს დადებენ. მათ სთხოვენ და მოსთხოვენ კანონების შექმნას, ისე, რომ არც გამარჯვებულებს და არც დამარცხებულებს მიუჩინონ მეტი, არამედ თანასწორად და ზიარად მთელ პოლისში.

კანონების შექმნის შემდეგ მთავარი ეს იქნება: (d) თუ თავად გამარჯვებულები უფრო მეტად დაემორჩილებიან კანონებს, ვიდრე დამარცხებულები, მაშინ ყველაფერში იქნება ხსნა და ბედნიერება, და ყოველგვარი ბოროტება თავიდან იქნება აცილებული. მაგრამ თუ ეს არ მოხდა, მაშინ ნურც მე და ნურც სხვას ნუ მოუწოდებთ თანამშრომლობისკენ მასთან, ვისაც არ სურს დაემორჩილოს ახლა განსაზღვრულ [წესებს]. ეს ჰგავს იმას, რის განხორციელებასაც სირაკუზის საკეთილდღეოდ დიონი და მე ერთად ვცდილობდით. ეს მეორე [შემთხვევა] იყო.

[71]

მანამდე კი იყო პირველი მცდელობა, როცა თავად დიონისიოსთან ერთად შევეცადე ყველასთვის საერთო სიკეთისთვის მიმეღწია. მაშინ რალაც შემთხვევამ, ადამიანებზე ძლიერმა, [ეს] გააქარწყლა. (e) ახლა კი თქვენ შეეცადეთ ამის უფრო წარმატებით განხორციელებას, კეთილი ბედით და ღვთაებრივი განგების ხელშეწყობით.

[სიცილიაში მეორედ გამგზავრება და ამ მგზავრობის დასასრული. მესამედ გამგზავრების მიზეზები. ფილოსოფია. პატივმოყვარეობა]

ესაა ჩემი რჩევა და წერილი, და ამბავი [უმცროს] დიონისიოსთან ჩემი პირველი ჩასვლის შესახებ. მეორედ გამგზავრება და გემით მოგზაურობაც ისე განხორციელდა, როგორც საჭირო და დაგეგმილი

იყო. ვისაც სურს, ამის შესახებ ახლა ისმინოს.

(338a) სიცილიაში ჩემი ყოფნის პირველი პერიოდი დამთავრდა, როგორც ვთქვი, სანამ დიონის ნათესავებს და მეგობრებს რჩევებს მივცემდი.[72] ამის შემდეგ შევეცადე, რამდენადაც შემეძლო, დამერწმუნებინა დიონისიოსი, რომ გავეშვი; ორივე შევთანხმდით, რომ ეს მაშინ მოხდებოდა, როცა მშვიდობა დამყარდებოდა – მაშინ ომი იყო სიცილიაში. დიონისიოსმა თქვა, რომ დიონს და მე კვლავ მოგვიწვევდა, როდესაც თავის მმართველობას განამტკიცებდა. ამასთანავე, მან დიონისგან მოითხოვა, რომ იმის გამო, რაც მაშინ დაემართა, თავი დევნილად არ მიეჩნია, და [წასვლა უბრალო] ადგილმონაცვლეობად ჩაეთვალა. (b) ამ ვითარებაში დავთანხმდი, რომ [კვლავ] ჩამოვიდოდი.

მშვიდობა დამყარდა და [დიონისიოსმა კვლავ] მიმიწვია, დიონს კი სთხოვა, კიდევ ერთი წელი შეყოვნებულიყო. ჩემგან მოითხოვდა, აუცილებლად ჩავსულიყავი. დიონიც მომიწოდებდა და მთხოვდა, გავმგზავრებულიყავი. სიცილიიდანაც მრავალგზის დაირხა ხმა, რომ ახლა დიონისიოსი კვლავ საოცრად შეიპყრო ფილოსოფიისადმი ლტოლვამ. ამიტომ დიონი დაბეჯითებით გვთხოვდა, მოწვევაზე უარი არ გვეთქვა. (c) მე კი ვიცოდი, რომ ახალგაზრდებს ფილოსოფიის მიმართ ასეთი რამ ხშირად ემართებათ, თუმცა მაშინ ბევრად უფრო უსაფრთხოდ მეჩვენა, უარი მეთქვა დიონისა და დიონისიოსისთვისაც. ჩემი პასუხით ორივე მოვიმდურე: [ვთქვი], რომ მოხუცი ვიყავი და რაზეც შევთანხმდით, იქიდან ახლა არაფერი კეთდებოდა.

ჩანს, ამის შემდეგ დიონისიოსთან არქიტე ჩავიდა.

[73]

გამგზავრებამდე მე შევუწყე ხელი სტუმართმოყვრული და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, [ერთი მხრივ], არქიტესა და ტარენტელებს, [მეორე მხრივ კი] დიონისიოსს შორის. (d) სხვებიც

იყვნენ სირაკუზაში, ვისაც დიონისიგან რაღაც სმენია, მათ შორის ისეთებიც, ვინც აქა-იქ ყურმოკრულად ძღება ხოლმე ფილოსოფიით. ალბათ, ისინი დიონისიოსთან საუბარს ამგვარ თემებზე ცდილობდნენ, რადგან [ეგონათ], რომ დიონისიოსს ყველა ჩემი ნააზრევი სმენია. საზოგადოდ, სწავლაში დიონისიოსი უნიჭო არ არის; ამასთანავე, ის საოცრად პატივმოყვარეა. (e) მას, რა თქმა უნდა, მოსწონდა რასაც ლაპარაკობდნენ, თან რცხვენოდა, არ გამჟღავნებულყო, რომ არაფერი სმენია მაშინ, როცა მე [მასთან] ვცხოვრობდი. ამიტომ გაუჩნდა სურვილი, [ეს ყველაფერი] უფრო ზუსტად მოესმინა, თან პატივმოყვარეობაც უბიძგებდა [ამისკენ]. ხოლო თუ რატომ არ მისმინა ჩემი წინა ყოფნის დროს, ამის შესახებ ეს-ეს არის ზემოთ გაუწყეთ.

[74]

შინ მშვიდობით გამოვალწიე. მან ხელმეორედ მიმიწვია, მე კი, როგორც ახლა გითხარით, უარი შევუთვალე. მე მგონია, დიონისიოსი მთლიანად შეიპყრო პატივმოყვარეობამ: (339a) [არ უნდოდა], ვინმეს ეფიქრა, რომ მის ნიჭსა და შესაძლებლობას არაფრად ვაგდებდი და, რადგან თავად გამოვცადე მისი ცხოვრების წესი, უკმაყოფილო ვიყავი და მასთან ჩასვლა არ მსურდა.

ვალდებული ვარ, სიმართლე ვთქვა და ავიტანო, თუნდაც ვინმემ, ვინც ისმენს, რაც მოხდა, არაფრად ჩააგდოს ჩემი ფილოსოფია, ხოლო ტირანი ჭკვიანად მიიჩნიოს.

და აი, დიონისიოსმა მესამედ მიმიწვია,

[75]

ამჯერად მგზავრობის გასაადვილებლად ტრიერაც

[76]

გამოგზავნა; მან გამოგზავნა არქიტეს ერთ-ერთი მეგობარი, არქედემოსი, რომელსაც, მისი აზრით, ყველაზე უფრო ვაფასებდი

სიცილიაში, (b) აგრეთვე ჩემი სხვა სიცილიელი ნაცნობები. ყველა ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: რა საოცარ წარმატებას მიაღწია დიონისიოსმა ფილოსოფიაში. [თავად დიონისიოსმა] ძალიან გრძელი წერილი მომწერა; მან იცოდა დიონისადმი ჩემი დამოკიდებულება და ისიც იცოდა, რომ დიონსაც სურდა, გავმეზავრებულიყავი და სირაკუზაში ჩავსულიყავი. [წერილი] ყოველივე ამის [გათვალისწინებით] იყო შეთხზული. ის ასე იწყებოდა: «დიონისიოსი პლატონს», (c) რასაც ჩვეული გამოთქმები მოსდევდა, შემდეგ კი უშუალოდ [ეს იყო ნათქვამი]: «თუ დაგვიჯერებ და ახლა სიცილიაში ჩამოხვალ, მაშინვე დიონთან დაკავშირებით შენთვის საქმე ისე აეწყობა, როგორც თავად გასურს (ვიცი, რომ გონივრული სურვილი გექნება, და მე [მასზე] დავთანხმდები); ხოლო თუ არ [ჩამოხვალ], მაშინ არცერთი საქმე, რომელიც დიონს ეხება – იქნება ეს რაღაც სხვა თუ ის, რაც უშუალოდ მას უკავშირდება, – არ შესრულდება შენი განზრახვის შესაბამისად». ასე თქვა. დანარჩენი კი სათქმელად ვრცელი იქნებოდა და უადგილო.

(d) სხვა წერილებიც მოვიდა არქიტესა და ტარენტელებისგან. ისინი ხოტბას ასხამდნენ დიონისიოსის ფილოსოფიას და [წერდნენ], რომ თუ ახლა არ ჩავიდლოდი, მაშინ სრულიად დაირღვეოდა დიონისიოსთან მათი მეგობრობა, რომელსაც მე დავუდე დასაბამი, და რომელიც მნიშვნელოვანი იყო პოლისის საქმეებისთვის.

ასეთი იყო ვითარება ჩემს მაშინდელ მოწვევასთან დაკავშირებით. მიბიძგებდნენ სიცილიიდან და იტალიიდან, ხოლო ათენიდან ლამის პირდაპირ მაძეგებდნენ თხოვნით. (e) კვლავ ვიფიქრე, რომ არ უნდა მივატოვო დიონი და არც მასპინძლები და მეგობრები ტარენტში. ბუნებრივად მეჩვენა, რომ ახალგაზრდა ადამიანი, სწავლაში ნიჭიერი, ყურმოკვრითაც რომ სმენია საუბარი მნიშვნელოვან თემებზე, საუკეთესო ცხოვრების [წესისადმი] სიყვარულით შეიძლება აღგზნებულიყო. ამიტომ საქმის ვითარება ზუსტად უნდა აწონ-დაწონილიყო; უკან დახევა არ ივარგებდა: მე ხომ უდიდესი სირცხვილის მიზეზი გავხდებოდი, თუკი ამ



ნათქვამებში რაღაც სიმართლე მაინც იყო.

[77]

(340a) [და აი], მივემგზავრები, ამ ფიქრებით მოცული და ძალიან შეშინებული; როგორც ჩანს, არც თუ კარგი ბედი მელოდა. როცა ჩამოვედი, ისევ ბედნიერად გადავრჩი (ნათქვამია: «მესამე [სასმისი] მხსნელს [ზევსს ეკუთვნის]»). [78] ამისთვის, ღმერთის შემდეგ, დიონისიოსს უნდა ვუმაღლოდე: ბევრს სურდა ჩემი დალუპვა, მაგრამ მან ხელი შეუშალა და სირცხვილის რაღაც ნატამალი გამოავლინა იმ ამბების გამო, რაც ჩემს თავს დატრიალდა.

[79]

[ფილოსოფიაში გამოცდა: საქმის ვითარების ნათლად წარმოდგენა, სირთულეების დანახვა. ფილოსოფია და ცხოვრების წესი. მოჩვენებითი ცოდნა. ფილოსოფია და შრომა]

(b) ჩამოვედი და ასე ვიფიქრე: უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გამოცდა, მართლაც იყო დიონისიოსი შეპყრობილი ფილოსოფიით, როგორც ცეცხლით, თუ ტყუილად აღწევდა უხვად ასეთი ხმები ათენამდე? ამგვარი გამოცდის ხერხიც არსებობს. დამამცირებელი ის არ არის და ტირანებსაც ნამდვილად შეეფერება, განსაკუთრებით თუ ისინი ყურმოკრულით საზრდოობენ. როცა ჩამოვედი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს სწორედ დიონისიოსს მიესადაგებოდა. ამგვარ [ხალხს] უნდა ვაჩვენოთ, თუ რა არის და როგორია მთლიანობაში საქმის ვითარება, რა საქმეებისგან შედგება და რა შრომას მოითხოვს.

(c) თუკი ამის მომსმენი მართლაც ფილოსოფოსია, [თუ ის] ღმრთივ[შთაგონებულია], საქმისთვის შესაფერისი და მისი ღირსია, მაშინ მიხვდება, რომ საოცარი გზის შესახებ ისმინა და ახლა ძალა უნდა მოიკრიბოს, [რომ ამ გზას გაჰყვეს], ხოლო სხვაგვარად თუ მოიქცა, ცხოვრება არ ღირს. ამის შემდეგ ის [თავის] ხელმძღვანელთან ერთად გაუყვება გზას და არ გაჩერდება, ვიდრე ყველაფერს ბოლომდე არ მიიყვანს, ან ძალა არ მიეცემა, რომ თვითონ

გაუძღვეს თავის თავს, მეგზურის გარეშე.[80]

(d) ამ და მსგავსი ფიქრებით ცხოვრობს ასეთი [ადამიანი]. ის კვლავინდებურად თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ყველაფერში, [რასაც არ უნდა აკეთებდეს], მისდევს ფილოსოფიას და ყოველდღიურად ცხოვრების ისეთ წესს, რომელიც ძლიერად ავითარებს მასში სწავლის ნიჭს, მეხსიერებასა და საღად განსჯის უნარს; ამის საპირისპირო [ცხოვრების წესს] ის შეიძულებს. არიან ისეთებიც, ვინც არ არიან ნამდვილად ფილოსოფოსები. მათ შეხედულებები [მხოლოდ ზედაპირულად აქვთ] მოკიდებული, როგორც სხეულებს – მზე; (e) როცა ხედავენ, რამდენი რამ არის შესასწავლი, რა დიდი შრომაა საჭირო და როგორი მოწესრიგებული უნდა იყოს ყოველდღიური ცხოვრების განრიგი, რომ საქმეს შეეფერებოდეს, მიიჩნევენ, რომ ეს რთულია და მათთვის შეუძლებელი, და ვერც მოახერხებენ [ამ საქმით] საფუძვლიანად დაკავდნენ. (341a) ზოგიერთი კი, [პირიქით], საკუთარ თავს არწმუნებს, რომ საკმარისად მოისმინა ყოველივე და ამგვარი საქმეებიდან აღარაფერი სჭირდება.

საერთო ჯამში, ეს გამოცდა [მიზანს] თავისთავად [აღწევს]: ის აშკარა და უტყუარია განსაკუთრებით მათთან მიმართებაში, ვინც განებივრებულია და შრომის უნარი არა აქვს. [ეს გამოცდა] არასდროს იძლევა საბაბს, რომ ბრალი იმას დასდონ, ვინც მას მიმართავს, პირიქით: ის [აჩვენებს], რომ დამნაშავე თავად ის [ადამიანია], რომელსაც არ შეუძლია შეასრულოს ყოველივე ის, რასაც საქმე მოითხოვს.

[81]

[პლატონი ცოდნის წერილობითი ფორმით გადაცემისა და გავრცელების შესახებ]

ასე ეუწყა მაშინ დიონისიოსს ის, რაც ითქვა. (b) თუმცა, მისთვის არც

მე გადამიცია ყველაფერი და არც მას უთხოვია; მას თავი ისე ეჭირა, თითქოს ბევრი და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ თვითონაც იცოდა და საკმარისად შეითვისა, იმის საფუძველზე, რაც სხვებისგან გაიგო. შემდეგ ისიც შევიტყვე, რომ მან დაწერა იმის შესახებ, რაც მაშინ მოისმინა და ეს წარმოადგინა როგორც საკუთარი ნაშრომი, და სრულებით არა ის, რაც სმენია. თუმცა [დანამდვილებით] ამის შესახებ არაფერი ვიცი. [მხოლოდ] ის ვიცი, რომ ამის შესახებ სხვებმაც დაწერეს, მაგრამ ვინ არიან ისინი, თავადაც არ იციან.[82]

(c) მინდა ვთქვა მათ შესახებ, ვინც [ამგვარი რამ] უკვე დაწერა და მომავალშიც დაწერს, და ვინც ამბობს, რომ იცის, რას ვაკეთებ, რადგან [ეს] ან ჩემგან სმენია, ან სხვებისგან, ან თვითონ აღმოაჩინა: ჩემი აზრით, მათ საქმის არაფერი გაეგებათ. ჩემი ჩანაწერი ამ [თემებზე] არ არსებობს და არც არასდროს იქნება. [ეს ცოდნა] ვერასდროს გამოითქმის, როგორც სხვა სასწავლო დისციპლინები. ის იბადება რეგულარული ურთიერთობისა და თანაცხოვრების შედეგად, რომელიც [ამ] საქმეს ახლავს;

[83]

(d) ის უცბად

[84]

– როგორც აგიზგიზებული ცეცხლიდან გაბრწყინებული ნათელი

[85]

– სულში ჩნდება და უკვე თვითონ ასაზრდოებს თავის თავს.

[86]

მე ვიცი, რომ დაწერილი იქნებოდა თუ ნათქვამი, საუკეთესოდ ჩემგან ითქმებოდა, ხოლო ცუდად დაწერილი არანაკლებად მატკენდა გულს. მეორე მხრივ, თუ ჩავთვლიდი, რომ [ამ საკითხთა შესახებ შესაძლებელია] ბევრისთვის საკმარისად [გასაგებად] დაწერა ან [მათი] გამოთქმა, მაშინ რას გავაკეთებდით ცხოვრებაში [იმ] დიდ დახმარებაზე უკეთესს, რომელსაც ადამიანებს [ასეთი] ჩანაწერით და არსის

[87]

ყველასთვის სინათლეზე გამოტანით გავუწევდით?

[88]

(e) მაგრამ მგონია, რომ ამგვარი მცდელობა არ იქნებოდა ადამიანებისთვის სასიკეთო, თუ არ ჩავთვლით ისეთებს (მათი რიცხვი მცირეა), ვისაც პატარა მინიშნების დახმარებით თვითონაც შეუძლია [ეს] აღმოაჩინოს. რაც შეეხება სხვებს, ზოგი ამის გამო აღივსებოდა უსაფუძვლო ზიზღით, [რადგან საქმე] სრულიად შეუფერებლად [მოეჩვენებოდა], ზოგი კი [განიმსჭვალებოდა] ქედმაღალი და ფუჭი იმედით, თითქოსდა რაღაც მნიშვნელოვანი უსწავლია.

(342a) ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, კიდევ რაღაც უნდა ვთქვა; იქნებ ის, რასაც ვგულისხმობ, უფრო ცხადი გახდეს, თუ ამასაც ვიტყვი. საქმე კი ის არის, რომ არსებობს ერთი ჭეშმარიტი არგუმენტი, რომელიც ეწინააღმდეგება მას, ვინც ამგვარი [თემების] შესახებ რაღაცის დაწერას ბედავს. მე ეს ადრეც ხშირად მითქვამს და ჩანს, [ეს] ახლაც უნდა ითქვას.

[89]

[შემეცნების სახეები. მთავარი არ იწერება]

ყველა არსებულისთვის არსებობს სამი [რამ], აუცილებელი იმისთვის, რომ ცოდნა წარმოიქმნას. მეოთხე – თავად ცოდნაა. (b) მეხუთედ კი ის უნდა იქნეს მიჩნეული, რაც არის შემეცნების საგანი და ჭეშმარიტად არსებული. [აქედან] ერთი არის სახელი, [90] მეორე – განსაზღვრება,

[91]

მესამე – ანარეკლი [გამოსახულება],

[92]

მეოთხე – ცოდნა.

[93]

თუ გსურს ამ ნათქვამის გაგება, განიხილე ის ერთ [მაგალითზე] და ყველაფერზე განაზოგადე. არის რაღაც, რაც «წრედ» იწოდება; მას აქვს სახელი, რომელიც ახლა წარმოვთქვით.

[94]

მეორე – მისი განსაზღვრებაა, რომელიც სახელებისა და ზმნებისგან შედგება:

[95]

«ის, რაც ბოლოებიდან შუამდე ყველგან თანაბრად დაცილებულია» – იმის განსაზღვრება იქნება, რისი სახელიც არის «მრგვალი», «გარშემოწერილი» და «წრე».

[96]

(c) მესამე კი ის არის, რაც დახატულია და წაშლილი, გამოჩარხულია და გაფუჭებული. ამათგან წრეს თავისთავად, რომელსაც ეს ყველაფერი ეხება, არაფერი ემართება, რადგან ის მათთან მიმართებაში სხვაა. მეოთხე კი არის ცოდნა,

[97]

გონება

[98]

და ჭეშმარიტი შეხედულება

[99]

ამათ შესახებ.

[100]

ეს ყველაფერი უნდა მივიჩნიოთ [რაღაც] ერთ [მთელად], რაც არის არა ბგერებში და არც სხეულთა ფორმებში, არამედ სულებში. ამიტომ გასაგებია, რომ ეს არის სხვა თავად წრის ბუნებასთან და ზემოთ ხსენებულ სამ [საფეხურთან]

[101]

მიმართებაში. (d) მათგან ნათესაობითა და მსგავსებით გონება ყველაზე ახლოს არის მეხუთე [საფეხურთან],

[102]

სხვები კი [მას] უფრო დაცილებულნი არიან.

[103]

იგივე [ითქმის] სწორი და წრიული ფორმის შესახებ, ფერის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რაც არის კარგი, ლამაზი და სამართლიანი, ასევე ყოველგვარი სხეულის შესახებ, იქნება ის გაკეთებული თუ ბუნებრივად წარმოქმნილი; [ითქმის] ცეცხლის, წყლის და ყველაფერი ამგვარის შესახებ, აგრეთვე ყველა ცოცხალი არსებისა და სულიერი ზნე-ჩვეულებების, ყველა ნამოქმედარისა და განცდილის შესახებ. (e) თუ კაცი მათგან ოთხივეს არ დაეუფლა, ცოდნის მეხუთე [საფეხურის] სრულყოფილად მოზიარე ვერასდროს გახდება.

[104]

გარდა ამისა, [ეს ყველაფერი ერთად] იმისკენაც არის მიმართული, რომ ცხადყოს თითოეული [საგნის] როგორობა და არსი, იმის გამო, რომ [მხოლოდ] სიტყვიერი განსაზღვრებები უძლურია.

[105]

(343a) ამიტომ არავინ, ვისაც გონება აქვს, არასდროს გაბედავს ამ [უძლურებას] მიანდოს თავისი ნააზრევი, მითუმეტეს [ისეთ] გახევებულ [გამოხატულებას], როგორიც არის ნიშნებით [შესრულებული] ჩანაწერი.

[106]

ეს ნათქვამიც მოითხოვს განმარტებას. ნებისმიერი წრე, რეალურად დახატული თუ გამოჩარხული, სავსეა იმით, რაც მეხუთე [საფეხურს] ეწინააღმდეგება, რადგან ის ყველგან წრფესთან არის წილნაყარი.

[107]

ხოლო თავად [წრე], ვამბობთ ჩვენ, არ შეიცავს საპირისპირო [ბუნების] არც მომცრო და არც მოდიდო [წილს]. (b) იმასაც ვამბობთ, რომ [რეალურად გაკეთებული წრეების] სახელი სრულიად არ არის მდგრადი; არაფერი უშლის ხელს იმას, რომ რასაც ახლა «მრგვალს» ვუწოდებთ, ვუწოდოთ «სწორი», ხოლო სწორს – «მრგვალი». ამასთანავე, სიმყარეს სრულიად არ კარგავს [თავად] ის, რაც იცვლება და საპირისპიროდ იწოდება.

[108]

განსაზღვრების შესახებაც იგივე ითქმის: ის სახელებისა და ზმნებისგან შედგება, [რაშიც] არაფერია საკმარისად მყარი.

[109]

უამრავი განმარტება არსებობს, რომლებიც [ამ] ოთხი [საფეხურიდან] თითოეულის არამდგრადობას ცხადყოფენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რაც ცოტა ზემოთ ვთქვით: არის ორი რამ:

[110]

– არსი

[111]

და როგორობა;

[112]

ამ დროს (c) სული ეძიებს გაიგოს არა როგორობა, არამედ რა-ობა.

[113]

თუმცა, ოთხი [საფეხურიდან] თითოეული იმ [მოცემულობას] აწვდის სულს სიტყვითა და საქმით, რაც [მისი] ძიების საგანი არ არის;

[114]

[ამ მოცემულობის] – როგორც გამოთქმულის, ასევე ნაჩვენების – შეგრძნებებით მხილება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადვილად შეიძლება,

[115]

და ეს ნებისმიერ კაცს, მე ვიტყვოდი, მრავალგვარი გაურკვევლობისა და ბუნდოვანების წინაშე აყენებს. ჩვენ არც ვართ ჩვეულნი არსებულებში ვეძიოთ ჭეშმარიტება, ცუდი აღზრდის გამო, და ანარეკლთა მონაცემებითაც ვკმაყოფილდებით. [და მაინც], ჩვენ არ გავხდებით სასაცილონი ერთმანეთის თვალში, – ისინი, ვისაც ეკითხებიან, [იმათ თვალში], ვინც ეკითხება, [მიუხედავად იმისა], რომ [ამ უკანასკნელებს ყოველთვის] შეუძლიათ [პირველი] ოთხი [საფეხურის ცოდნის] გაქარწყლება და მხილება. (d) მაგრამ როცა იძულებულნი ვართ პასუხი გავცეთ მეხუთე [საფეხურთან] დაკავშირებით და მას ნათელი მოვფინოთ, მაშინ ნებისმიერი, ვისაც [ჩვენი] მხილება სურს და შეუძლია, გაიმარჯვებს, რადგან ვინც განმარტებას იძლევა (იქნება ეს მსჯელობებში, ნაწერებსა თუ პასუხებში) მრავალი მსმენელის წინაშე არაფრის მცოდნედ გამოჩნდება იმაში, რის დაწერას ან თქმასაც მან ხელი მიჰყო. ამასთანავე, ზოგმა არც იცის, რომ ამ დროს ხდება მხილება [გამოცდა] არა დამწერის ან მთქმელის სულისა, არამედ ოთხი [საფეხურიდან] თითოეულის ბუნების, რადგან ისინი იმთავითვე არასრულყოფილია.

(e) ყველა [ამ საფეხურზე] გავლა-გამოვლა, მათზე სათითაოდ ასვლა და ჩასვლა ძლივს აღმოაცენებს ცოდნას იმის [შესახებ, რაც] ბუნებით კარგია – ბუნებით კარგ [ნიადაგში].

[116]

ხოლო თუ ის იმთავითვე ცუდია (რაც მრავალი ადამიანის სულს ახასიათებს სწავლისა და ე.წ. ზნე-ჩვეულებებისადმი დამოკიდებულებების თვალსაზრისით; ხოლო ზოგიც [შემდეგ] არის წამხდარი), მაშინ ლინკევსიც კი ვერ მიანიჭებს მათ ხედვის უნარს.

[117]

(344a) ერთი სიტყვით, ვინც [თავისი ბუნებით ამ] საქმეს არ ენათესავება, მას ვერც სწავლის ნიჭი და ვერც მეხსიერება აქცევს ოდესმე [ასეთად] – რადგან სხვაგვარ – [უცხო გარემოსა და] მდგომარეობაში [ცოდნა] არ ჩაისახება.



[118]

ვერც ისინი, ვინც არ არიან თანშეზრდილნი და მონათესავენი იმისა, რაც სამართლიანია ან სხვა გაგებით მშვენიერი, გინდაც ამა თუ იმ სფეროში სწავლის ნიჭი და თან კარგი მეხსიერებაც ჰქონდეთ, და ვერც ისინი, ვინც [თავისი ბუნებით სამართლიანობისა და სიქველის] მონათესავენი არიან, მაგრამ სწავლის უნარი არა აქვთ და მეხსიერება არ უვარგათ, ვერასდროს ისწავლიან (რამდენადაც ამის სწავლა შესაძლებელია) ჭეშმარიტებას სიქველის ან ბოროტების შესახებ. (b) ეს აუცილებლად ერთად უნდა იქნას შესწავლილი, მთლიანი არსების მცდარობა ჭეშმარიტებასთან ერთად,

[119]

ყოველგვარი გამოცდისა

[120]

და ხანგრძლივი დროის მანძილზე, როგორც ადრე ვთქვი.

[121]

ძალიან ძნელად, [მაგრამ მაინც], თითოეული მათგანი ერთმანეთთან ხახუნში [ანუ მიმართებაში] მოწმდება – სახელები, განსაზღვრებები, ხედვები,

[122]

შეგრძნებები. და ასე, კეთილგანწყობილი გამოცდისა და შურის გარეშე [გამოთქმულ] კითხვა-პასუხში [შემოწმების] შედეგად, თითოეულ [საკითხთან] დაკავშირებით განათდება

[123]

დაძაბული, რამდენადაც ადამიანს ამის ძალა შესწევს, აზრი

[124]

და გონება.

[125]

(c) ამიტომ არცერთი სერიოზული ადამიანი, როგორც წესი, არ დაწერს სერიოზულ საკითხთა შესახებ, რომ ოდესმე ადამიანებში

შური და გაუგებრობა არ გამოიწვიოს.

[126]

ერთი სიტყვით, აქედან [შემდეგი] უნდა ვისწავლოთ: როდესაც ვხედავთ ვილაცის ჩანაწერს – იქნება ეს კანონმდებლის [მიერ შექმნილი] კოდექსი თუ სხვა ნაწერი, [უნდა ვიცოდეთ], რომ ის ვერ იქნება [ავტორისთვის] ყველაზე უფრო სერიოზული რამ (თუ თავად [ავტორია] სერიოზული);

[127]

რადგან [რაც ყველაზე უფრო სერიოზულია], სხვაგან ძევს – ულამაზეს ადგილას იმ ადგილთა შორის, რომლებიც ავტორს ეკუთვნის [ანუ მის სულში].

[128]

(d) ხოლო თუ ის მაინც წერილობით გამოხატავდა ამ მისთვის ყველაზე სერიოზულ [ნაღვაწს], მაშინ მისთვის ნამდვილად არა ღმერთებს, არამედ «მოკვდავებს წაურთმევიათ გონება.»

[129]

[ფილოსოფიისადმი დიონისიოსის დამოკიდებულება]

ვინც ამ მონაყოლს და მის მსვლელობას ყურადღებით მისდევდა, კარგად დაინახავდა, რომ თუ დიონისიოსი ან სხვა ვინმე, ნაკლებად თუ მეტად [მცოდნე], უმაღლესი და პირველი ბუნების შესახებ რაღაცას დაწერდა – მაშინ მას, ჩემი აზრით, არაფერი ჯანსაღი არ გაუგია და უსწავლია იქიდან, რაც დაწერა. ეს ხომ [მისთვის] ისეთივე წმინდა რამ უნდა ყოფილიყო, როგორც ჩემთვის, და ის ვერ გაბედავდა ამის გამოქვეყნებას შეუფერებელ და შეუსაბამო [გარემოში].[130] არც დამახსოვრებისთვის დაწერდა,

[131]

(e) რადგან რაიმეს დავიწყების საშიშროება არ არსებობს, თუ კი

ერთხელ სულში აღიბეჭდა: ის ხომ უმოკლესში ძევს.

[132]

ასე რომ, თუ [მაინც დაწერა, ეს გააკეთა] სამარცხვინო პატივმოყვარეობის გამო, იმისთვის, რომ თავისად გაესაღებინა, ან თავი ისე წარმოედგინა, ვითომ განათლებას არის ზიარებული, რომლის ღირსიც ის არ ყოფილა, რადგან მხოლოდ სახელი და პატივი უყვარდა, რომელიც [განათლებასთან] ზიარებას მოაქვს.

(345a) შეიძლება, დიონისიოსს [მართლაც] დაემართა ასეთი რამ [ჩვენი] ერთი შეხვედრის შედეგად, მაგრამ თუ როგორ [შეიძლება] ეს მომხდარიყო, «ზევსმა იცის», როგორც თებელი ამბობს.

[133]

მე ხომ მას, ვიმეორებ, მხოლოდ ერთხელ ვესაუბრე, შემდგომში კი აღარასოდეს.

[134]

შემდეგ, ვისაც სურს შეიტყოს, როგორ მოხდა ის, რაც ამის მერე მოხდა, უნდა გაიგოს, თუ რატომ არ შევებე დაწვრილებით ამ [საკითხებს] დიონისიოსთან მეორედ და მესამედ. (b) [ამისთვის რამდენიმე ახსნა არსებობს]: [1] დიონისიოსმა იფიქრა, რომ პირველივე მოსმენით [ყველაფერი] გაიგო და [საერთოდ, ყველაფერი თავადაც უკვე] საკმარისად იცოდა (თვითონ მიაგნო ან ადრე ისწავლა სხვებისგან); [2] ნათქვამი უვარგისად მიიჩნია; [3] ან, მესამეც, [იფიქრა, რომ რაც მოისმინა], მას არ შეეფერებოდა, რადგან [მის შესაძლებლობებს] აღემატებოდა და მას არ შესწევდა იმის უნარი, რომ ნამდვილად ეზრუნა გონიერი და ქველი ცხოვრებისთვის. თუ [მეორე ვარაუდია სწორი, რომლის თანახმად რაც მან მოისმინა, მიიჩნია] უვარგისად, მაშინ დიონისიოსი დაუპირისპირდება მრავალ მოწმეს, რომლებიც ამ საკითხებში მასზე შეუდარებლად ძლიერი მსაჯულები არიან. (c) ხოლო [თუ პირველი ვარაუდია სწორი, რომლის თანახმად მან თავად] მიაგნო ან ისწავლა [ის] რაც თავისუფალი სულის აღზრდას შეეფერება, მაშინ, უცნაური

ადამიანი თუ არ იყო, ამ საკითხებში წინამძღოლს და მასწავლებელს ასე ხელაღებით უპატიოდ როგორ მოექცა? ხოლო უპატივცემლობა რაში გამოიხატა, ამას მოგიყვებით.

[როგორ დასრულდა პლატონის მესამე მოგზაურობა სიცილიაში]

ბევრი დრო არ იყო ამის შემდეგ გასული [და აი, რა მოხდა]: უწინ მან დიონს ნება დართო, მისი [ქონება] აეღო და ფულიდან მოგება ჰქონოდა, ახლა კი ნება არ დართო მის საქმის მმართველებს, რომ [ქონება] პელოპონესში გაეგზავნათ; თითქოსდა სრულიად დაავიწყდა წერილის შესახებ! [135] [ვითომდა] ეს დიონის [ქონება] კი არ იყო, არამედ [დიონის] ძისა, რომელიც [დიონისიოსს] დისშვილად ერგებოდა, ხოლო თავად [დიონისიოსი] კანონით მისი მეურვე იყო.

[136]

(d) ეს იყო, რაც მანამდე მოხდა. ამგვარი მოვლენების შედეგად მე [უკვე] ზუსტად გავიგე, [რას წარმოადგენდა] დიონისიოსის ლტოლვა ფილოსოფიისკენ და, ნებისთ თუ უნებლიეთ, მხოლოდ განრისხება შემეძლო. უკვე ზაფხული იყო და გემების გამგზავრების დროც [დადგა]. ისიც ვიფიქრე, რომ დიონისიოსზე არ უნდა ვყოფილიყავი იმაზე მეტად განრისხებული, ვიდრე საკუთარ თავზე და მათზე, ვინც მაიძულა მესამედ გავმგზავრებულიყავი სკილაში, (e) «რომ კვლავ გამეზომა საშინელი ქარიბდა».

[137]

ხოლო დიონისიოსისთვის, [ვფიქრობდი, უნდა] მეთქვა, რომ ჩემი დარჩენა შეუძლებელი იყო, რადგან დიონი შეურაცხევს. ის კი მარწმუნებდა და მოითხოვდა, რომ დავრჩენილიყავი, რადგან არ მიაჩნდა, რომ მისთვის სასიკეთო იქნებოდა, მე რომ ამ [ამბების] მაცნედ მაშინვე გავმგზავრებულიყავი. მაგრამ, რომ ვერ დამარწმუნა, თქვა, რომ თავად მოამზადებდა [ჩემს] გამგზავრებას. (346a) მე ვაპირებდი, გემებზე ავსულიყავი, რომლებიც გასამგზავრებლად იყვნენ გამზადებულნი; განრისხებული, ვფიქრობდი, რომ თუ ხელს

შემიშლიდნენ [გამგზავრებაში], უნდა ამეტანა, რაც არ უნდა მომხდარიყო, რადგან ცხადზე უცხადესი იყო, რომ არავითარი უსამართლობა მე არ ჩამიდენია, არამედ [პირიქით], მე მომექცნენ უსამართლოდ. როცა [დიონისიოსმა] დაინახა, რომ ვერაფერი განმაწყობდა დასარჩენად, [ჩემი] გამგზავრების შესაჩერებლად ასეთ ხერხს მიმართა: მოვიდა მეორე დღეს და დარწმუნებით მითხრა: (b) «ჩემსა და შენს შორის უნდა შეწყდეს დაპირისპირება, რომლის მიზეზი დიონი და მისი ქონებაა! შენი ხათრით დიონს ამას გავუკეთებ: თანახმა ვარ, აიღოს თავისი [ქონება] და იცხოვროს პელოპონესზე, არა როგორც ლტოლვილმა, არამედ ისე, რომ აქ შეძლოს დაბრუნება, როცა შეთანხმების შედეგად ამას საჭიროდ მივიჩნევთ თავად ის, მეც და თქვენც – მეგობრები. ეს ასე იქნება, თუ ის ჩემ წინააღმდეგ არაფერს განიზრახავს, და ამის თავმდებად დადგებით შენ და შენი ახლობლები, იქ კი – დიონის [ახლობლები], ხოლო მან თქვენ გარანტია უნდა მოგცეთ. (c) ქონება, რომელსაც ის აიღებს, უნდა ინახებოდეს პელოპონესში და ათენში მათთან, ვისთანაც თქვენ გსურთ; წილი დიონმა აიღოს, მაგრამ ნუ ექნება თქვენი [თანხმობის] გარეშე მისი განკარგვის უფლება. მას მაინცდამაინც არ ვენდობი: [არ ვიცი], ქონებით თუ ისარგებლებს, რამდენად სამართლიანი იქნება მისი ჩემდამი დამოკიდებულება (თანხა არ არის მცირე), ხოლო შენ და შენიანებს უფრო გენდობით. შეხედე, თუ მოგწონს ეს, და ამ პირობით დარჩი ამ წელს, ხოლო გაზაფხულზე აიღე ეს ფული და გაემგზავრე. (d) დარწმუნებული ვარ, რომ დიონი ძალიან მაღლიერი იქნება შენი, თუ ამას მისთვის გააკეთებ.»

[138]

ეს ნათქვამი რომ მოვისმინე, შევწუხდი, მაგრამ ვთქვი, რომ ავწონ-დავწონიდი და ამის შესახებ [ჩემს] აზრს შემდეგ ვაცნობებდი. ამაზე შევთანხმდით. ამის მერე, მარტო რომ დავრჩი, ძალიან თავგზააბნეულმა, [ყველაფერი] ავწონ-დავწონე. აწონ-დაწონის შემდეგ პირველად ეს გავიფიქრე: (e) «რა გამოვა, თუ დიონისიოსი არ აპირებს იქიდან არაფრის შესრულებას, რასაც ამბობს? მე რომ გავემგზავრები, ხომ შეიძლება მისწეროს სარწმუნოდ დიონს

(თვითონ [მისწერს] ან ბევრ თავის [ადამიანს] უბრძანებს, [მისწერონ]), რომ რასაც ახლა მეუბნება, ის თავად მას სურდა, მე კი არ ვისურვე ის, რის გასაკეთებლადაც მომიწოდებდა, და სრულიად არაფრად ჩავაგდე [დიონის] საქმეები? ამასთან ერთად, თუ მას არ სურდა, რომ მე გავმგზავრებულიყავი, (347a) და [თუ] გემის არცერთ მფლობელს [ჩემს წაყვანას კი] არ დაავალებდა, არამედ [პირიქით], ყველას ადვილად მიანიშნებდა, რომ მას არ სურდა ჩემი გამგზავრება, განა ვინმე მოისურვებდა დიონისიოსის სახლიდან გემზე ავეყვანე?» სხვა უბედურებებთან ერთად, მე ხომ [მისი] სახლის მახლობლად, ბაღში ვცხოვრობდი, საიდანაც კარისკაციც არ ისურვებდა ჩემს გაშვებას, თუ დიონისიოსისგან შესაბამის დავალებას არ მიიღებდა. [ასე განვსაჯე]: «[კიდევ] წელიწადი თუ დავრჩი, შევძლებ დიონს შევატყობინო, რა [მდგომარეობაში] ვარ და რას ვაკეთებ. და, თუკი დიონისიოსი რაღაცას შეასრულებს იქიდან, რასაც ამბობს, ის, რაც მე გავაკეთე, მთლად სასაცილო არ იქნება; (b) დიონის ქონება ხომ ნამდვილად შეადგენს, თუ მას სწორად შევაფასებთ, სულ ცოტა ას ტალანტს.

[139]

მეორე მხრივ, თუ მოხდა ის, რამაც ახლა თავი იჩინა და რაც, ჩანს, მოხდება კიდევ, მაშინ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. და მაინც, აუცილებლობა მოითხოვს, კიდევ ერთი წელი გავწვალდე და შევეცადო საქმეებით ვამხილო დიონისიოსის ხრიკები».

ასე ვიფიქრე და მომდევნო დღეს დიონისიოსს ვუთხარი, რომ დარჩენა გადავწყვიტე; (c) «ოღონდ მიმაჩნია, – ესეც ვუთხარი – რომ დიონის მეურვედ არ უნდა ჩამთვალო. მოდი, მე და შენ ერთად გავუგზავნოთ წერილი. ის დაადასტურებს იმას, რაც ახლა გადავწყვიტეთ, თან შევეკითხოთ, აკმაყოფილებს მას ეს თუ არა, ან თუ სურს და მოითხოვს კიდევ სხვა რაიმეს; [პასუხი] რაც შეიძლება სწრაფად მოგვწეროს. შენ კი მასთან დაკავშირებით [მანამდე] სრულიად არაფერს შეცვლი».

ეს ითქვა და მოვილაპარაკეთ, დაახლოებით ისე, როგორც ახლა

ითქვა. ამის შემდეგ გემები დაიძრნენ, და ჩემთვის უკვე შეუძლებელი შეიქმნა გამგზავრება. (d) მაშინ დიონისიოსმაც შემახსენა, რომ ქონების ნახევარი დიონის უნდა ყოფილიყო, ნახევარი კი [მისი] ვაჟიშვილის. მან თქვა, რომ [ქონებას] გაყიდდა, მოგების ნახევარს მე გამატანდა, ნახევარს კი მის ბავშვს დაუტოვებდა. მისი აზრით, ეს ყველაზე უფრო სამართლიანი იქნებოდა. ამ სიტყვებზე ელდამ დამკრა, მაგრამ ვიფიქრე, რომ კიდევ რაიმეს თქმა სასაცილო იქნებოდა. და მაინც, ვთქვი, რომ საჭიროა დიონისგან წერილს დაველოდოთ და ეს [სიახლეს] ვამცნოთ. (e) მან კი ამის შემდეგ მაშინვე დაუდევრად გაყიდა [დიონის] მთელი ქონება, სადაც, როგორც და ვისთვისაც უნდოდა. ამის შესახებ მე აღარაფერი მსმენია და, რა თქმა უნდა, დიონის საქმეებზე აღარ დავლაპარაკებოვარ. ჩავთვალე, რომ მეტი არაფრის გაკეთება შემეძლო.

აქამდე ამით ვეხმარებოდი ფილოსოფიას და მეგობრებს. (348a) ამის შემდეგ ჩემი და დიონისიოსის ცხოვრება ასე გამოიყურებოდა: მე ვიჭვრიტებოდი გარეთ, როგორც ფრინველი, რომელიც საიდანლაც აფრენას ლამობს,

[140]

ის კი ხრიკებს იგონებდა, რომ როგორმე შევეშინებინე და არაფერი მოეცა დიონის [ქონებიდან]. და მაინც, მთელი სიცოცხლის წინაშე მეგობრებად ვაცხადებდით თავს.

ამასობაში დიონისიოსი, მამამისის წესის საწინააღმდეგოდ, შეეცადა, თავისი უფროსი დაქირავებული [ჯარისკაცებისთვის] ნაკლები ხელფასი მიეცა. ჯარისკაცები განრისხდნენ, შეიკრიბნენ და თქვეს, რომ ამას არ დაუშვებდნენ. (b) [დიონისიოსმა] ძალას მიმართა, აკროპოლისის კარი ჩაკეტა, ისინი კი მაშინათვე კედლებს მიადგნენ, თან ბარბაროსების რაღაც საომარ ჰიმნს მღეროდნენ. დიონისიოსს ამის გამო საშინლად შეეშინდა, მან ყველაფერი დათმო და იქ შეკრებილ პელტასტებს[141] იმაზე მეტსაც კი [შეჰპირდა, რასაც ითხოვდნენ].

სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ჰერაკლიდე იყო.

[142]

(c) ეს რომ ჰერაკლიდემ გაიგო, გაეცალა იქაურობას და გაუჩინარდა. დიონისიოსი მის შეპყრობას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. ამიტომ უხმო ბაღში თეოდოტეს.

[143]

ამ დროს შემთხვევით მეც იქ ვსეირნობდი. სხვა არაფერი ვიცი და არც მათი საუბარი გამიგია, [მხოლოდ ის] ვიცი და მახსოვს, რაც ჩემი თანდასწრებით თეოდოტემ უთხრა დიონისიოსს. მან თქვა: «პლატონ! ვცდილობ, დიონისიოსი შემდეგში დავარწმუნო: თუ შევძლებთ ჰერაკლიდეს აქ მოყვანას, რათა მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე ვისაუბროთ, და თუ მართლაც მივიჩნევთ, რომ მას სიცილიაში აღარ ედგომება, მაშინ, ჩემი აზრით, (d) მან უნდა წაიყვანოს ვაჟიშვილი და ცოლი და გაემგზავროს პელოპონესზე, იცხოვროს იქ [ისე, რომ] არ ავნოს დიონისიოსს; ამასთანავე, მას უნდა შეეძლოს თავისი [ქონებით] სარგებლობა. მე ადრეც ვუხმე მას, ახლაც ვუხმობ. იქნებ, ჩემი უწინდელი ან ამჟამინდელი მოწვევის შედეგად დამიჯეროს. (e) ხოლო დიონისიოსმა [არ დაუშვას], – ასე მიმაჩნია საჭიროდ და ამას ვთხოვ მას – თუ ვინმე გადაეყარა ჰერაკლიდეს სადმე სოფელში ან აქ, რომ მას სხვა რამ უკეთური შეემთხვას, გარდა ქვეყნიდან გასახლებისა, იმ დრომდე, სანამ დიონისიოსი აზრს არ შეიცვლის. თანახმა ხარ?» – მიმართა მან დიონისიოსს. «თანახმა ვარ. შენს სახლშიც რომ გამოჩნდეს, მას არაფერი ცუდი არ შეემთხვევა იმაზე მეტი, რაც ახლა ითქვა».

მეორე დღეს, საღამოს, ჩემთან მოვიდნენ ევრიბიოსი და თეოდოტე. ისინი ჩქარობდნენ და საოცრად აღელვებულები იყვნენ. თეოდოტემ თქვა: «პლატონ, ხარ თუ არა მოწმე იმისა, რაზეც გუშინ მე და შენ დიონისიოსი შეგვითანხმდა ჰერაკლიდესთან დაკავშირებით?» «როგორ არა!» – ვუპასუხე. მაშინ მან განაგრძო: «ახლა ყველგან



დაძრწიან პელტასტები და ჰერაკლიდეს ეძებენ, რომ შეიპყრონ. ეტყობა, ის სადღაც აქვია. ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად წამოგვეყვი დიონისიოსთან». (349a) წავედით და მასთან შევედით. [ჩემი ორი თანამგზავრი] იდგა მდუმარედ და ტიროდა, მე კი ვთქვი: «ამათ ემინიათ, ჰერაკლიდეს თავს რაღაც ისეთი არ დაატეხო, რაც ჩვენს შეთანხმებაში არ შედის. მგონი, აღმოჩნდა, რომ სადღაც აქ აფარებს თავს». ეს რომ გაიგო, აფეთქდა და ფერი შეეცვალა, როგორც ეს განრისხებულებს ემართებათ. (b) თეოდოტე მუხლებში ჩაუვარდა, ხელი მოჰკიდა, თან ტიროდა და ევედრებოდა, არაფერი ამგვარი არ გაეკეთებინა. მე შევაწყვეტინე, გავამხნევე და ასე ვთქვი: «დამშვიდდი, თეოდოტე! დიონისიოსი ვერ გაბედავს სხვა რამ გააკეთოს, გარდა იმისა, რაზეც გუშინ შევთანხმდით». [დიონისიოსმა] ძალიან ტირანული მზერით შემომხედა და თქვა: «შენთან, არც მეტი, არც ნაკლები, არაფერზე შევთანხმებულვარ.» მე ვუპასუხე: «ღმერთებს ვფიცავ, [შეგვითანხმდი, სწორედ] იმაზე, რასაც ახლა [თეოდოტე] გთხოვს, რომ [იმის საპირისპირო] არ გააკეთო». ეს ვთქვი, გამოვბრუნდი და გარეთ გავედი. (c) ამის შემდეგაც, [დიონისიოსის ბრძანებით], ჰერაკლიდეს ძებნას განაგრძობდნენ. მაშინ თეოდოტემ მაცნეები გაუგზავნა ჰერაკლიდეს და გაქცევა ურჩია. ამ დროს [დიონისიოსმა] გაგზავნა ტისია და პელტასტები და უბრძანა, [ჰერაკლიდეს] დასდევნებოდნენ. მაგრამ ჰერაკლიდემ, როგორც ამბობენ, სულზე გაასწრო და კართაგენელების სამთავროში გაიქცა.

ამის შემდეგ დიონისიოსმა ჩათვალა, რომ მის უწინდელ განზრახვას, არ დაებრუნებინა დიონის ფული, ჩემდამი მტრობაც გაამყარებდა. (d) მან ჯერ აკროპოლისიდან გამომისტუმრა, საბაბად კი ის მოიმიზეზა, რომ ბაღში, რომელშიც მე ვცხოვრობდი, ათი დღის განმავლობაში ქალებს მსხვერპლი უნდა შეეწირათ. მიბრძანა, რომ ეს დრო [აკროპოლისის კედლებს] გარეთ, არქედემოსთან გამეტარებინა. ჩემი იქ ყოფნისას თეოდოტემ მიხმო და მრავალგზის გამოხატა აღშფოთება მაშინდელ ამბებთან დაკავშირებით, თან დიონისიოსს კიცხავდა. [დიონისიოსმა] შეიტყო თეოდოტესთან ჩემი მისვლის შესახებ და ესეც ახალ საბაბად გამოიყენა ჩემთან განხეთქილებისთვის (ეს საბაბი უწინდელის ძმა იყო). (e) მან ვიღაც

გამომიგზავნა, ვინც მკითხა, მართლაც შევხვდი თეოდოტეს თუ არა მისი მიწვევის საპასუხოდ. «რა თქმა უნდა», ვუპასუხე. [მაცნემ] მითხრა: «[დიონისიოსმა] ბრძანა შენთვის მეთქვა, რომ ძალიან ულამაზოდ იქცევი, რადგან მასთან შედარებით დიონსა და დიონის მეგობრებს მუდამ უპირატესობას ანიჭებ». ეს ითქვა და მეტად თავის სახლში [დიონისიოსს] აღარ მივუწვევივარ, რადგან ახლა, როგორც ჩანს, თეოდოტეს და ჰერაკლიდეს მეგობარი ვიყავი, მისთვის კი – მტერი. და ვერც იფიქრებდა, რომ მე [მის შესახებ] კარგი აზრისა ვიყავი, რადგან დიონს ქონება სრულად გაუნიავა.

(350a) ამის შემდეგ ვცხოვრობდი აკროპოლისის გარეთ, დაქირავებულ ჯარისკაცთა გვერდით. მოდიოდნენ ჩემთან ისეთებიც, ვინც ათენიდან იყო და [აქ] მსახურობდა, [ანუ] ჩემი თანამოქალაქეები. მათ მომიტანეს ამბავი, რომ პელტასტებში ჩემზე ცილისწამება გავრცელდა და ზოგიერთი მოკვლით მემუქრება, თუკი შემიპყრობდნენ. [მაშინ] გადარჩენის ასეთი ხერხი მოვიფიქრე: გავგზავნე შეტყობინება არქიტესა და სხვა მეგობრებთან ტარენტში, და ვაცნობე, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდი. (b) მათ საბაზად გამოიყენეს პოლისიდან რაღაც ელჩობა და გამოგზავნეს ოცდაათნიჩბიანი გემი. მას გამოაყოლეს ლამისკოსი, მათი [კაცი]. ის რომ ჩამოვიდა, დაელაპარაკა დიონისიოსს ჩემ შესახებ. უთხრა, რომ მსურდა გამგზავრება, და [სთხოვა], სხვა არაფერი გაეკეთებინა [ჩემ დასაბრკოლებლად]. [დიონისიოსი] დათანხმდა და გამომისტუმრა, თან ფული მომცა. დიონის ქონებას რაც შეეხება, არც მე მითხოვია რაიმე და არც არავის მოუცია.

[პლატონის შეხვედრა დიონთან. მისი შეხედულება დიონის შემდგომი მოქმედების შესახებ. შურისძიება და მისი შედეგები. პოლისის მართვა. უსამართლობის ჩადენას დათმენა სჯობს]

ჩამოვედი პელოპონესზე, ოლიმპიაში. იქ შევხვდი დიონს, რომელიც [ოლიმპიურ თამაშებს] უყურებდა. ვუამბე, რაც მოხდა. მან ზევსს მოწმედ მოუხმო და მაშინვე მე და ჩემს ახლობლებს მოგვმართა, (c)

რომ დიონისიოსზე შურის საძიებლად მოვმზადებულიყავით. ჩვენ [ეს] სტუმართმოყვარეობის წესის შეურაცხყოფის [გამო უნდა გაგვეკეთებინა] – ასე ამბობდა ის და ფიქრობდა – ხოლო თავად მას, [დიონს], იმიტომ, რომ უსამართლოდ გააძევეს და ლტოლვილად აქციეს. ეს რომ მოვისმინე, ასეთი რჩევა მივეცი: შეემლო, დაეძახა მეგობრებისთვის, თუ ეს მათი სურვილიც იქნებოდა; «რაც შემეხება მე – ასე ვუთხარი – შენ, სხვებთან ერთად, ლამის ძალით მაქციე დიონისიოსის თანამესუფრედ, კერისა და მსხვერპლშეწირვის მოზიარედ. მრავალი ცილისწამება გაისმოდა და [დიონისიოსიც], რა თქმა უნდა, ფიქრობდა, რომ მეც, შენთან ერთად, მის და ტირანიის წინააღმდეგ შეთქმულებას ვაწყობდით, მაგრამ მაინც არ მოაკვლევინა ჩემი თავი: შერცხვა.[144] (d) [ესეც რომ არა], აღარც ასაკი მიწყობს ხელს, ვინმეს თანამებრძოლი ვიყო, თუმცა თქვენი მოკავშირე ვარ, თუ ოდესმე ერთმანეთთან მეგობრობა დაგჭირდათ და რაიმე კარგის გაკეთება ისურვეთ. მაგრამ სანამ ბოროტს განიზრახავთ, [მე ნუ დამიძახებთ], სხვებს მოუხმეთ.» ეს ვთქვი და მწარედ [მომაგონდა] სიცილიაში [ჩემი] მგზავრობები და უბედობა. მათ არ დამიჯერეს, არ ირწმუნეს, რასაც საუბრებში ვურჩევდი და თვითონ იქცნენ საკუთარი თავისთვის ყველა იმ უბედურების მიზეზად, რომელიც ახლა დატრიალდა.[145] (e) დიონისიოსს დიონისთვის ქონება რომ მიეცა ან [მას] მთლიანად შერიგებოდა, არასდროს არაფერი მოხდებოდა, რამდენადაც ეს ადამიანთა [ძალაშია]. დიონს ადვილად შევაჩერებდი – ამის ნებაც და ძალაც გამაჩნდა. მაგრამ, აი, წაეკიდნენ ერთმანეთს და საყოველთაო უბედურებაც დატრიალდა.

(351a) და მაინც, მე ვიტყვოდი, რომ დიონს იგივე სურვილი ჰქონდა, რაც მეც და სხვასაც უნდა გვექონოდა, ვინც ზომიერია და გონივრული დამოკიდებულება აქვს როგორც საკუთარი, ასევე მეგობრების ძალაუფლებისა და თავის პოლისისადმი, და ვისაც მიაჩნია, რომ თუ კარგ საქმეებს გააკეთებს, უდიდეს [წარმატებას მიაღწევს, რაც] ძლიერებასა და პატივშიც გამოიხატება.

[146]

ეს სულ სხვა რამ არის, არა ის, კაცი რომ გამდიდრდება, მეგობრებსა

და პოლისსაც გაამდიდრებს შეთქმულებების გზითა და თანამზრახველთა დახმარებით, [თვითონ კი სინამდვილეში] ღარიბია და საკუთარ თავს ვერ მართავს, სისუსტის გამო სიამოვნებებს დამონებული; (b) შემდეგ იქცევა მდიდრების მკვლელად, მათ მტრებს უწოდებს, თან მათ ქონებას ანიავეს და [თავის] ახლობლებსა და თანამზრახველებსაც [ამისკენ] მოუწოდებს, რომ არავინ თავისი სიღარიბე მას არ უსაყვედუროს. იგივეა [ანუ ასევე ცუდია], როცა ვინმეს პოლისისთვის მოგება მოაქვს და პოლისიც მას პატივს სცემს, რადგან ის დეკრეტით უმცირესობის ქონებას უმრავლესობას უნაწილებს. [ასევე ცუდია], როცა მეთაური დიდი პოლისისა, ისეთის, რომელსაც მრავალრიცხოვანი მომცრო [პოლისი] ექვემდებარება, საკუთარ პოლისს უფრო მომცრო [პოლისთა] ქონებას უსამართლოდ უნაწილებს. (c) ყოველივე ამის გათვალისწინებით, დიონი იქნებოდა ეს თუ სხვა, ნებაყოფლობით არასდროს დათანხმდებოდა ძალაუფლებაზე, რომელიც თავად მისთვის და [მისი] შთამომავლებისთვის სამუდამოდ დამღუპველი შეიქმნებოდა;

[147]

[პირიქით: დიონის მიზანი იყო ჩამოყალიბებულიყო საუკეთესო] სახელმწიფო წყობა და შექმნილიყო ყველაზე უფრო სამართლიანი და კარგი კანონები, რაც მინიმალური ოდენობითაც კი არ მოითხოვდა მკვლელობასა თუ გაძევებას. სწორედ ამას აკეთებდა ახლა დიონი. ის ამჯობინებდა უღვთობის დათმენას, ვიდრე ჩადენას, თუმცა ყველანაირად ცდილობდა, დათმენისთვისაც თავი აერიდებინა.

[148]

(d) და მაინც, სწორედ მაშინ დაუცდა ფეხი, როცა მტრებზე მაქსიმალურ უპირატესობას მიაღწია. ამაში არაფერია გასაკვირი. ღვთისნიერი ადამიანი, თუ მას სალი და ნათელი გონება აქვს, არაღვთისნიერთა სულის [შეფასებაში] მთლად არ შეცდება. და მაინც, რა გასაკვირია, რომ მას იგივე მოსდის, რაც კარგ მესაჭეს, რომელსაც მოსალოდნელი ქარიშხალი სრულიად შეუმჩნეველი არ რჩება,

[149]

თუმცა მან შეიძლება ვერ შენიშნოს ქარიშხლის განსაკუთრებული, წარმოუდგენელი სიძლიერე და ამ შეუმჩნეველ ძალას ემსხვერპლოს. სწორედ ამან მოუსწრაფა დიონს სიცოცხლე ძალიან მალე. რა თქმა უნდა, მან იცოდა, რომ ისინი, ვინც ის დაუნდობლად გაიმეტა, ცუდი ადამიანები იყვნენ, (e) მაგრამ მათი უვიცობისა თუ სხვა საძაგლობისა და გაუმაძღრობის ზომა ვეღარ გაითვალისწინა. ამიტომ დაიღუპა და სიცილია უმძიმეს განსაცდელში ჩააგდო.

(352a) ჩემი რჩევები იმის შედეგია, რაც ახლა ითქვა. ვფიქრობ, სათქმელი ითქვა და ეს საკმარისია. ხოლო თუ რისი გულისთვის გავემგზავრე სიცილიაში მეორედ, ამის შესახებაც, ჩემი აზრით, უნდა მომეთხრო, იმდენად დაუჯერებელი და გაუგებარი იყო ეს ამბავი. თუ [ამის შედეგად] თქმული უფრო გასაგები გახდა და მომხდარის მოტივებიც საკმარისად [წარმოჩნდა], მაშინ ჩავთვალოთ, რომ სწორად და საკმარისად ითქვა ის, რაც ვთქვით.

## დანართი – წერილის გეგმა-სარჩევი

[150]

323 d – 326 b: მიმართვა წერილის ადრესატებს – დიონის ახლობლებს. წერილის მიზანი: რჩევა მისცეს მათ. წარსული პოლიტიკური გამოცდილების გახსენების აუცილებლობა. პლატონისა და დიონის მიზნები. პლატონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადრეული პერიოდი. პოლიტიკური ვითარება ათენში. სოკრატეს ბედი. პოლიტიკა და ფილოსოფია. იდეა, რომლის თანახმად პოლისს ფილოსოფოსი მმართველები უნდა უძღვებოდნენ.

326 b – 328 d: პლატონი პირველად ჩადის სიცილიაში. დიონთან მეგობრობა, იდეური ერთსულოვნება. უფროსი დიონისიოსი. მისი სიკვდილი. პლატონი კვლავ ათენშია. დიონის გეგმები უმცროს

დიონისიოსთან დაკავშირებით. დიონი პლატონს სთხოვს, დაბრუნდეს სიცილიაში და აღზარდოს უმცროსი დიონისიოსი განათლებულ მმართველად.

328 d – 330 b: პლატონი მეორედ ჩადის სიცილიაში. მოტივები, რატომ დასთანხმდა დიონის თხოვნას იქ ხელმეორედ ჩასულიყო: მეგობრობა (სტუმარმასპინძლობის წესის დაცვა) და ფილოსოფია; ვალდებულება, ფილოსოფოსმა რეალურად სცადოს აღასრულოს ის, რაც თეორიად აქვს ჩამოყალიბებული, იქ და იმ ვითარებაში, სადაც ამისთვის შესაფერისი ნიადაგი არსებობს. ამჯერად პლატონის ჩასვლა წარუმატებელი აღმოჩნდა. დიონი გააძევეს, პლატონს უნდობლობით შეხვდნენ. უმცროსი დიონისიოსი ინტრიგებსა და ცილისწამებლებს უჯერებდა და მათ იყო აყოლილი.

330 c – 331 d: პლატონი უბრუნდება წერილის ძირითად მიზანს: დიონის მეგობრებისთვის რჩევის მიცემას. რჩევას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მას, ვისაც რჩევებს აძლევენ, მათ ისმენს და ცდილობს, ისინი შეასრულოს. სხვაგვარად რჩევების მიცემას აზრი არა აქვს. ეს ეხება ცალკეულ პირებს და ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებასაც.

331 d – 334 e: პლატონის რჩევა დიონის მეგობრებისადმი ისეთივე იქნება, როგორც მან და დიონმა თავის დროზე დიონისიოსს მისცეს. ისინი მას მოუწოდებდნენ, ყოფილიყო საკუთარი თავის განმგებელი, საკუთარ თავთან თანხმობაში და ჰყოლოდა სანდო მეგობრები. მაგრამ ლალატმა და ცილისწამებამ იმარჯვა და დიონი გააძევეს. ის დაბრუნდა და ამჯერად უკვე საქმით დაარიგა დიონისიოსს ჭკუა, მაგრამ მას ისევ უღალატეს და ცილი დასწამეს, თითქოს ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდა. შეთქმულების შედეგად, მისმა ორმა ყოფილმა ნაცნობმა ის მოკლა. ისინი ათენელები იყვნენ. პლატონის აზრით, მათი ათენელობა საკმარისი საფუძველი არ არის ათენის გასამტყუნებლად: განა დიონის საუკეთესო მეგობარიც (თავად პლატონი) ათენელი არ იყო?

334 e – 337 e: რასაც პლატონი დიონისიოსს ურჩევდა, იმასვე ურჩევს ახლა დიონის მეგობრებს: აუცილებელია ტირანიისგან განთავისუფლება და კარგი, ყველასთვის – როგორც დამარცხებული, ასევე გამარჯვებული პარტიებისთვის თანაბრად აუცილებელი კანონების შემუშავება. უსამართლობის დათმენა სჯობს მის ჩადენას. ადრე თუ გვიან, უსამართლობა საზიანოა მისი ჩამდენისთვის და შთამომავლობისთვისაც. დიონისიოსმა პლატონის რჩევებს ყური არ უგდო და უღირსად ცხოვრობს; დიონმა მათ მისდია და ღირსეულად დაიღუპა. დიონი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის სიცილიას წარმატებას მოუტანდა და მშვიდობიან, ყველასთვის სასარგებლო ცხოვრებას დაამყარებდა. მისმა მეგობრებმა მის გეგმებს უნდა მისდიონ. ფილოსოფიისა და მმართველი ძალის შერწყმის იდეალი: გონივრულობაზე დამყარებული და სამართლიანობის პრინციპით აგებული სახელმწიფო. ცოდნის, განათლების მნიშვნელობა. უვიცობის მწარე შედეგები. გამარჯვებულებმა უნდა ისწავლონ თავისი თავის მართვა და შეწყვიტონ დამარცხებულთა დევნა და შურისძიება: წინააღმდეგ შემთხვევაში სამოქალაქო დაპირისპირებებს ბოლო არ ექნება. თუ ფილოსოფოსი-მეფე აუსრულებელი გეგმაა, მაშინ კანონებით მართული სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს.

337 e – 340 b: პლატონი განაგრძობს თხრობას სიცილიაში მისი ხელმეორე მგზავრობის შესახებ. ის დასრულდა, როცა დიონიც გააძევეს. პლატონი აპირებდა სიცილიაში დაბრუნებულიყო იმ შემთხვევაში, თუ დიონიც დაბრუნდებოდა. დიონისიოსი ეწინააღმდეგებოდა დიონის სირაკუზაში დაბრუნებას, ამიტომ პლატონიც უარს ამბობდა იქ ჩასვლაზე. მაგრამ დიონმა სხვა მეგობრებთან ერთად მას ძალიან სთხოვა, სიცილიაში დაბრუნებულიყო და კვლავ ეცადა, დიონისიოსი ჭკუაზე მოეყვანა. მათი აზრით, დიონისიოსი ისევ დაინტერესდა ფილოსოფიით. პლატონმა გადაწყვიტა, რომ მას არ უნდა გაეშვა ხელიდან შანსი, თავისი და დიონის მიზნებისთვის მიეღწია, თუკი ამისთვის შესაფერისი პირობებიც არსებობდა.

340 b – 341 a: პლატონი მესამედ ჩადის სიცილიაში. მან გადაწყვიტა შეემოწმებინა, მართლაც იყო თუ არა დიონისიოსი ფილოსოფიით დაინტერესებული. ამგვარი შემოწმება შემდეგში გამოიხატებოდა: დიონისიოსს უნდა დაენახა, რა დროს და შრომას მოითხოვს საქმე, რომლისთვისაც სურდა, რომ ხელი მოეკიდა. ფილოსოფია და ცხოვრების წესი. მოჩვენებითი ცოდნა.

341 b – 345 c: ექსკურსი: პლატონის შეხედულება ფილოსოფიის, მისი სწავლებისა და წერილობითი ფორმით გადაცემისა და გავრცელების შესახებ. ის აკრიტიკებს დიონისიოსს, რომელსაც ეგონა, რომ პლატონის მოძღვრების ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს ჩასწვდა. უმთავრესის დაწერა შეუძლებელია. უმნიშვნელოვანესის წვდომასთან მიახლოება მხოლოდ ძალიან ხანგრძლივი გამოცდილების შედეგად, მასწავლებელთან რეგულარული ურთიერთობის შედეგად შეიძლება. პლატონის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანის შესახებ მას არასდროს დაუწერია და არც არასდროს დაწერს. შემეცნების სახეები: ოთხი სახე და ბოლო, მეხუთე, თავად სინამდვილე.

[151]

ცოდნის ოთხი სახე თავისთავად არასრულყოფილია, ისინი ერთმანეთთან ურთიერთმიმართებაში ზუსტდება და «კორექტირდება». მხოლოდ ხანგრძლივი, საფუძვლიანი შემოწმების შედეგად სულში უცბად აღმოცენდება ცოდნის ნაპერწკალი. ცოდნის მექანიკური გადაცემა შეუძლებელია. ფილოსოფიისადმი დიონისიოსის დამოკიდებულება. არცერთი სერიოზული ადამიანი სიტყვიერად და, მითუმეტეს, წერილობით არ გამოიხატავს იმას, რაც ყველაზე არსებითია.

345 c – 350 b: სიცილიაში მესამე მგზავრობა: შეჯამება. დიონისიოსის მიერ პლატონის შეურაცხყოფა. დიონისიოსმა დაარღვია პირობა: მან უარი თქვა დიონისთვის მისი ქონების დაბრუნებაზე. გაბრაზებულ პლატონს სირაკუზიდან გამგზავრება სურდა, მაგრამ ნაოსნობის სეზონი უკვე დამთავრებული იყო. პლატონი, ფაქტობრივად,



დიონისიოსთან შინაპატიმრობაში აღმოჩნდა. ის ნატრობდა, რაც შეიძლება მალე დაეღწია ამისთვის თავი. კვლავ პოლიტიკური ინტრიგები და თავგადასავლები. გამგზავრების შესაძლებლობა პლატონს მიეცა მეგობრის, პითაგორელი არქიტე ტარენტელის ჩარევის შემდეგ.

350 b – 351 e: სიცილიაში მესამედ ყოფნის შემდეგ პლატონი პელოპონესისკენ გაემგზავრა და ოლიმპიაში გაჩერდა. იქ დიონს შეხვდა. დიონს სურდა, სამხედრო ოპერაციით დაემხო დიონისიოსის ტირანია. პლატონმა უარი უთხრა ამ საქმეში დახმარებაზე. მას არ სურდა მასპინძლისთვის (დიონისიოსისთვის) ეღალატა; გარდა ამისა, სამოქალაქო დაპირისპირებისგან ის ბევრ უბედურებას მოელოდა, თუმცა ისიც იცოდა, რომ დიონს საყოველთაო სიკეთე სურდა. დიონი აცნობიერებდა გარემომცველი ადამიანების ბოროტებას, მაგრამ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მან ვერ გაითვალისწინა მათი ბოროტებისა და მუხანათობის ძალა. ამან დიონი დალუპა, რაც მთელი სიცილიისთვის ძალიან სამწუხარო იყო.

352 a: პლატონი მიმართავს თავისი წერილის ადრესატებს – დიონის მეგობრებს და დასკვნის სახით ეუბნება, რომ რჩევები რომლებსაც მათ აძლევს, მის მიერ მოთხრობილი გამოცდილების შედეგია. მათი დაწვრილებით მოთხრობის მიზეზი იმ გაუგებრობის განმარტებაც იყო, რომლებიც ამ ჩახლართულ, დაუჯერებელ ამბებს შეიძლება მსმენელში გამოეწვია.

## სქოლიო

[1] Мераб Мамардашвили, Как я понимаю философию. Москва, 1990, с. 387 («Вена на заре века»).

[2] ახ. წ. მეხუთე საუკუნემდე პლატონის წერილების

ავთენტურობაში ეჭვი არ შეჰპარვიათ. პროკლედან მოყოლებული (V ს.) რენესანსამდე (XVI ს.) იგრძნობოდა ერთგვარი უნდობლობა პლატონის წერილების მიმართ, რაც მათ იგნორირებაში გამოიხატა. XVI ს.-დან ხელახლა იწყება მათი ინტენსიური კითხვა. ამჯერად ეს კრიტიკული წაკითხვა იყო, რის შედეგადაც ზოგიერთი წერილის ავთენტურობაში ეჭვი შეეპარათ. საინტერესოა მარსილიო ფიჩინოს მიდგომა: ის არ თარგმნის პლატონის მე-13 წერილს, სადაც ნახსენებია «ღმერთი» და არა «ღმერთები», რაც ეწინააღმდეგება «ტიმაიოსს», სადაც «ღმერთებზე» საუბარი (იხ. Platon, Oeuvres complètes, Tome XIII, I partie, Lettres. Texte établi et traduit par Joseph Souilhé. Paris, Les belles lettres, 1926, p. XIX. შემდგომი დამოწმებისას: Souilhé). მიუხედავად ღრმად ქრისტიანული პოზიციისა, მარსილიო ფიჩინო ცდილობდა, ტექსტს «ნეიტრალურად» და ობიექტურად მოპყრობოდა და, როგორც არამომგებიანიც არ უნდა ყოფილიყო ეს მისთვის ამ შემთხვევაში, ის მეცნიერულად და კრიტიკულად განესაჯა.

[3] დიონისა და მისი მეგობრებისადმი მიძღვნილია პლატონის VII, VIII, X წერილები. VIII წერილი შინაარსობრივადაც მოსდევს VII-ს.

[4] თავის მხრივ, პლუტარქე საფუძვლიანად იყენებდა პლატონის მეშვიდე წერილს. მასზე დაყრდნობით და მისი დამოწმებით, ის, სხვათა და სხვათა შორის, აღწერდა დიონის პლატონთან ურთიერთობასაც.

[5] შდრ. Glenn R. Morrow, The Theory of Knowledge in Plato's Seventh Epistle. The Philosophical Review, Volume 38, Issue 4 (Jul., 1929), p. 326-349, აქ: p. 340 (შემდგომი დამოწმებისას: Morrow, The Theory of Knowledge). ავტორის აზრით, სწორედ ტერმინოლოგიური არათანმიმდევრობა არის ნიშანი წერილის ავთენტურობისა. შემეცნების საკითხებისთვის მეშვიდე წერილში იხ. აგრეთვე Robert E. Allinson, A Rectification of Terms in the Epistolary Plato: Re-Reading Plato's Seventh Epistle. CUHK Journal of Humanities, p. 136-150.

შემდგომი დამოწმებისას: Allinson, A Rectification.

[6] იხ. Morrow, The Theory of Knowledge, p. 340.

[7] მოროუ «მიახლოებით ბუნებად» («approximate nature») თარგმნის to poion ti-ს და «ნამდვილ ბუნებად» («real nature») to ti-ს. Morrow, The Theory of Knowledge, p. 333, 335. ცალკე თემაა თვითონ ამ ტერმინებისა თუ სიტყვების უფრო დაწვრილებით კვლევა მათ ისტორიულ კონტექსტში, არისტოტელესთან მათი აქტუალობის პერსპექტივაში. საინტერესოა, რომ პლატონი ხაზს უსვამს იმას, რომ შემეცნების ყველა დონეზე საგანი ძირითადად თავის როგორობას წარმოგვიდგენს, თუმცა სული მის რაობას ეძიებს.

[8] Morrow, The Theory of Knowledge, p. 341-342.

[9] Morrow, The Theory of Knowledge, p. 346.

[10] Morrow, The Theory of Knowledge, p. 336.

[11] Morrow, The Theory of Knowledge, p. 338. იხ. აგრეთვე პლატონი, VII წერილი, 343 b-ს ბოლო.

[12] პლატონის დიალოგებიდან შემეცნების საკითხები შესადარებელია აგრეთვე შემდეგ ტექსტებთან: «კანონები», X, 895 d (იხ. Plato: Phaedrus and the Seventh and Eighth Letters. Translated and Commentary by Walter Hamilton. Penguin Books, 1973, p. 137. შემდგომი დამოწმებისას: Hamilton), სადაც საუბარია სამგვარ შემეცნებაზე თითოეული საგნისა: ერთია თავად არსება, მეორე – არსების განსაზღვრება, მესამეც – სახელი. შდრ. აგრეთვე «ფედროსი», 245 e; «თეეტეტი», 201 e – 202 c; «სოფისტი», 218 b; 221 b;

«პოლიტიკოსი» 267 a, 271 c; «კანონები», XII, 964 a. იხ. Platon, Werke in acht Bänden, Griechisch und Deutsch. Band 8 (2). Herausgegeben von Gunther Eigler. Darmstadt 1990, p. 295. შემდგომი დამოწმებისას: Eigler.

[13] Morrow, The Theory of Knowledge, p. 345.

[14] Morrow, The Theory of Knowledge, p. 348.

[15] მოროუს თქმით, პლატონის მეშვიდე წერილი არის ნახევრად საჯარო დაცვა პლატონის მიერ მთელი მისი კარიერისა – მასწავლებლის და პოლიტიკური რეფორმატორისა. Morrow, The Theory of Knowledge, p. 326.

[16] წერილში პლატონი მიმართავს თავისი მეგობრის, დიონის ახლობლებს. სირაკუზელი დიონი (ძვ. წ. 408-354 წწ.) პლატონის მიმდევარი იყო, იზიარებდა პლატონის ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. დიონი იყო სირაკუზელი ტირანის, უფროსი დიონისიოსის (ძვ. წ. 432-367 წწ.) ახლობელი და, ამასთანავე, მისი ცოლის ძმა. პირველად პლატონი იტალიასა და სიცილიას ორმოცი წლის ასაკში ეწვია ძვ. წ. 388-387 წწ. დიონი მაშინ ოცი წლის იყო. პლატონი მასთან მის დალუპვამდე მეგობრობდა, ანუ დაახლოებით 33 წელი. სიცილიაში პირველად ჩასვლის შემდეგ ათენში დაბრუნებულმა პლატონმა აკადემია დაარსა. უფროსი დიონისიოსი ძვ. წ. 367 წ. გარდაიცვალა (სხვათა შორის, მას ახსენებს დანტე «ღვთაებრივ კომედიაში», I, XII, 107, ალექსანდრე მაკედონელის გვერდით). მისი სიკვდილის შემდეგ დიონი დიონისიოსის ძეზე, უმცროს დიონისიოსზე ამყარებდა იმედებს და მისი მრჩეველიც გახდა. დიონს სურდა, ტირანი განათლებული ყოფილიყო და ქვეყანა გონივრულად – პლატონის სისტემის შესაბამისად მოეწყო და ემართა. დიონის შუამდგომლობით, უმცროსი დიონისიოსის განათლების მიზნით, პლატონი ხელახლა მიიწვიეს სირაკუზაში ძვ. წ. 367 წ. პლატონის ჩასვლიდან რამდენიმე

თვე არ იყო გასული, როცა დიონი, ინტრიგებისა და ცილისწამების შედეგად, იძულებული შეიქმნა, სირაკუზა დაეტოვებინა. პლატონი დარწმუნდა, რომ დიონისიოსს ვერ «მოაქცევდა» და მალე თვითონაც გაემგზავრა სიცილიიდან. გავიდა დრო, დიონისიოსმა თითქოს ხელახლა გამოხატა ინტერესი ფილოსოფიური ცხოვრების წესის მიმართ და პლატონიც დიონის რჩევისა და თხოვნის შედეგად მესამედ დაბრუნდა სიცილიაში. ეს მოხდა ძვ. წ. 361-360 წწ. ამ დროს დატრიალდა ტრაგედია. ინტრიგების, შურის, უნდობლობისა და მიზეზთა რთული კომპლექსის გამო, რომელიც წერილშია აღწერილი, დიონისა და პლატონის გეგმები უმცროს დიონისიოსთან დაკავშირებით ჩაიშალა. თავად პლატონსაც არაერთხელ მიაყენეს შეურაცხყოფა და მან ძვ. წ. 360 წ. სიცილია საბოლოოდ დატოვა. გზად ოლიმპიაში პლატონი დიონს შეხვდა, რომელიც დიონისიოსზე შეტევას და სირაკუზის აღებას აპირებდა. პლატონი ამგვარი ძალადობრივი ქმედების წინააღმდეგი იყო და ყოველგვარ თანამონაწილეობაზე უარი თქვა. დიონმა მაინც სცადა ჩანაფიქრის განხორციელება. საბოლოოდ, ის შეთქმულების შედეგად მისივე ნაცნობების, ორი ათენელი ძმის ხელით მოკლეს. მეშვიდე წერილი დაწერილია დიონის დაღუპვის შემდეგ. მასში პლატონი მიმართავს დიონის ახლობლებს, რომლებიც პლატონს რჩევას სთხოვენ სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად. და აი, პლატონი უკვე მესამედ აძლევს სირაკუზელებს რჩევას, მას შემდეგ, რაც მან თავის დროზე რჩევები მისცა დიონსა და დიონისიოსს. ამჯერად რჩევის მისაცემად პლატონს სურს დარწმუნდეს, რომ დიონის ახლობლებს იგივე სურვილი და მიზნები ამოძრავებთ, რაც თავის დროზე დიონს ამოძრავებდა. იწყება ვრცელი რეტროსპექტული ანალიზი სირაკუზის წარსული პოლიტიკური მდგომარეობისა, დიონის და პირადად მისი, პლატონის ბედის ფონზე, რასაც თან ერთვის (ნაწილობრივ განმარტების მიზნით) ექსკურსი ათენის წარსულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც სოკრატეს ბედის ფონზე იშლება. იხ. Bury, p. 385-388.

[17] შემდეგ პლატონი ნათლად გამოთქვამს თავის პრინციპულ პოზიციას, რომელიც ყოველგვარ ვითარებაშია მნიშვნელოვანი: რჩევის მიცემას განმეორებით მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მათ,

ვისაც რჩევას აძლევენ, მართლაც უნდათ ცვლილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამაოდ რჩევების მიცემას აზრი არა აქვს. იხ. ქვემოთ, 330 d – 331 d.

[18] ზუსტად არ არის ცნობილი, ვინ იყო ჰიპარინოსი. ეჭვია ორ პიროვნებაზე: ერთი იყო დიონის შვილი, მეორე – უფროსი დიონისიოსის ძე, რომლის დედა იყო დიონის და არისტომაქე. მეორე ჰიპარინოსი, რომელიც უმცროს დიონისიოსს ნახევარძმად ერგებოდა, დიონის ერთგული მიმდევარი იყო. სავარაუდოდ, ამ წერილში ის იგულისხმება. იხ. აგრეთვე პლატონი, VIII წერილი, 356 a. Hamilton, p. 112; Robin, p. 1623; Eigler, p. 369.

[19] ეს მოხდა ძვ. წ. 404-403 წწ.

[20] ანუ მმართველებად.

[21] ე.ი. პორტს.

[22] ანუ ბაზარს.

[23] ე.ი. უმაღლესი უფლებამოსილების მქონე მმართველებად.

[24] პლატონის ნათესავებს, კრიტიასსა და ქარმიდეს, მაღალი თანამდებობები ეკავათ ოცდაათის მმართველობის დროს. Eigler, p. 371.

[25] იგულისხმება ლეონ სალამინელი, რომლის დასაკავებლადც წარგზავნეს სოკრატე (ძვ. წ. 469-399 წწ.) ოთხ სხვა პირთან ერთად. იხ. პლატონი, «სოკრატეს აპოლოგია», 32 c.

[26] იგულისხმება პერიოდი, როცა თრასიბულოსმა დემოკრატია აღადგინა ძვ. წ. 403 წ.

[27] შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», V, 478 d; VI, 501 e. Bury, p. 482.

[28] შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», V, 473 cd; VI, 499 b. Robin, p. 1624; Bury, p. 482. ეს არის პლატონის ცნობილი თეორია, რომლის თანახმად კარგი მმართველი კარგად განათლებული ადამიანი ანუ «ფილოსოფოსოფოსი» უნდა იყოს, რაც არის შედეგი და გამოხატულება სპეციალური, კომპლექსური აღზრდა-განათლების და ცხოვრების შესაბამისი წესისა. იხ. აგრეთვე ქვემოთ, VII წერილი, 328 a.

[29] შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», III, 404 d; «გორგიასი», 518 b. Robin, p. 1624.

[30] სახელმწიფოს ყველა აქ დასახელებული ფორმა, პლატონის აზრით, უარყოფითია. მათ მონაცვლეობას მხოლოდ ფილოსოფოსის მიერ განხორციელებული მმართველობა უღებს ბოლოს. სამ მანკიერ სახელმწიფო წყობას უპირისპირდება სამი სწორი ფორმა: მონარქია, არისტოკრატია, კონსტიტუციური სახელმწიფო. შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», VIII-IX, 543 a – 576 d; «პოლიტიკოსი», 291 d – 293 a, 302 b – 808 c. Eigler, p. 375; Bury, p. 484.

[31] პირველ რჩევაში იგულისხმება ის, რომელიც პლატონმა დიონს და მის მეგობრებს მისცა ოლიმპიაში, იხ. ქვემოთ, პლატონი, VII წერილი, 350 bd. Robin, p. 1624.

[32] შდრ. პლატონი, «თეეტეტი», 144 a. Robin, p. 1624.

[33] ანუ უფროსი დიონისიოსის შვილი.

[34] შეიძლება «მმისშვილიც» იგულისხმებოდეს, მაგრამ ვინაიდან ცნობილია, რომ დიონს ჰყავდა და და დისშვილი ჰიპარინოსი, ამიტომ «დისშვილზე» შევჩერდით, თუმცა ჰიპარინოსი იმ დროს ძალიან ახალგაზრდა იქნებოდა, ხოლო სხვა დისშვილებიც თუ ჰყავდა დიონს, არ ვიცით. Eigler, p. 375; Robin, p. 1624.

[35] ანუ ასრულდებოდა პლატონის პოლიტიკური იდეალი, რომელსაც მან თავისი «სახელმწიფო» მიუძღვნა.

[36] ალბათ, ის ეგონათ, რაც როგორც ცილისწამება პლატონის შესახებ ვრცელდებოდა: ვითომ ის დიონისიოსის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებაში მონაწილეობდა.

[37] მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცები.

[38] იხ. პლატონი, «სახელმწიფო», VI, 495 c; VII, 535 cd. Robin, p. 1624.

[39] მეგარა ახლოს იყო ათენთან, დაახლ. 40 კმ მანძილზე. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ იქ ბევრი მისი მიმდევარი და მეგობარი გადაიხვეწა, მათ შორის პლატონი. Eigler, p. 379.

[40] აქ პლატონი ნახევრად-პროფილიდან თითქოს პირდაპირ გვიჩვენებს თავის სახეს, ისე, როგორც ის თვითონ ხედავს თავის თავს.

[41] ბერძნ. diatribas ანუ მოღვაწეობა აკადემიაში, რომელიც 23 წლის წინ იყო დაარსებული. Robin, p. 1624.



[42] გავიხსენოთ «ვეფხისტყაოსანი», ავთანდილის ანდერძი: «არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა» (798, 3). შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი 1986. შემდგომში ამ გამოცემას ვიმოწმებ: ვეფხ., სტროფი, სტრიქონი.

[43] თავად დიონისიოსიც იქ ცხოვრობდა. იხ. Robin, p. 1624.

[44] ბერძნ. atechnon. პოლიტიკური მრჩევლის ექიმთან შედარებისთვის იხ. აგრეთვე პლატონი, «სახელმწიფო», IV, 425 e – 426 d; «კანონები», IV, 720 ae. Bury, p. 497.

[45] შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», 493 ad. Robin, p. 1625.

[46] შდრ. «კანონები», IV, 717 b – 718 a; XI, 929 de; «კრიტონი», 51e. Robin, p. 1625; Bury, p. 498.

[47] დარიოსმა ექვსი წარჩინებული სპარსელის დახმარებით მოკლა ფსევდო-სმერდისი, რომელსაც ძალაუფლება ჰქონდა მიტაცებული. იხ. ჰეროდოტე, III, 70; პლატონი, «კანონები», III, 695 b – 696 b. Bury, p. 501.

[48] გელონი იყო სირაკუზის ტირანი ძვ. წ. 491 წლიდან. მან ქიმერასთან დაამარცხა კართაგენელები ძვ. წ. 480 წ. Лосев, p. 645.

[49] იგულისხმება საომარი მოქმედებები ძვ. წ. 357 წ. იხ. Bury, p. 505. «საქმე» ამ შემთხვევაში უპირისპირდება «სიტყვას», ანუ თეორიულ, ფილოსოფიურ დარიგებებს.

[50] პლატონი ხაზს უსვამს იმას, რომ აწმყოში გასარკვევად და მომავალი მოქმედებების დასაგეგმად აუცილებელია წარსულის ცოდნა და გამოცდილების გათვალისწინება.

[51] პლუტარქეს «დიონის» თანახმად, ესენი იყვნენ ქალიპოსი და ფილოსტრატოსი. Bury, p. 506.

[52] მიჩნეულია, რომ პლატონი გულისხმობს მისტერიებში მონაწილეობის ორ – უფრო დაბალ და უფრო მაღალ საფეხურებს. Bury, p. 506.

[53] ესეც ის იშვიათი შემთხვევაა, როცა პლატონი პირდაპირ გვიჩვენებს თავის თავს, ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც თვითონ აღიქვამდა თავის თავს და თავის საქციელს და თავსაც ამაყად იქებს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს სრული პირდაპირობა მან საკუთარი პირით მესამე პირში გამოხატა – როგორც სხვის შესახებ ნათქვამი.

[54] შდრ. აქვე, 336 d.

[55] პირველად პლატონმა დიონს მისცა რჩევა (327 e), მეორედ – დიონისიოსს (331 d). Robin, p. 1626.

[56] ამ გამოთქმას უკავშირებენ ნადიმის ერთ წესს, რომელიც მესამე სასმისის მხსნელი ღმერთისთვის მიძღვნას გულისხმობს. შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», IX, 583 b. Bury, p. 508.

[57] «სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი», ვეფხ., «ავთანდილის ანდერძი», 808, 4.

[58] ესეც პლატონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია: ცუდის გაკეთებას დათმენა სჯობს (თუმცა კიდევ უკეთესი, თუ არც ერთი მოხდება და არც მეორე). ამის შესახებ ქვემოთაც იქნება საუბარი, იხ. 351 c. თემა არაერთხელ მეორდება «სახელმწიფოში» და «გორგიასში».

[59] შდრ. პლატონი, «გორგიასი», 523 a – 527e; «ფედონი», 107 d – 114 c; «სახელმწიფო» X, 614 b – 621 b. Eigler, p. 399.

[60] «ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა, / არ წამიხდინო, მეუფევ, ეს ჩემი წმინდა ხელობა». ვაჟა-ფშაველა, «ჩემი ვედრება».

[61] შდრ. პლატონი, «გორგიასი», 493 e; «ფედონი», 81 b; «ფილებოსი», 12 b. Bury, p. 511.

[62] აქაც, ისევე როგორც პლატონის დიალოგებში, ვპოულობთ ავთანდილის ანდერძში პლატონზე მითითებით გამოთქმულ აზრს, რომლის თანახმად ცუდი საქციელი «ავნებს ხორცსა, მერმე სულსა» და, ამდენად, მისივე ჩამდენისთვის საზიანოა ამქვეყნად და მერეც. უფრო დაწვრილებით ამ თემის შესახებ პლატონთან იხ. ლ. ალექსიძე, «სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა». – «ცისკარი», თბილისი 1990, 8, გვ. 106-112.

[63] აქაც, ისევე, როგორც ზემოთ, გამოხატულია პლატონის მიზანი, რომელიც მისი «სახელმწიფოს» მთავარი თემაა და ამ წერილის შინაარსსაც დიდწილად განსაზღვრავს.

[64] ეს თემაც გამეორდება ქვემოთ: სწორი აღზრდა-განათლების, სიქველევებში წვრთნის (დამოუკიდებლად ან მასწავლებლის

დახმარებით) მნიშვნელობა, იხ. 340 c.

[65] ჰიერონი, გელონის ძმა, მისი მემკვიდრე და სირაკუზის ტირანი იყო ძვ. წ. 478-466 წწ. მან დაამარცხა კართაგენელები და ეტრუსკები და სიცილიის დედაქალაქად სირაკუზა გახადა. Robin, p. 1626.

[66] ბერძნ. tolmais amathias.

[67] აქ, ისევე როგორც ბევრ სხვა ადგილას, პლატონი გამოხატავს თავის პრინციპს, რომელსაც «ეთიკურ ინტელექტუალიზმს» უწოდებენ: ცოდნა იმისა, რა არის სიკეთე, კაცს ბოროტების კეთებისგან შეაკავებს. ამ შემთხვევაში ეს პრინციპი ნეგატიური პოზიციიდან არის გამოხატული: უვიცობაა ყოველგვარი ბოროტების სათავე; თანაც, მას თავხედობა ახასიათებს.

[68] შდრ. პლატონი, «კანონები», I, 646 e – 647 c; II, 671 d. Bury, p. 516.

[69] შდრ. პლატონი, «კანონები», IV, 715 a. Bury, p. 516.

[70] ეს რიცხვი, მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, სპეციალისტებს გადაჭარბებულად მიაჩნიათ. Hamilton, p. 130. კანონმდებელთა არჩევის, რაოდენობისა და კვალიფიკაციისთვის შდრ. პლატონი, «კანონები», VI, 752 d, 765 d. Bury, p. 518.

[71] არსებობს მოსაზრება, რომ აქ ჩამონათვალი «პირველი – მეორე» არა მხოლოდ დროში პირველი და მეორე მცდელობის აღმნიშვნელია, არამედ მას ხარისხობრივი დატვირთვაც აქვს: «მეორე» ამ შემთხვევაში ხარისხითაც მეორეს ნიშნავს და მასში კანონებით მართული სახელმწიფო იგულისხმება, მაშინ როდესაც «პირველი» იდეალურ სახელმწიფოს გულისხმობს. შდრ. პლატონი,

«პოლიტიკოსი», 297 de. Bury, p. 518.

[72] ლ. რობენის აზრით, აქ გრძელდება თხრობა, რომელიც შეწყდა 330 bc-ზე, შემდეგ კი მოკლედ განახლდა 333 bc-ზე. Robin, p. 1627.

[73] პითაგორელი არქიტე, განთქმული მათემატიკოსი და ფიზიკოსი, ტარენტის მმართველიც იყო. მან მოახერხა, ტარენტი თავისი თეორიის შესაბამისად ემართა, რაც პლატონისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან შეესაბამებოდა ფილოსოფიისა და პოლიტიკის ერთიანობის მისეულ იდეალს. Robin, p. 1627.

[74] იხ. ზემოთ, 330 b.

[75] მეორედ მიწვევაზე პლატონმა უარი შეუთვალა, იხ. ზემოთ, 338 e. Bury, p. 522.

[76] ძალიან სწრაფი საბრძოლო გემი.

[77] შდრ. ზემოთ, 328 e - 329 b. Robin, p. 1627.

[78] შდრ. ზემოთ, 334 d.

[79] პლატონი ბოლომდე არ «იმეტებს» დიონისიოსს: არ უნდა, მისი კარგი თვისებები «დაივიწყოს», რომლებიც, მისი აზრით, დიონისიოსს გააჩნდა და რაც მან საქმიანად გამოხატა. შდრ. ქვემოთ, 350 c-ს ბოლო.

[80] დამოუკიდებლად თუ მასწავლებელთან ერთად

ფილოსოფიურად ცხოვრებაზე ზემოთაც იყო საუბარი, იხ. 335 d.  
შდრ. აგრეთვე პლატონი, «ნადიმი», 211 bc.

[81] აქედან დაწყებული, რამდენიმე გვერდზე პლატონი გველაპარაკება მისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა წერილობით სისტემატური სახით გადმოცემა, მისივე აზრით, შეუძლებელი, უშედეგო და, შეიძლება, საზიანოც კი ყოფილიყო. მოცემულ მონაკვეთში შედის და შინაარსობრივადაც მის ორგანულ ნაწილს ქმნის შემეცნების თემა: შემეცნების საფეხურების აღწერა, რომლებსაც იმ დონემდე მივყავართ, რის შესახებ ჩვენი ცოდნა არტიკულირებადი, გამოთქმადი და გამოხატვადიც ვეღარ არის. მოცემული მონაკვეთი მთლიანობაში (341 b - 344 d) ამ წერილის ცენტრალური ადგილია და პლატონის მთელი ფილოსოფიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტია, რომლის გაგება, მისი ყველა ტექსტის გათვალისწინების შედეგად, მხოლოდ ამ და სხვა ტექსტების მიღმა თუ შეიძლება ვეძიოთ.

[82] გაგების მეორე შესაძლებლობა: «მაგრამ მათ თავისი თავი [ავტორებად] არ [დაუსახელებიათ]».

[83] «ურთიერთობაში» შეიძლება იგულისხმებოდეს ურთიერთობა ადამიანებს შორის (მაგალითად, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის) ან ურთიერთობა იმ საგნის სფეროსთან, რომელიც შეისწავლება.

[84] ბერძნ. *exaiphnēs*.

[85] ბერძნ. *exaphthen phōs*.

[86] იდეის მისტიკური ჭკრეტის «უცაბედობისთვის» შდრ. პლატონი, «ნადიმი», 210 e. Bury, p. 530. ოღონდ, პლატონის აზრით,

ეს «უცაბედობა» მხოლოდ ხანგრძლივი, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრების განმავლობაში მზადების შედეგად მოდის. ეს აშკარაა «ნადიმის» აღნიშნული ადგილიდან, მეშვიდე წერილიდან და პლატონის ბევრი სხვა ნაწერიდან.

[87] ბერძნ. physis.

[88] ფილოსოფოსობა რჩეულთა მცირე რიცხვისთვის არის შესაძლებელი: იხ. პლატონი, «სახელმწიფო», VI, 494 a. Bury, p. 530. იხ. აგრეთვე «სახელმწიფო», VII, 518 d: მასწავლებლის (აღმზრდელის, მოსაუბრის) ხელოვნება ის კი არ არის, რომ მოსწავლეს საძიებელი საგანი აჩვენოს, არამედ ის, რომ იმის დანახვა (გაცნობიერება) შეაძლებინოს, რაც თავად მას (მოწაფეს) სულში გააჩნია, ოღონდ არასწორი მიმართულებით იყურება და ვერ ხედავს იმას, რაც თვითონვე იცის. შდრ. აგრეთვე სოკრატეს მსჯელობა ცოდნის «დაბადებისთვის» ხელშეწყობის ხელოვნების («მაიევტიკა») შესახებ, «თეეტეტი», 149 a – 151 d, განსაკუთრებით 150 be; შდრ. აგრეთვე «ფედროსი». სადაც საუბარია ჩანაწერების ნაკლისა და უძლურების შესახებ: მათ არ შეუძლიათ ცოდნა წარმოშვან; ისინი იმის მოგონებას, გახსენებას ემსახურებიან, რაც უკვე ცნობილია. ცოდნის «დაბადებას», მის ჩათესვასა და აღმოცენებას ამისთვის შესაფერის სულში კი დიალექტიკის ხელოვნება უწყობს ხელს. შდრ. პლატონი, «ფედროსი», 274 b – 277 a. იხ. Souilhé, p. LI.

[89] შდრ. პლატონი, «ფედროსი», 275 d. Hamilton, p. 138.

[90] ბერძნ. onoma.

[91] ბერძნ. logos.

[92] ბერძნ. eidōlon.

[93] ბერძნ. *epistēmē*. შდრ. პლატონი, «კანონები», X, 895 de (Hamilton, p. 137; Souilhé, p. LI), სადაც საუბარია თითოეული საგნის სამგვარ შემეცნებაზე: ერთია თავად არსება, მეორე – არსების განსაზღვრება, მესამეც – სახელი. შდრ. აგრეთვე «ფედროსი», 245 e; «თეეტეტი», 201 e – 202 c; «სოფისტისტი», 218 b; 221 b; «პოლიტიკოსი» 267 a, 271 c; «კანონები», XII, 964 a (მითითებულია Eigler, Band 8 (2), p. 295). შდრ. აგრეთვე პლატონი, «პარმენიდე», 142 a. Bury, p. 532.

[94] უკვე ამ დონეზე ჩნდება პრობლემა სახელსა და საგანს შორის მიმართებისა და, აგრეთვე, ორივესადმი ჩვენი მიმართებისა. თავისთავად, ცოდნის ეს პირველი ფაქტორი, ალბათ, არისტოტელეს «პირველი არსების» მეტ-ნაკლებად ანალოგიურია.

[95] შდრ. პლატონი, «სოფისტისტი», 261 - 262.

[96] «წრის» განსაზღვრებისთვის იხ. პლატონი, «პარმენიდე», 137 e; შდრ. აგრეთვე «ტიმაიოსი», 33 b. Bury, p. 534.

[97] ბერძნ. *epistēmē*. ამგვარად, მეშვიდე წერილში «ცოდნა» არის საერთო სახელი ყველა ფაქტორის ერთობლიობისთვის და საკუთრივ მეოთხე ფაქტორის ერთ-ერთი აღმნიშვნელიც.

[98] ბერძნ. *noûs*. თარგმანის მეორე ვარიანტი: «გონებით შემეცნება». ეს ის შემთხვევაა, როდესაც «გონება» (*noûs*) და «გონებით შემეცნება» (პეტრიწის ტერმინი რომ ვიხმაროთ, «გაგონება», ბერძნ. *noeîn*, *noēsis*) სინონიმებად შეიძლება ვიხმაროთ. პლატონიზმში (გვიანანტიკურში და შუა საუკუნეებშიც) ასეთი რამ ხშირად ხდება.

[99] ბერძნ. *alēthēs doxa*. მკითხველისთვის თვალში საცემია განსხვავება შემეცნების საკითხების აღწერისგან პლატონის



«სახელმწიფოში», სადაც «შეხედულება» აშკარად უფრო დაბალი საფეხურია «გონებასთან» შედარებით და «ცოდნისგან» უფრო დაცილებულია, შდრ. «სახელმწიფო», V, 476 c – 480 a; VI, 509 a – 511 e (ე.წ. «ხაზის ანალოგია»), თუმცა ეს განსხვავება შეიძლება უფრო ტერმინოლოგიური და არა შინაარსობრივი იყოს; ვგულისხმობ იმას, რომ შესაძლოა, მეშვიდე წერილში პლატონი ნაკლებად იყო ასეთი ტერმინოლოგიური დიფერენციაციით დაინტერესებული, ნაწილობრივ ადრესატების ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, გვიანდელი ნეოპლატონიზმისთვის «გონების» და «სწორი შეხედულების» ერთ დონეზე მოთავსება უკვე აღარ იქნებოდა თავისთავად გასაგები ფაქტი, ის აუცილებლად განმარტებას მოითხოვდა და, საბოლოოდ, იერარქიულ საფეხურებად დაეწყობოდა. თავისებურ განმარტებას, იერარქიულობაზე მიმანიშნებელს, პლატონი შემდეგ წინადადებაში იძლევა: მეოთხე საფეხური სულს განეკუთვნება, და არა ბგერებს თუ სხეულებს. პლატონი «თეეტეტშიც» სვამს საკითხს «სწორი შეხედულების» და «ცოდნის» იდენტურობის შესახებ და უარყოფს მათ იდენტურობას (187 b - 201 c). იხ. აგრეთვე შემდეგი შენიშვნა.

[100] საინტერესოა, რომ პლატონისთვის ძირითადი მიზანი მეშვიდე წერილში თითქოს სწორედ მეოთხე საფეხურის დაუფლებაა და არა მეხუთესი, შესაძლოა, ამ უკანასკნელის ადამიანისთვის რეალურად და სრულყოფილად მიუღწევადობის გამო, და იმიტომაც, რომ ოთხი საფეხურის საფუძვლიანად «ავლა-ჩავლის» გარეშე მეხუთეზე ფიქრს აზრიც არ აქვს. მეოთხე საფეხურის მნიშვნელობისთვის მეშვიდე წერილში პლატონის სხვა შრომების ფონზე, იხ. Allinson, A Rectification, p. 136-150.

[101] ბერძნულ ტექსტში სიტყვა «საფეხური» ან სხვა სიტყვა, რომელიც ასევე პირდაპირ მიანიშნებდა იერარქიაზე, არ არის (უფრო სწორად, საერთოდ არავითარი სიტყვა არ არის, მაგრამ თარგმნისას რაღაცით განვრცობა აუცილებელია). შესაბამისად, ზოგიერთ თარგმანში იხმარება სხვა გამოთქმები, მაგ. «three instruments» (Hamilton, p. 137), «cinq facteurs» (Robin, p. 1209).

შემეცნების ტიპების აშკარა იერარქიულობის გამო, მე მაინც შიგადაშიგ «საფეხურებს» ვხმარობ. შდრ. «drei Stufen», Eigler, p. 415; «три ступени», Лосев, p. 543. რაც შეეხება მოცემულ მონაკვეთს, ის ძალიან არსებითია შემეცნების საკითხების გაგებისთვის მეშვიდე წერილში და პლატონის სხვა შრომებთან მათი შესაბამისობა-შეუსაბამობების (თუნდაც მხოლოდ ტერმინოლოგიურ დონეზე) დადგენისთვის. დაწვრილებით იხ. ზემოთ, ჩვენი შესავალი.

[102] «მეხუთე» არის, ალბათ, ის, რასაც პლატონი ბევრგან (ოღონდ არა მეშვიდე წერილში) «ეიდოსს» ან «იდეას» უწოდებდა. შდრ. აგრეთვე პლატონი, «სახელმწიფო», VI, 490 b.

[103] შესანიშნავ მასალას აწვდის პლატონი აქ ნეოპლატონიკოსებს არა მხოლოდ შემეცნების იერარქიული სტრუქტურის შესახებ მათი თეორიის ჩამოსაყალიბებლად და გასამყარებლად, არამედ გონითი – ინტელიგიბილური სინამდვილისთვის დამოუკიდებელი ონტოლოგიური სტატუსის მინიჭებისა და მისი თავისებურებების შესახებ სისტემატური თეორიის შემუშავებისთვისაც. სხვა ფაქტორებთან შედარებით «გონების» უპირატესობის შესაძლო ინტერპრეტაციების შესახებ (უპირატესობა წინა სამ «საფეხურთან» შედარებით თუ იმავე «დონის» კომპონენტებთან) იხ. ჩვენი შესავალი.

[104] კვლავ აღვნიშნავთ, რომ არა მხოლოდ ცოდნის მეოთხე საფეხურის / ფაქტორის დაუფლება მოითხოვს წინა სამის კარგ ცოდნას, არამედ თითოეული (მათ შორის მეოთხეზე უფრო «დაბალი») საფეხურის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წვდომა მხოლოდ ყველა მათგანის გათვალისწინების შედეგად თუ არის შესაძლებელი (იხ. ქვემოთაც, 343 e, 344 b). ყოველ შემთხვევაში, ამ მონაკვეთიდან გასაგებია, რომ ყველა «დონის» საგნის ცოდნისთვის, იქნება ეს კონკრეტული საგანი, ხელოვნური თუ ბუნებრივი, თუ სულაც აბსტრაქტული ცნება, ცოდნის ყველა დონეზე ავლა-ჩავლაა საჭირო. პლატონის «დიალექტიკა», რომელიც ფიგურირებს მის

«სახელმწიფოში», მეშვიდე წერილში არ არის ხსენებული, მაგრამ სწორედ ცოდნის საფეხურებზე თუ ფაქტორებზე ეს «გავლა-გამოვლა» თუ «ასვლა-ჩასვლა» მეტ-ნაკლებად განაპირობებს იმ ერთიან, სინოპტიკურ ხედვას, რომელიც პლატონური «დიალექტიკის» არსს შეადგენს.

[105] შდრ. პლატონი, «კრატილოსი», 438 de. Bury, p. 534.

[106] ასე იკვრება პლატონის აზრი მთავარის დაუწერლობის შესახებ შემეცნების მისეულ თეორიასთან. საბოლოოდ, პლატონის ყველა თეორია (იდებების შესახებ, პოლიტიკა, ეთიკა და სხვა) სადღაც ერთ წერტილში გადაიკვეთება. პლატონის მშვენიერება იმაშია, რომ ის ამ გადაკვეთას პირდაპირ არ დაგვანახებს, თუმცა მასზე მიგვანიშნებს. ნეოპლატონიკოსებმა კი ეს მართლაც სისტემურად და ექსპლიციტურად განმარტეს (თან ისე, რომ «უთქმელს» «გამოუთქმელობა» არ დაუკარგეს), რაც ასევე მშვენიერი იყო. რაც შეეხება ფიქსირებული, წერილობითი ნიშნების ნაკლს, მათ «არაცოცხალ პასუხებს», მათ თვისებას, ხელი შეგვიწყონ გახსენებაში და არ შეგვიწყონ მეხსიერების ვარჯიშში, აგრეთვე მათთან შედარებით «სულში აღბეჭდილი თუ ჩათესილი «ჩანაწერების» უპირატესობას შდრ. მშვენიერი ადგილები «ფედროსიდან», 254 e – 278 d.

[107] ანუ წრის არცერთი გამოხატულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ წრეს, ის სწორსაც შეიცავს; გავიხსენოთ ძენონის აპორიებიც.

[108] შდრ. პლატონი, «კრატილოსი», 384 de. Robin, p. 1628.

[109] შდრ. პლატონი, «თეეტეტი», 208 b. Bury, p. 537.

[110] ბერძნ. duoîn ontoin. ცოტა ხელოვნურად, ეს შეიძლება ასეც ითარგმნოს: «[არის] ორი არსი». ასეთი თარგმანის შემთხვევაში გამოდის, რომ პლატონი «არსს» (to on) უწოდებს ორივეს – როგორობასაც და რაობასაც. აქვე პლატონი ხაზს უსვამს იმას, რომ საგანი, ფაქტობრივად, შემეცნების ყველა დონეზე უფრო თავის «როგორობას» წარმოგვიდგენს, ვიდრე «არსს», თუმცა სული სწორედ ამ უკანასკნელს ეძიებს. მაშ, როგორ გავიგოთ გამოთქმა duoîn ontoin? «არის ორი რამ» თუ «[არის] ორი არსი»? მეორე თარგმანის / გაგების შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, გამოდის, რომ «არსს» პლატონი ამ მოკლე პასაჟში ორი მნიშვნელობით ხმარობს: მეორე ჯერზე მას უფრო «ჭეშმარიტი არსის» (ანუ არსების) მნიშვნელობა აქვს, პირველზე კი «არსი» «როგორობასაც» გულისხმობს, ანუ არსს არა მის წმინდა არსობაში, არამედ ერთგვარ სინთეზს არსისა და არ-არსისა. არის ეს ტერმინული არადიფერენცირებულობა თუ მასში უფრო ღრმა (პლატონის «პარმენიდესეული» და «სოფისტისეული») კავშირი უნდა ვეძიოთ ნამდვილ არსსა და არა-მთლად-ნამდვილ არსს შორის, ეს კიდევ ცალკე რთული თემაა. ასეა თუ ისე, ჩვენ მიერ ძირითად ტექსტში შეტანილ და საზოგადოდ გაზიარებულ თარგმანსაც თუ მივყევით («არის ორი რამ»), მაინც აშკარაა ის მოსალოდნელი სირთულეები, რომლებსაც to on ტექსტის (და სინამდვილის) ფილოსოფიურ გაგებას უქმნიდა და უქმნის, თუნდაც იმის გამო, რომ მას, ერთი მხრივ, პრედიკატული მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონოდა, ხოლო მეორე მხრივ, სუბიექტი ან ობიექტი გამოეხატა.

[111] ბერძნ. to on.

[112] ბერძნ. to poion ti.

[113] ბერძნ. to ti. ამ ადგილთან დაკავშირებით იხ. Souilhé, p. LIII.

[114] შდრ. არისტოტელეს ცნობილი აზრი იმის შესახებ, რომ რაც ბუნებით პირველადია, ის შემეცნებაში უკანასკნელად გვეძლევა.

[115] შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», VII, 517 d; 523 a – 524 a. Souilhé, p. LIII; Robin, p. 1628.

[116] იმას რაც კარგია, გამგონეც კარგი და სწორად მომზადებული უნდა, სხვაგვარად ცოდნა ფესვებს ვერ გაიდგამს. შდრ. პლატონი, «ფედროსი», 276 d – 277 b. იხ. აგრეთვე ქვემოთ, მეშვიდე წერილი, 344 d.

[117] ლინკეესი, ერთ-ერთი არგონავტი, გასაოცარი მხედველობის პატრონი იყო.

[118] აქაც ძალაშია ემპედოკლეს მიერ გამოთქმული და ანტიკურ ფილოსოფიაში ფაქტობრივად საყოველთაოდ გაზიარებული პრინციპი, რომლის თანახმად «მსგავსი მსგავსს შეიცნობს». შემეცნების ობიექტთან «მსგავსება» ცოდნის აუცილებელი პირობაა პლატონისთვისაც: სამართლიანობის გაგება და ცოდნა მაშინაა შესაძლებელი, თუ სულიც სამართლიანობას არის ზიარებული. «ფედონის» თანახმად, «უწმინდურისთვის წმინდასთან შეხება დაუშვებელია» (67 b. იხ. აგრეთვე Souilhé, p. LIV). ცოდნის «ფლობის» წინაპირობა ერთგვარად თვითონ ადამიანის პიროვნული, ექსისტენციალური პოზიციაც არის, რომელიც მის არჩევანს, ცხოვრებას და ბედს განსაზღვრავს. ღრმად ამ საკითხების შესახებ იხ. პიერ ადოს შრომები, განსაკუთრებით მისი პატარა ნაშრომი სოკრატეს შესახებ: P. Hadot, *Eloge de Socrate*, Paris 1998, p. 29-34.

[119] შდრ. პლატონი, «კანონები», VII, 816 de (Bury, p. 538): პლატონის თანახმად, სერიოზულის კარგად გაგება შეუძლებელია სასაცილოს ცოდნის გარეშე და, საერთოდ, საპირისპიროს ცოდნა შეუძლებელია საპირისპიროს ცოდნის გარეშე (შდრ. აგრეთვე «ფედონი», 97 d: საუკეთესოს მცოდნემ აუცილებლობით იმის საპირისპიროც – ყველაზე ცუდიც იცის). სულიეს განმარტებით,

კარგად მომზადებულ სულში ამგვარი დიალექტიკა «ასწორებს» – კორექციას უკეთებს აზრების, სიტყვების, განსაზღვრებების, სახეების ყოველგვარ ნაწილობრივ უზუსტობას. ამ ინტელექტუალური ვარჯიშის შედეგი იქნება ინტუიციური ცოდნა იმისი, რაც ჭეშმარიტია და ნამდვილი. ეს პიროვნული გამოცდილებაა და, როგორც ასეთი, სხვისთვის ვერ-გადაცემადია (იხ. Souilhé, p. LV). მასწავლებელმა, მოსაუბრემ მხოლოდ მის «დაბადებას» – ანუ მოწაფისა თუ მოსაუბრის სულში უკვე არსებულის გაცნობიერებას, «რეალიზაციას» და «ამოქმედებას» შეიძლება შეუწყოს ხელი (შდრ. აგრეთვე პლატონი, «ფედროსი» 277 d – 278 b). ოღონდ საპირისპიროთა «ურთიერთხახუნში» მათი შემეცნების აუცილებლობა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე გვაყენებს, რომელზეც პლატონი «კანონების» იმავე ადგილას (VII, 816 de) მიაწინებს: ორივე საპირისპიროს კეთება ხომ შეუძლებელია, თუ კაცი ოდნავ მაინც სიქველეს არის ნაზიარები! (გავიხსენოთ, რომ ცოდნის წინაპირობა ანტიკურობაში და პლატონთან გარკვეულწილად ცოდნის ობიექტთან სულიერი შესაბამისობა და მსგავსებაა: სამართლიანობის ცოდნა მეტ-ნაკლებად სამართლიანად ყოფნასაც გულისხმობს). რა გამოსავალს ხედავს პლატონი ამ წინააღმდეგობიდან? პასუხს ის იქვე, «კანონების» იმავე ადგილას გვაძლევს: «ამიტომ საჭიროა მათი [ანუ ორივე დაპირისპირებულის] შესწავლა» (ბერძნ. manthanein). რამდენად ნათელს ხდის ეს ცოდნის პრობლემას, ცალკე თემაა. ყოველ შემთხვევაში, აქ იკვეთება დიალექტიკური დაპირისპირება ცოდნას როგორც შინაგან გამოცდილებას (მაგალითად: ვიცი რა არის სამართლიანობა და ვარ სამართლიანი, ვიქცევი სამართლიანად) და ცოდნას («შესწავლას») როგორც გამოუცდელობას (ვსწავლობ რა არის უსამართლობა, მაგრამ არ ვარ უსამართლო და არ ვიქცევი უსამართლოდ) შორის. ამას, რა თქმა უნდა, თან ახლავს ცოდნის შემდეგი პრობლემაც: რამდენად ერთნაირად შეიძლება ვიცოდეთ რაიმე და მისი უარყოფა? რამდენად «კანონიერი» შეიძლება იყოს ცოდნა იმის შესახებ, რაც რაღაც არსის უარყოფაა?

[120] ბერძნ. tribē, ანუ «ხახუნი», ყოველმხრივ ერთმანეთთან მიმართებების დადგენა. იგულისხმება დაახლოებით ის მეთოდები,

რომლებიც «პარმენიდესა» და «სოფისტში» არის ჩამოყალიბებული და განხორციელებული.

[121] შდრ. ზემოთ, 341 c. Bury, p. 538.

[122] ბერძნ. ophseis.

[123] ბერძნ. exelampse. «ეკლამფსისის» ხსენება მიგვანიშნებს, რომ ცოდნა უცხად ჩნდება ჩვენში, ოღონდ ეს უცაბედობა, არადროითობა მხოლოდ ხანგრძლივი ვარჯიშისა და «ფედროსისა» და «სახელმწიფოს» ენაზე რომ ვთქვათ, დიალექტიკური კვლევა-ძიების შედეგად მიიღწევა.

[124] ბერძნ. phronēsis.

[125] შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», VI, 484 – 486. Hamilton, p. 140.

[126] შდრ. პლატონი, «ფედროსი», 275 e.

[127] კანონმდებლური საქმიანობის პრინციპული სირთულის შესახებ შდრ. პლატონი, «კანონები», VI, 769 de; «ფედროსი», 275 de.

[128] შდრ. პლატონი, «ფედროსი», 276 a. შეიძლება, უფრო ზუსტი იქნებოდა ასეთი განვრცობა: «[ანუ მის გონებაში]». შდრ. პლატონი, «ტიმაიოსი», 44 d, თუმცა მეშვიდე წერილში პლატონი უფრო სულზე აკეთებს აქცენტს, შდრ. ქვემოთ, 344 c.

[129] პერიფრაზი ჰომეროსიდან, «ილიადა», VII, 360; XII, 234. წერილობითი გადმოცემის ნაკლის შესახებ შდრ. აგრეთვე პლატონი,

«ფედროსი», 274 b – 278 d. Robin, p. 1628. VII წერილში განხილული შემეცნების საკითხების მიმართებისთვის ამავე საკითხების ინტერპრეტაციასთან პლატონის სხვა შრომებში («კანონები», «პროტაგორა», «კრატილოსი», «სოფისტი», «პარმენიდე», «ევთიდემოსი», «სახელმწიფო», «თეეტეტი», «ფედონი», «ფედროსი», «მენონი», «ტიმაიოსი») იხ. Morrow, The Theory of Knowledge, p. 326-349.

[130] შდრ. ზემოთ, 343 e.

[131] შდრ. პლატონი, «ფედროსი», 275 de, 278 a. Robin, p. 1628, Bury, p. 542, Souilhé, p. 55.

[132] შდრ. ზემოთ, 344 c.

[133] შდრ. პლატონი, «ფედონი», 62 ab.

[134] იხ. ზემოთ, 341 a. Bury, p. 542.

[135] შდრ. ზემოთ, 339 bc. Robin, p. 1628.

[136] ალბათ, იგულისხმება ის, რომ უმცროსი დიონისიოსის ნახევარდა, არეტე, იყო დიონის ცოლი (ამავე დროს, ის, დიონს დისშვილადაც ერგებოდა), ხოლო მათი (ანუ დიონისა და არეტეს) შვილი დიონისიოსის დისშვილი იყო.

[137] შდრ. ჰომეროსი, ოდისეა, XII, 428.

[138] პლუტარქეს მიერ გადმოცემული დიონის ცხოვრება, სხვათა და



სხვათა შორის, ამ მოვლენების გადმოცემისას სხვაობს პლატონის ვერსიისგან (Robin, p. 1628). ამავე დროს, ცნობილია, რომ დიონის ცხოვრების აღწერისთვის პლუტარქეს ერთ-ერთი მთავარი წყარო პლატონის მეშვიდე წერილი იყო.

[139] ატიკური ვერცხლის ტალანტი იწონიდა 26, 2 კგ. Eigler, p. 429.

[140] შდრ. პლატონი, «ფედროსი», 249 d (Robin, p. 1629), თუმცა იქ ფრინველი სხვაგვარ კონტექსტში არის ხსენებული.

[141] მსუბუქად შეიარაღებულ ჯარისკაცებს.

[142] ჰერაკლიდე დიონისიოსის მხედართმთავარი იყო.

[143] თეოდოტე იყო ჰერაკლიდეს ბიძა.

[144] აქაც პლატონი ცდილობს, კარგი თვისება არ დაუკარგოს დიონისიოსს. შდრ. ზემოთ, 340 a.

[145] აქ კვლავ მეორდება პლატონური აზრი, რომლის თანახმად ცუდის ქმნას როდესაც ცუდი შედეგი მოაქვს თავად ცუდის მქმნელისთვის. შდრ. აგრეთვე ქვემოთ, რამდენიმე წინადადების შემდეგ, სადაც იგივე აზრი, ასე ვთქვათ, პოზიტიური ფორმით არის გამოხატულია (კარგ საქმეს კარგი შედეგი მოაქვს: 351 a).

[146] ეს აზრი, პლატონის ფილოსოფიისათვის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი, არაერთხელ გამოითქვა მეშვიდე წერილში. შდრ. აგრეთვე წინა აბზაცი, 349 d.

[147] კვლავ საქმე გვაქვს პლატონის ორი უმთავრესი და ურთიერთდაკავშირებული პრინციპის აშკარა და პირდაპირ გამოხატვასთან: (1) ცუდის ქმნას ცუდი შედეგი მოჰყვება, სხვათა და სხვათა შორის, თავად მქნელისთვის; (2) სხვა თუ არა, ამის გამო მაინც მცოდნე ადამიანი ბოროტებას არ ჩაიდენს.

[148] შდრ. ზემოთ, 335 a და შესაბამისი შენიშვნა.

[149] შდრ. «სოკრატეს აპოლოგია», 28 b: სოკრატემ იცოდა, რომ «ცილისწამებამ და შურმა ბევრი კარგი ადამიანი დალუპა და, ალბათ, კვლავაც დალუპავს». დაწვრილებით ამ თემის პარადოქსული კომბინაციისთვის ასევე პლატონურ თემასთან, რომლის თანახმად სიკეთეს სიკეთე მოაქვს მისი მქმნელისთვის, პლატონის დიალოგებისა და წერილების კონტექსტის მაქსიმალურად სრული გათვალისწინებით, იხ. ლ. ალექსიძე, «სიცრუე და ორპირობა», გვ. 106-112, განსაკუთრებით გვ. 111.

[150] ვფიქრობ, ამგვარი გეგმა-სარჩევი გაგვიადვილებს წერილის შინაარსსა და სტრუქტურაში ორიენტაციას. წერილი ხომ ფორმალური თვალსაზრისით (მაგრამ მიზანდასახულად) საკმაოდ არათანმიმდევრული და ჩახლართულია, მრავალი «გადახვევით» დატვირთული. გეგმა-სარჩევის შედგენისას ნაწილობრივ ვიხელმძღვანელებ წერილის ინგლისური გამოცემით, Bury, p. 463-469.

[151] დაწვრილებით შემეცნების შესახებ იხ. ზემოთ, შესავალში და თავად პლატონის წერილში, 342 a -344 d, შესაბამისი შენიშვნებით.